ISSN 1512 - 4649

# ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591/2
2012

№3, 2012 წელი

30

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირდება:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

## აღიარებულია რეფერირებულად:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა, ყაზახეთი).

**ტექნიკური პერსონალი:**
მარკეტინგი: **რუსუდან მაისურაძე**

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

## The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) IS REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Iinstitute of Techinform

## IS KNOWN AS REVIEW BY:

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Busines School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgia University of the Patriarchate of Georgia;
- Odessa Mechnikov National Universit (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucass (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Econom Finances and International Trade (Astan Kazakhstan).

**TECHNICAL PERSONS:**
Marketing: **RUSUDAN MAISURADZE**

**ADDRES:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი

# ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3(26), 2012

**ლოიდ ქარჩავა** - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.

**სარედაქციო კოლეგია:**

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

**რამაზ აბესაძე, ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი; ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე** (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დირექტორი); **გივი გამსახურდია; თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი** (ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); **სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი** (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორი); **მიხეილ გოგატიშვილი; რევაზ გოგოხია** (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი"-ს მთავარი რედაქტორი); **ვლადიმირ გრიგოლაია** (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); **ვოლფგანგ ვენზი** (ბერლინი, გერმანია); **შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი** (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); **ელდარ ისმაილოვი** (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); **რევაზ კაკულია; მერაბ კაკულია; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია** (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); **ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე; კახა კორძაია** (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) **პაატა კოღუაშვილი** (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); **ჰერალდ კუნცი** (ბრანდენბურგი, გერმანია); **ალექსანდრე კუჭუხიძე** (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); **ენვერ ლაგვილავა; ქაბილ მანაფოვი** (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); **შალვა მაჭავარიანი** (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); **ელგუჯა მექვაბიშვილი; თეა მუნჯიშვილი; დავით ნარმანია; თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი** (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); **იური რობული** (ოდესა, უკრაინა); **ვახტანგ სართანია** (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); **ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); **ალექსანდრე სიჭინავა** (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი"-ს მთავარი რედაქტორი); **ბელა სვირავა; დამეტქენ ტურეკულოვა** (ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ვაჭრობის უნივერსიტეტი, ყაზახეთის რესპუბლიკა); **მირიან ტუხაშვილი; სალავა ფეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); **ლარისა ყორღანაშვილი; თეიმურაზ შენგელია, გიორგი შიხაშვილი; ომარ შუდრა; ფაია შულენბაევა** (ყაზახეთის რესპუბლიკა); **ლალი ჩაგელიშვილი** (გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი); **მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); **ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი** (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); **აკაკი ცომაია; ნოდარ ხადური; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი, რევაზ ხარებავა; აკაკი ხელაძე** (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); **მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); **ჯამლეტ ჯანჯღავა** (მთავარი რედაქტორის მოადგილე); **ემზარ ჯგერენაია** (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა"-ს მთავარი რედაქტორი); **მიხეილ ჯიბუტი; ნანა ჯღარკავა.**

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი", 2012 წ.
© გამომცემლობა „ლოი"

ფასი 5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# the new ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №3(26), 2012

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial board,
Doctor of Busines Administration, Assosiated Professor of Caucasus International University

EDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Director of Business School of Shota Rustaveli State University); GIVI GAMSAKHURDIA; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI (Rector of Akhaltsikhe State University); SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); MICHAEL GOGATISHVILI; REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); REVAZ KAKULIA; MERAB KAKULIA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORzAIA (Rector of Caucasus International University ) PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agroculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); IAKOB MESKHIA; ELGUJA MEQVABISHVILI; TEA MUNJISHVILI; DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectol of Tbilisi University); YURIY ROBUL (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Corresponding-member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of Aesthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); MIRIAN TUKHASHVILI; SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); LARISA KORGANASHVILI; TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI (Head of Department of Degree of Guram Tavartkiladze University); MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA (Corresponding-member of Georgian National Academy of Science) NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI (Deputy of Rector of Iv. Javakhishvili Tbilisi State University); AKAKI TSOMAIA; NODAR KHADURI; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; AKAKI KHELADZE (Dean of Economics and Business Faculty of I. Javakhishvili Tbilisi State University); MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI, NANA JGARKAVA.

რედაქტორის გვერდი . . . . . 5

ეკო-დაიჯესტი . . . . . 6

**მეცნიერება**

**პაატა კოღუაშვილი** – ქართული სოფლის გადარჩენა შესაძლებელია . . . . . 8
**შოთა ვეშაპიძე** – მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური მოდელების თავისებურებები . . . . . 14
**მაია კაპანაძე** – ფირმათა კლასტერები გლობალურ ინოვაციურ ეკონომიკაში . . . . . 22
**ზაირა დუდუშაური, ნინო ლაზვიაშვილი, ინგა კულიანი** – მოსაზრებები ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის მაჩვენებლის შესახებ . . . . . 27
**ომარ შუდრა** – დროის ეფექტური მართვის თანამედროვე მეთოდები (ორთობიოტიკა) . . . . . 31
**ნიკოლოზ გონგლიაშვილი** – საკრედიტო რისკის გაზომვის ნოვატორული რაოდენობრივი მეთოდები . . . . . 35
**იზა ბიბაური** – მომხმარებლის დამოკიდებულება კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობისადმი . . . . . 38
**ლიტა სურმავა** – კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა: სახელმწიფო დახმარება – ერთი ნაბიჯით უკან . . . . . 41

**სტუდენტური ხედვა**

**თამთა შეტელავა** – საბანკო სექტორის განვითარების გლობალური და ეროვნული ასპექტები . 49
**თინათინ მემარიაშვილი** - ინკლუზიური ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში . . . . . 52
**გიგა კუჭუხიძე** - მონოპოლია: დადებითი და უარყოფითი მხარეები . . . . . 56
**ნინო ნიკობოსოვი** - მონოპოლია, მისი განვითარების ისტორია და ანტიტრესტული რეგულირება . . . . . 59
**მარიამ მატიაშვილი** – უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში . . . . . 62
**ნათია გელაშვილი, მელანო სირბილაძე** – საგადასახადო ტვირთის სიმძიმე . . . . . 67
**ნინო ბიწაძე** – გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური სტრატეგია . . . . . 71

ახალი წიგნები . . . . . 73

უცხოეთის ეკონომიკური სიახლენი . . . . . 78

რეფერატები . . . . . 81

წერილები რედაქციას . . . . . 81

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია . . . . . 86
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია . . . . . 87

CONTENTS

EDITOR'S PAGE 5

ECO-DIGEST 6

SCIENCE

**Paata Koguashvili** -SurviveGeorgian Village ..... 8
**Shota Veshapidze** - World Modern Economical Model Features ..... 14
**Maia Kapanadze** - Clusters of Firms in Global Innovative Economy ..... 22
**Zaira Gudushauri, Nino Lazviashvli, Inga Kuliani** - Review of the Term Indicators of the Redemption of Investment ..... 27
**Omar Shudra** -Contemporary methods of effective time management ..... 31
**Nikoloz Gongliashvili** - Advanced Quantative Method of Credit Risk Evaluation ..... 35
**Iza Gigauri** - Consumer Attitude towards Social Responsibility of a Company ..... 38
**Lita Surmava** - Reform of Competition Policy: State aid- step back? ..... 41

STUDENT'S LOOK

**Tamta Fetelava** - Global and national aspects of bank sector development ..... 49
**Tinatin Medzmariashvili** - Inclusive Business Development Prospects in Georgia ..... 52
**Giga Kuchukhidze** - Monopoly: Positive and Negative Part ..... 56
**Nino Nikogosovi** - Monopoly, Its Development History and Antitrust Regulation ..... 59
**Mariam Matiashvili** - The Problems of Employment and Unempoyment in Georgia ..... 62
**Natia Gelashvili, Melano Sirbiladze** - Severity of Tax Burden ..... 67

NEW BOOKS ..... 73

FOREING ECONOMIC NEWS ..... 78

SUMMARIES ..... 81

LETTERS TO THE EDITORIAL

Georgian Academy of Economical Sciences ..... 86
Georgian Academy of Business Scienses ..... 87

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ

პირველ რიგში ჩვენს მკითხველსა და მთელ საქართველოს ვულოცავ დემოკრატიის გამარჯვებას, ხალხის გამარჯვებას, ქვეყნის გამარჯვებას. ეს ჭეშმარიტად ისტორიული არჩევნები იყო, სადაც პოზიციამ და ოპოზიციამ ერთად შეძლო გამარჯვება.

ამ გამარჯვებაში ლომის წილი მიუძღვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც თავისი გამჭრიახობით მოახერხა და ხალხის მოზღვავებული ემოციები გონიერული სიმშვიდის სიბრტყეზე გადაიყვანა. სწორედ მან შეძლო ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის გაერთიანება. იმედი გვაქვს, ეს პროცესი გაგრძელდება და ნელ-ნელა მთელი საქართველო გაერთიანდება ერთი საერთო მიზნის – საქართველოს კეთილდღეობისათვის. ადამიანებს სამართლიანობის დამკვიდრების იმედი ჩაესახათ და იმედს ვიტოვებთ, ეს რეალურად განხორციელდება.

პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, შეიძლება ითქვას, რეკორდული სისწრაფით მოიპოვა დიდი ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე. იმედს გამოვთქვამთ, რომ მისი მეთაურობით საქართველოში საშინაო და საგარეო პოლიტიკა ისეთი მიმართულებით წავა, რომელიც ქვეყნის წინსვლას განაპირობებს, რაც საქართველოს თითოეული მოქალაქის პირად ცხოვრებაში აისახება.

ასევე, არ შეიძლება არ დავეთანხმო ბატონ ბიძინას ისეთი საგარეო კურსის ორიენტაციის არჩევაში, როცა ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება კვლავ ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი იქნება. პარალელურად დაიწყება მუშაობა რუსეთთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების აღდგენისა და განვითარებისათვის, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს პოლიტიკური საკითხების მოგვარებაც.

მადლობის ღირსია ქართველი ხალხისაგან ჩვენი დიდი მეგობარი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატები, მისი ელჩი საქართველოში ბატონი რიჩარდ ნორლანდი, ევროკავშირი, სადამკვირვებლო მისიები და საერთაშორისო თანამეგობრობა. სწორედ მათ მიერ გაწეულმა თანადგომამ გახადა შეუქცევადი ქართული დემოკრატიის გამარჯვება.

აქვე გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საზოგადოებისათვის ცნობილი მეცნიერი, პროფესორი **ნოდარ ხადური არჩეულია საქართველოს პარლამენტის წევრად** კოალიცია „ქართული ოცნებიდან". გვჯერა, ის ერთ-ერთ მოწინავე ადგილს დაიკავებს პარლამენტში ან მთავრობაში და მისთვის ჩვეული შემართებით იღვაწებს ქართული ეკონომიკის აღორძინებისათვის. ჩვენ ვულოცავთ ბატონ ნოდარს ამ დიდ წარმატებას და მომავალშიც გამარჯვებებს ვუსურვებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დაბოლოს, წარმატებებს ვუსურვებ ახალ პარლამენტს, რომელიც 1 ოქტომბერს ავირჩიეთ, ახალ მთავრობას, რომელსაც ეს პარლამენტი დაამტკიცებს და სრულიად საქართველოს.

ღმერთი გფარავდეთ!

ლოიდ ქარჩავა
4 ოქტომბერი, 2012 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

# ეკო-დაიჯესტი

## ოქროს გატანა შემცირდა

ერთი წლის განმავლობაში ოქროს ექსპორტი, „საქსტატის" 2012 წლისი ანვარ-ივლისის მონაცემებით, 28,8%-ით შემცირდა – უცხოეთის ბაზრებზე $46,831 მლნ-ის დაუმუშავებელი და ნახევრად დამუშავებული ოქრო გავიდა. შარშანდელ იმავე დროს ეს მაჩვენებელი $65,808 მლნ. იყო. თუმცა ოქრო წამყვანი საექსპორტო პროდუქციის ათეულში მაინც იკავებს მეხუთე ადგილს, 5,5%-დან 3,5%-მდე შემცირებული წილით.

## თბილისის წყალმომარაგების კომპანია დაჯარიმდა

2012 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ შპს „ჯორჯიანუოტერ ენდ პაუერი" 45 ათასი ლარით დააჯარიმა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. კომისია მიიჩნევს, რომ კომპანიამ, პასუხისმგებლობის ორჯერ დაკისრების მიუხედავად, კვლავ დაარღვია სალიცენზიო პირობები და თბილისის მოსახლეობის წყალმომარაგება არ გააუმჯობესა. კომისიამ კომპანია წლეულს 2 აგვისტოსაც დააჯარიმა 5 000 ლარით, ხოლო 16 აგვისტოს -- 15 000 ლარით, წყალმომარაგების შეფერხებით მიწოდების გამო.

## ტურიზმის განვითარების რეიტინგი

ტურიზმის განვითარების მხრივ საქართველო 139 ქვეყანას შორის 73-ე პოზიციაზე, დომინიკის რესპუბლიკასა და მალაიზიას შორის აღმოჩნდა. ეს მონაცემები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში, 'The TTCI 2011 Ranking"-შია მოცემული. ხულ გამოიკვლიეს 14 მაჩვენებელი. რეიტინგის თანახმად, შვეიცარიაში ტურიზმის სექტორი ყველაზე მეტადაა განვითარებული მსოფლიოში. მას მოსდევენ: გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, შვედეთი, აშშ, ბრიტანეთი, ესპანეთი, კანადა და სინგაპური. ესტონეთი 25-ე ადგილზეა, ლატვია 51-ზე,რუსეთი 59-ზე, აზერბაიჯანი 83-ზე, უკრაინა 85-ზე, სომხეთი 90-ზე, ყაზახეთი 93-ზე.

## „ბაზისბანკი" ჩინელებმა იყიდეს

„ბაზისბანკი" ჩინურმა კომპანია „ჰუალინგჯგუფმა" იყიდა, რომელმაც აქციების 90% შეიძინა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და ბანკის დამფუძნებელ ზურაბ ცხისთავს აქციების მინორიტარული პაკეტი დარჩა.

## ფრენის გაუქმების, ან ფრენაზე უარის თქმის შემთხვევაში ავიამგზავრი კომპენსაციას მიიღებს

საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის, ან ფრენის გაუქმებისათვის მგზავრები ავიაკომპანიისაგან 1500 კმ მანძილზე ფრენისას 250 ევროს ოდენობის კომპენსაციას მიიღებენ. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს გადაწყვეტილებით, 1500-დან 3500 კმ-ზე ფრენისას კომპენსაცია 400 ევრო იქნება, 3500 კმ-ზე მეტისათვის 600 ევრო. თუ ავიაგადამყვანი მგზავრს ფრენის ალტერნატიულ მარშუტს შესთავაზებს ვადების დაცვით, უფლება ექნება, კომპენსაცია 50%-ით შეამციროს. ავიაგამამყვანმა ლოდინის დროს მგზავრს უფასოდ უნდა მიაწოდოს საკვები და გამაგრილებელი სასმელები და შესთავაზოს უფასო საცხოვრებელი,თუ ლოდინის ვადა ერთი ან მეტი ღამეა.

## საქართველო მიმზიდველია საცალო ვაჭრობისათვის

საერთაშორისო კონსალტინგურმა კომპანია AT Keaney-მ საცალო ვაჭრობის განვითარებისათვის მიმზიდველი ქვეყნების სიაში წლეულს საქართველოც შეიყვანა და მას მეექვსე ადგილი მიაკუთვნა. „საცალო ვაჭრობის განვითარების გლობალურ ინდექსში" (GRDI) ოცდაათი განვითარებადი ქვეყანაა. ინდექსში შესულ ახალ ქვეყნებს შორის საქართველოსთან ერთად არის აზერბაიჯანი (მე-16 ადგილი). ექსპერტების თქმით, ევებერთელა განვითარებადი ბაზრები კვლავ იზიდავს უმსხვილეს რიტეილერებს, თუმცა ბაზრების უმნიშვნელო მასშტაბის მიუხედავად, ახალი ქვეყნებიც საცალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობის სფეროში მსხვილი კომპანიებისათვის მიმზიდველი ხდებიან. რეიტინგის პირველ ათეულში შედიან – ბრაზილია, ჩილე, ჩინეთი, ურუგვაი, ინდოეთი, საქართველო, გაერთიანებული არაბული საამიროები, ომანი, მონღოლეთი, პერუ.

## „ღვინის აკვანი" საქართველომ დაარეგისტრირა

საქართველომ ევროკავშირში ბრენდი „ღვინის აკვანი" დაარეგისტრირა. გაცემულია შესაბამისი დამცავი დოკუმენტიც. საქართველოს ექსკლუზიური უფლება ექნება, ევროკავშირის ბაზარზე წარმოადგინოს ღვინო, სახელწოდებით „საქართველო-ღვინის აკვანი". „საქპატენტის" ცნობით, 2011 წლამდე ეს ბრენდი ბრიტანული კომპანიის სახელზე იყო რეგისტრირებული. ამით საქართველოს ახუვე ენიჭება უფლება, სხვა ქვეყნების მწარმოებლებს აუკრძალოს ამ სახელწოდების გამოყენება ნებართვის გარეშე.

## ახალი სარკინიგზო ხაზი 2014 წელს შევა ექსპლუატაციაში

აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის მხარეებმა ბაქოში, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შემაჯამებელ პროტოკოლს მოაწერეს ხელი. საქართველო-თურქეთის საზღვარზე სამშენებლო მონაკვეთის მშენებლობა 2012 წელს დასრულდება, მაგისტრალი ექსპლუატაციაში 2014 წელს გაეშვება. საუბარია 98 კმ-იან სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დასრულებაზე, საიდანაც 68 კმ თურქეთის, ხოლო 30 – საქართველოს ტერიტორიაზე მოდის. პროექტის ფარგლებში აგრეთვე მიმდინარეობს ახალქალაქი-მარაბდა-თბილისის 183 კმ-იანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია.

## პომიდვრის ექსპორტი იზრდება

საქართველოდან პომიდვრის ექსპორტი 1 წელიწადში 10-ჯერ გაიზარდა, იმპორტი კი 1,1-ჯერ შემცირდა. მის მიუხედავად, სავაჭრო სალდო მკვეთრად უარყოფითია და 2012 წლის ხუთი თვის სტატისტიკით, $4,452 მლნ-ს შეადგენს. „საქსტატის" მონაცემებით, 2012 წლის იანვარ-მაისში ექსპორტზე 175 ათასი აშშ დოლარის პომიდორი გავიდა (312 ტონა), ხოლო 4,627 მლნ-ი აშშ დოლარის პომიდორი (7 356 ტონა) შემოვიდა. ექსპორტიორი ქვეყნებია - აზერბაიჯანი და ბელარუსია, ხოლო იმპორტიორი – თურქეთი, აშშ, ნიდერლანდები და იტალია. იმპორტზე 16 კომპანია მუშაობს, ხოლო ექსპორტზე კი მხოლოდ ოთხი.

„ეკო-დაიჯესტი" ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა

თამთა ფეტელავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სოფლის გადარჩენა შესაძლებელია



პაატა კოღუაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ სრული პროფესორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

*საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი უმწვავესი კრიზისის დაძლევის[1] აუცილებლობა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც შესამუშავებელია ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების რეალური კონცეფცია. ასევე, გასააქტიურებელია და უსწრაფესად დასამთავრებელია ევროკავშირთან მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობისა და მიმოსვლის შესახებ. ეს ავტომატური რეჟიმით გადაწყვეტს რამდენიმე პრობლემას: მიგრაციის; ეკონომიკის სტიმულირების; დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებისა და გაძლიერების; არსებული დემოგრაფიული ვითარების მინიმუმ შენარჩუნებას; ეკონომიკის განვითარებას მინიმალური სოციალური თვითუზრუნველყოფის ჭრილით, ისე, რომ არ იქნეს განიავებული საქართველოს სტრატეგიული რესურსები – **მიწა, ტყე, წყალი,** სატრანზიტო ფუნქცია.*

საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისთვის (საქართველოს 10–12 მლნ ადამიანის გამოკვების ბიორესურსი გააჩნია).

საქართველოს აგრარული პოტენციალის ამოქმედება უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი, რისთვისაც **აგრომეურნეებმა (გლეხებმა) წარმოებული პროდუქციისთვის უნდა მიიღონ ისეთი ფასი (შემოსავალი), რომელიც უზრუნველყოფს მათი ოჯახების შენახვას ცხოვრების მისაღები დონით და პროდუქციის გაფართოებული აღწარმოებისთვის საჭირო რესურსებით.** ამისთვის, **გლეხებს უნდა მოეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მელიორაციისა და აგროტექზოოვეტმომსახურების, ბაზარზე ფასების ტენდეციების განსაზღვრის, კრედიტის ხელმისაწვდომობის, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის, გადასახადებისა და დაზღვევის[2] საკითხებთან.**

**გლეხკაცი** ძალიან ხშირად, უბრალოდ, აგროპროდუქციის მწარმოებლად მიაჩნიათ. მისი როლი სცილდება ამ ჩარჩოებს. **სინამდვილეში** ის აუცილებელია სოფლისთვის, უფრო მეტად, **გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია.** ამიტომაც, სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა **გლეხკაცის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვებად** მისი **შრომის სტიმულირება (მიწასთან მარადიული ურთიერთობა), ქვეყნის სურსათით** თვითუზრუნველყოფა, **სოფელსა და ქალაქს** შორის **სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება.**

სოფლის მეურნეობისადმი დიდი ყურადღება ორი ძირითადი მოსაზრებითაა განპირობებული:

• **სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა.** მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასაც და, შესაბამისად, მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას. ამიტომ სასურსათო უშიშროება სახელმწიფოს სტრატეგიულ გათვლაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიკავებს;

• სასოფლო-სამეურნეო წარმოება **ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია.**

[1]გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით 2003-2009 წლებში *საქართველოში* ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ინდექსი 29 %-ით შემცირდა რაც მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის ერთ-ერთი ყველაზე უარესი მაჩვენებელია. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა.

[2]სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში არა მარტო ფინანსური მონაწილეობით, არამედ, საწყის ეტაპზე, დასაზღვევი პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრაში. **ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურულად, სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის (სოფლის სტატუსი, სოფლად რეალური თვითმართველობის დამკვიდრება, არჩეული მამასახლისი, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა) განვითარების საჭიროება. ამიტომ **ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად დასავლეთში მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა. მისი მიზანია** სოფლის **მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.**

თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას მხოლოდ თავისუფალი ბაზრის ამარა არ ტოვებს. იგი აყალიბებს მკაფიო დარგობრივ პრიორიტეტებს და შემდეგ საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორობის ფონზე ახორციელებს მის აღსრულებას. ამ სფეროს პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ორი ფაქტორი. **პირველი: სოფლის, როგორც ყოფის შენარჩუნება და მეორე: სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.**

ნებისმიერ ქვეყანაში სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა მხოლოდ **სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი.** მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **ადამიანური რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლებაა.** უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე **ეკონომიკური პროცესების უძირითადესი პროდუქტია ჯანმრთელი, მაღალკვალიფიციური, სოციალურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი,** იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქცია. ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად **სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი.** საყურადღებოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვამ (მათ შორის ბალტიის ქვეყნებმაც). ეს პროცესი ყველგან **სახელმწიფოს აქტიური მაორიენტირებელი, მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა.** ანუ ამ ქვეყნებში ფუნქციონირებდა ჭეშმარიტი აქტიური სახელმწიფოებრიობა და არა ატროფირებული. აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ **კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით.**

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაციაც და შემდგომი განვითარება. **სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას,** ავტომატურად მოსდევს **სოფლის მოსახლეობის** მასობრივი **დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის** ამაღლება და სოფლის **კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება.** ესაა ცნების „**ჯანსაღი საშუალო ფენა**" რეალური შინაარსი.

ჩვენი ქვეყნისთვის საწარმოო ურთიერთობათა ფორმის არჩევა დიდად მნიშვნელოვანია როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ასევე ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით. **საქართველო,** მისი ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლებიდან და არჩეული პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, **უდავოდ იმსახურებს განვითარებული ქვეყნების რიგში ყოფნას** და მით უფრო სწრაფად შესძლებს ამას, რაც უფრო ინტენსიურად გატარდება დემოკრატიული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები.

ამ რეფორმებიდან უმნიშვნელოვანესია **საქართველოს მრავალდარგოვანი აგრარული სექტორის რეფორმა,** რომლის უპირველესი ამოცანაა **დაქუცმაცებული სოფლის**

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მეურნეობის საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივება (კონსოლიდაცია), მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათი გადამამუშავებელ საწარმოებთან სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობა.** შედეგად, კოოპერაციული ფორმების გამოყენებით, ადგილებზე მიეცემა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის (ერთიანი ციკლის) შექმნას, სადაც გლეხკაცი (ფერმერი) დაინტერესებული იქნება ერთობლივი საქმიანობის ყველა საფეხურით, საწარმოო პროცესისა და მომარაგების ყველა დეტალით დაწყებული და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციიდან ამონაგებით დამთავრებული. რადგან პრაქტიკულად, **მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი შემოსავლების ზრდა და სოციალური პრობლემების მოგვარება**

იმისათვის, რომ თავისუფალმა ბაზარმა შექმნას ის, რასაც ზედმიწევნით კარგად ასრულებს – პროდუქციის სიუხვე – აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ აქტიური პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. იგი პირველყოვლისა გამოიხატება **სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის (ურთიერთდახმარების, სოლიდარული პასუხისმგებლობის, კოოპერაციული ტიპის)** შექმნით, რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს **მოსავლის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას**. ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, ქიმიური საშუალებების, საწვავის და ა.შ. უზრუნველყოფის ორგანიზება, უნდა წახალისდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სფეროში კოოპერირების გამოყენება, მარკეტინგული დახმარება და, ასევე, ერთ-ერთი მთავარი კომპონენტად უნდა იქცეს სასოფლო რაიონებში აგროტექნიკუმების (პროფესიული სასწავლებლების) ფართო ქსელის გამოყენება, რომელიც შეძლებს ფერმერების პრაქტიკული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვას და გამუდმებით მათი გადამზადების გარემოს ფორმირებას.

სოფლად მისაღები ყოფითი პირობების შექმნა, გასარწყავების და დაშრობის სამუშაოების აქტიური წარმართვა (რათა თავიდან იქნას აცილებული ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე მყოფი გაუდაბნოების პროცესი აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში და მეორადი დაჭაობების პროცესი კოლხეთში) და სხვა აუცილებელი ღონისძიებები სოფლის გადარჩენის სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი უნდა გახდეს. ამასთან, გთავაზობთ აგრარული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის აუცილებელ ძირითად ნაწილს, რომელიც ბლოკებადაა წარმოდგენილი:

I. დანაწევრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაცია და პარცელარული მეურნეობის ნეგატიური შედეგების ლიკვიდაცია. ეს ბლოკი უნდა მოიცავდეს:

ა) **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაციის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ"** საქართველოს კანონის პროექტების შემუშავებას და საკანონმდებლო ორგანოში დამტკიცებას;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მარკეტინგული და სხვა საწარმოო-სამეურნეო მიმართულების კოოპერატივების ჩამოყალიბებას, მათთვის საწყის ეტაპზე სათანადო შეღავათების შეთავაზების გზით.

II. სოფლის მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით მიმდევრობაში:

ა) სარწყავი წყლის რესურსების აღრიცხვა და გამოყენების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება;

ბ) სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება;

გ) სარგავ-სათესლე და სანამენე საწარმოთა რეაბილიტაცია;

დ) ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესება (პირუტყვის პრევენციული აცრები და სხვა);

ე) აგროინდუსტრიის გადამამუშავებელი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების აღდგენა-რეაბილიტაცია აგროწარმოების განვითარებისა და განლაგების შესაბამისად;

ვ) სასაწყობო, სამაცივრო და სხვა საჭირო სიმძლავრეთა მშენებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გრძელვადიანი შენახვისა და რეალიზაციის მიზნით;

ზ) განვითარებულ ქვეყნებში არსებული უახლესი მანქანათა სისტემების (მათ შორის სამთო მიწათმოქმედებისთვის) გადმოტანის და ათვისების მიზნით სოფლად ტექმომსახურეობის თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება;

თ) წყალმომარაგების, გაზიფიკაციის, საგზაო და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა პრობლემების დარეგულირება.

III. სოფლად საქონელმწარმოებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეწარმეო უნარჩვევების გამომუშავების მიზნით ადგილზე

საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ფორმირება, რაც გულისხმობს:

ა) კარგად ორგანიზებული საკონულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ქსელის ფორმირებას;

ბ) ფერმერთა მომზადება-გადამზადებას სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების (შესწავლის) მიზნით;

გ) აგრონომიული, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და აგრობიზნესის პროფილის სტუდენტთა სტაჟირება საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში.

IV. სოფლად საქონელმწარმოებლებისთვის მიწათმქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია

ა) **„მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭების და რეგისტრაციის შესახებ“** შესაბამისი ნორმატიული აქტის მომზადება და პარლამენტში (ან მთავრობაში) დამტკიცება.

V. ეკონომიკური მექანიზმის ორიენტირება აგროსასურსათო სექტორის სწრაფ განვითარებაზე, ფასების პარიტეტის დადგენა, ეფექტიანი საგადასახადო, აგროსაკრედიტო და სადაზღვევო სისტემების შექმნა, იმპორტის ჩანაცვლებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მაღალი ტემპით განვითარებისთვის

ა) **„აგრონედლეულისა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დადგენისა და დაცვის შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება და პარლამენტში დამტკიცება;

ბ) **სპეციალიზებული აგროსაკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვევო სისტემების შესახებ საქართველოს კანონის პროექტების შემუშავება** და პარლამენტში დამტკიცება;

გ) **სოფლის მეურნეობის განვითარების, თემის სამეწარმეო მობილიზაციის, საგირავნო და საგარანტიო ფონდების შექმნა;**

დ) **,,აგროსექტორში გამოყენებული მანქანა-მოწყობილობების, აგრეთვე აგრარული პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო სათესლე და სანაშენე საშუალებათა საბაჟო გადასახადისა და დღგ-გან გათავისუფლების შესახებ"** საქართველოს კანონის პროექტის მომზადება და პარლამენტში დამტკიცება.

VI. აგრარული ბაზრის დაცვა და ეკონომიკური რეგულირება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ა) ვმო-სგან მონიჭებული უფლებების – ანტიდემპინგური გადასახადის, სეზონური ფასების და ბაზრის დამცავი ღონისძიებების გამოყენებით (დემპინგური და სწრაფად მზარდი იმპორტის მიმართ რომელიც ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებელს ან ქმნის ზარალის მიყენების რეალურ საფრთხეს) ბაზრის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენტებისგან.

VII. სახელმწიფო დაკვეთების ინსტიტუტის რეალური ამოქმედება ძირითადი სახეობის სურსათზე და პროდუქციის შესყიდვა თანამედროვე ფორმებით.

ა) საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას და აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას.

ბ) ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (მარცვალი, ხორცი, რძე, შაქარი, ზეთი) მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობისა და წონასწორული (სტაბილური) ფასების შენარჩუნების მიზნით, ბაზარზე ინტერვენციის და ჭარბი პროდუქციის ამოღების სახელმწიფო მარეგულირებელი (ნახევრად ადმინისტრაციული და ნახევრად კომერციული) სამსახურის შექმნა (ბაზარზე ჩამრევი სამსახურები. ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში).

VIII. აგრარული მიმართულების სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრომეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა, ურთიერთ მისაღები პირობების შემუშავების საფუძველზე.

საქართველოს წინაშე დღეს უკვე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ობიექტური აუცილებლობის ამოცანები,რეალურად მოითხოვს, როგორც **სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას** (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა. სოფლის მეურნეობის ისეთი დარ-გობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას), ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია შედარებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება, მეტად საჭირო და გარდაუვალი აუცილებლობაა.

ქართული მიწისა და სოფლის გადარჩენა ჯერ კიდევ შეგვიძლია:

1. მიწას მივუდგეთ არა მხოლოდ როგორც პროდუქციის წყაროს, არამედ როგორც მოსახლეობის შემნახავსა და გამხარებელს;

2. სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე კონკურენტუნარიანი ქართველების გაჩენამდე უნდა უგამონაკლისოდ აღიკვეთოს (საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებამდე);

3. ყველა საშუალებით (სახელმწიფოს ეს საშუალებები მუდამ აქვს) შევქმნათ იაფი აგროსაკრედიტო სისტემა, სოფელი უზრუნველვყოთ იაფი სასოფლო-სამეურნეო საწვავით და განვითარებული საჯარო მომსახურებით;

4. გზა გავუხსნათ იჯარას (გრძელვადიანისა და გასხვისებადის ჩათვლით);

5. უზრუნველვყოთ რაციონალურ ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები;

6. უზრუნველვყოთ იმპორტული (როგორც წესი, ეკოლოგიურად უვარგისი) პროდუქტის რეალური კონტროლი უვნებლობაზე;

7. აღვკვეთოთ იმპორტზე დასპეციალებული მაფიური მონოპოლიზმი;

8. უზრუნველვყოთიაფი მელიორაციული და აგროტექზოოვეტმომსახურება (რაც სახელმწიფოსათვის დაუძლეველი ამოცანა არ არის);

9. ყველანაირად ხელი შევუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, ადგილზე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას და მათ ურთიერთთანამშრომლობას;

10. დავადგინოთ და დავიცვათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების პარიტეტი;

11. შევქმნათ შეღავათიანი საგადასახადო და სადაზღვევო სისტემები სოფლის მეურნეობაში (რაც სახელმწიფოსთვის აგრეთვე სავსებით მისაწვდომია);

12. შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, თემის სამეწარმეო მობილიზაციის, საგირავნო და საგარანტიო ფონდები;

13. აღვადგინოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრომეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირი;

14. ავაღორძინოთ საქართველოს მთიანეთი, როგორც ჯანსაღი და ქვეყნისთვის მიუცილებელი სამეურნეო ზონა. შევუქმნათ მის მოსახლეობას ყოველმხრივი განვითარების პირობები;

15. დავიბრუნოთ და ავითვისოთ როგორც ტრადიციული, ისე ახალი ბაზრები;

800 ათასი ჰა სახნავის დამუშავებას მაქსიმუმ 720 მლნ ლარი სჭირდება. ამ თანხის მცირე ნაწილიც (1/10) რომ გაიღოს სახელმწიფომ, სახნავის პრობლემაც გადაწყდება. მრავალწლოვანი ნარგაობის (ხეხილი, ვაზი, კაკლოვანი და სხვ.) განახლებისთვის ყოველწლიურად უნდა გაშენდეს 15-20 ათასი ჰა, რასაც 250-300 მლნ ლარი სჭირდება. აქ სავსებით საკმარისი იქნება სახელმწიფოს კეთილი ნება და საგადასახადო ხელშეწყობის რეჟიმი. მაგალითად, ახალგაზრდა ნარგავები სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე 4 წლით უნდა განთავისუფლდეს მიწისა და წყლის გადასახადისგან; შემცირდეს ან გაუქმდეს დღგ-სა და აქციზის გადასახადი სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელ დიზელის საწვავზე, განთავისუფლდეს აგროტექზოოვეტმომსახურება დღგ-ს გადასახადისგან. ასევე უნდა შემცირდეს მიწისა და წყლის გადასახადი 30% - 30%-ით და სხვ. კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში შემცირდეს დღგ-ს გადასახადი არა ნაკლებ 10%-ით, ასევე, წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადი.

ტყუილია, რომ საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას დღეს მრავალი მილიარდიანი ინვესტიცია სჭირდება, რადგან აგრარული სექტორი, როგორც დარგი არ არის მზად მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების მოზიდვისა და საჭირო პროექტების განხორციელებისთვის. იგი გადაუდებლად საჭიროებს დაქუცმაცებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის კონსოლიდაციას (რადგან უკიდურესად დანაწევრებულ მიწაზე რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მოსავლიანობის ამაღლება და არსებითი ეკონომიკური შედეგის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია) და სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირებას.

**ამგვარად ტყუილია,** რომ სოფლად დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ 2-3 პროცენტი მოსახლეობისა. სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩენად და გასახარებლად. დემოკრატიულ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თავს ირჩენენ სოფლის მეურნეობით, როგორც წესი, ორჯერ და მეტად აღემატება იმათსას, ვინც უშუალოდ ხნავს, თესავს, სხლავს, თიბავს და პირუტყვს წველის.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ:

– საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ სასურსათო უშიშროება ქვეყნის უპირველეს სტრატეგიულ მიზანთა რიგში შედის;

– ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ერთადერთი სუბიექტი, ვისაც ამ ამოცანის გადაჭრა ძალუძს, არის თვით სახელმწიფო;

– ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, ფუნქციონირების ურთულესი ტექნოლოგია, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფის საქმეში, ისე სოფლის მოსახლეობის სოციალური, ტექნიკური და კულტურული დონის სრულყოფის საქმეში.

მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა **აღიარებულ უნდა იქნეს** ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანად და **საერთო ეროვნული ზრუნვის საგნად.** მხოლოდ ასე **გადარჩება ქართული სოფელი, რომლის გარეშე საქართველოს განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელია.**

საქართველოს სოფლის აღორძინება უნდა მოხდეს ჩვენივე ძალებით და გადამთიელებზე იმედის დამყარება, მათი მოპატიჟება „გადასარჩენად" შეურაცხმყოფელი და ამასთანავე ფუჭი მცდელობა იქნება. დინამიკური სოფლის მეურნეობა უცხოელთა ჩამოსახლებით კი არა, მოქნილი სამოქმედო გეგმით (სტრატეგიით) იქნება შესაძლებელი. სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, გლეხკაცს – ქართული მიწის მთავარ მეურვეს **(ადგილის კაცი, მკვიდრი მიწათმოქმედი – ილია ჭავჭავაძე)** – შეუძლია არა მარტო ქვეყნის გამოკვება საკუთარი წარმოების პროდუქციით, არამედ სახელმწიფოს ძლიერების საძირკვლის ჩაყრაც.

# მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური მოდელების თავისებურებები



შოთა ვეშაპიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ეროვნული მეურნეობის მთლიანობის შემქმნელი ელემენტების ერთობლიობასა და მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ამ ელემენტების მჭიდრო კავშირსა და ურთიერთქმედებას, ქვეყნის ეკონომიკურ მოდელს უწოდებენ. *სოციალურ-ეკონომიკურ მოდელში* გულისხმობენ საკუთრების მიმართ დამოკიდებულებას, მეწარმეობის ტრადიციებსა და მის ინფრასტრუქტურას, ინსტიტუტებისა და მექანიზმების კომპლექსს, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ეკონომიკური და სოციალური სისტემის ხასიათს, აგრეთვე, სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთქმედების ფორმებსა და მეთოდებს წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინტერესებისთვის. ყველა მოდელი ერთმანეთისგან განსხვავდება ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მნიშვნელოვანი ნიშნებითა და მექანიზმებით, ასევე ეკონომიკის კონკურენტუნარიანობით. განვიხილოთ ისინი საფუძველზე.

**ამერიკული მოდელი.** თავიდან ეგრეთ წოდებულმა მანჩესტერულმა ლიბერალიზმმა ამერიკაში განამტკიცა ერთგულება საბაზრო ფასეულობების მიმართ, სახელმწიფოს კი მხოლოდ „ღამის დარაჯის" როლი მიაკუთვნა. მაგრამ დროთა განმავლობაში სახელმწიფოს როლი ეკონომიკასა და საზოგადოებაში იზრდებოდა სოციალური დოვლათის განაწილების ხარჯზე, ხოლო ომისა და კრიზისების დროს – პირდაპირი მონაწილეობით წარმოებაში.

აშშ-ში მიაჩნიათ, რომ ამერიკული კეთილდღეობისა და ლიდერობის საფუძველი მსოფლიო ეკონომიკაში არის პიროვნების, კერძო საკუთრებისა და კერძო მეწარმეობის თავისუფლება. ეს სამი თავისუფლება – ქვაკუთხედია, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო აშშ-ის ეკონომიკისა და მისი მოდელის პოზიციებს სხვა ეროვნული ეკონომიკებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელების მიმართ, არამედ ამ ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკასაც.

შემთხვევითი არაა, რომ აშშ-ში საბაზრო თავისუფლების, პიროვნების თავისუფლებისა და მეწარმეობის გვერდით თანდათანობით განმტკიცდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, კერძოდ, ოჯახი, ეკლესია, საზოგადოებრივი ჯგუფები და ასოციაციები, სამეცნიერო, სხვადასხვა სახის პროფესიული გაერთიანებები, მოქალაქეთა საკონსულტაციო საბჭოების ტიპის ორგანიზაციები და კავშირები და ა.შ., რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ასახავს კერძო ინტერესებს და ისინი პირდაპირ დამოკიდებული არაა სახელმწიფოზე. თითოეული ამ ჩამოთვლილი ინსტიტუტის ძირითადი ელემენტია ცალკეული პიროვნება, რომელსაც თვითრეალიზაციის უფლება აქვს, შეუძლია დაიკმაყოფილოს საკუთარი ინტერესები და მოთხოვნები. მთლიანობაში სამოქალაქო საზოგადოება – ესაა სოციალური და სოციოკულტურული სივრცე, რომელშიც ადამიანები მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებული და მოქმედებენ როგორც ერთმანეთისგან და სახელმწიფოსგან თავისუფალი ინდივიდები.

ამერიკული სოციალურ-ეკონომიკური მოდელი სხვა მოდელებისგან განსხვავებით ორიენტირებულია სახელმწიფოს როლის მინიმიზაციაზე საქონლისა და მომსახურების წარმოებაში თავისი ეკონომიკის დერეგულირებით.

აშშ-ის ეკონომიკაში სახელმწიფო საწარმოები ძალიან ცოტაა, ძირითადად ესენია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი წარმოებები, რომლებიც დაცულია სპეციალური კანონმდებლობით.

ამერიკული სოციალურ-ეკონომიკური მოდელი ემყარება სააქციო კაპიტალს, სააქციო საკუთრებას. აქციონერი ტრადიციული კერძო მესაკუთრისგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ პირველს არ შეუძლია ამოიღოს თავისი კაპიტალ-პაკეტი საქმიდან, მას მხოლოდ თავისი აქციების გაყიდვის უფლება აქვს. ამასთანავე არ შეუძლია გავლენა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახდინოს შემოსავლის (დივიდენდის) სიდიდეზე ერთ აქციაზე გაანგარიშებით. გარდა ამისა, კოლექტიური აქციონერი ერთდროულად არის კოლექტიური დაქირავებული მუშაკიც, რაც, ბევრი ექსპერტის აზრით, სააქციო კაპიტალიზმს „სახალხო კაპიტალიზმად“ აქცევს.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სხვა სოციალურ-ეკონომიკური მოდელებისგან განსხვავებით ამერიკულ მოდელს დაგროვებისა და ინვესტიციების მთავარ წყაროდ აქვს არა საკრედიტო-საბანკო ან ფინანსური სისტემა, არამედ საფონდო ბაზარი. სწორედ საფონდო ბაზარი უზრუნველყოფს საკუთრების სწრაფ და მკაფიო გადასვლას ერთი ხელიდან მეორეში. ყოველივე ეს განაპირობებს მუდმივი შერწყმის, დიფუზიის ფენომენს.

ამერიკული სოციალურ-ეკონომიკური მოდელის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი ორიენტაცია დაჩქარებულ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე, მთელი ეკონომიკის ინოვაციური მოდელის ფორმირებაზე. არსებითად, ამერიკული სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუციური მოდელი – ეს ეკონომიკის ინოვაციური მოდელია. თავისი ეკონომიკის ინოვაციურობისა და კონკურენტუნარიანობის დონით აშშ უსწრებს იაპონიასა და ევროკავშირს (ევ).

ტრადიციულად ამერიკული მოდელი ემყარება არა მარტო საბაზრო, საბირჟო და ინოვაციურ ფასეულობებს, არამედ პროტესტანტიზმის ფასეულობებსაც (პრაგმატიზმი, პირადი პასუხისმგებლობა და ინიციატივა, დამოუკიდებლობა). აქ მოქმედებს პრინციპი „დაეხმარე საკუთარ თავს“ და არა იმის მოლოდინი, რომ მოვა დახმარება გარედან, კერძოდ, სახელმწიფოდან.

ეს მოდელი, ისევე, როგორც სხვა განვითარებული ქვეყნების მოდელები, ემყარება ერთიან საბაზრო სივრცეს, მომუშავეთა განათლების მაღალ დონეს, ჩამოყალიბებულ კონკურენტულ მექანიზმს და სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას, ასევე კორპორაციული კულტურის მაღალ დონეს.

ამერიკული მოდელი *უპირველესად* გამოირჩევა გამჭვირვალე კონკურენტული გარემოთი, მძლავრი სამეწარმეო სულისკვეთებით, აგრეთვე, საიმედო და დეტალურად შემუშავებული საკანონმდებლო ბაზით.

*მეორე*, აშშ-ში არსებითად შექმნილია „სახალხო კაპიტალიზმი“, რომელშიც მოსახლეობის 70% აქციონერია და კაპიტალი იოლად და სწრაფად გადადის ეკონომიკის ერთი სფეროდან მეორეში.

*მესამე*, აშშ-ის ეკონომიკის საყრდენი არის არა სახელმწიფო და სამოხელეო აპარატი, არამედ ბიზნესი და სამეწარმეო სულისკვეთება, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ხალხში. სახელმწიფო თვითონ თითქმის არაფერს აწარმოებს, სამაგიეროდ საყოველთაოდ მხარს უჭერს ბიზნესს, კონკურენტულ გარემოს და ყველაფერს აკეთებს, რომ ამერიკულმა ეკონომიკამ განავითაროს თავისი ინოვაციურობა და იყოს ლიდერი მთელ მსოფლიოში.

ბევრი ამერიკელი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ამერიკული მოდელი ყველაზე ეფექტიანია მსოფლიოში და უნდა ყალიბდებოდეს სხვა ქვეყნებში ამერიკულ დემოკრატიასთან ერთად, რაც შექმნის ახალ მსოფლიო წესრიგს აშშ-ის ლიდერობით. ამავე დროს, აშშ უკან არ იხევს, როცა სჭირდება სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენება მოსახლეობის ცალკეული ფენების სოციალური მხარდაჭერის საქმეში.

ამერიკული სახელმწიფო პრინციპულად ზღუდავს თავის როლს მოსახლეობის მატერიალურ მხარდაჭერაში, იგი მხოლოდ მის ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებზე ზრუნავს. ფინანსური კრიზისის ან ეკონომიკური რეცესიის დროს სახელმწიფო უყოყმანოდ ეხმარება წარმოებასა და ბიზნესს.

**დასავლეთევროპული მოდელი.** თუკი ამერიკულ სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს აქვს ერთეული ხასიათი და ასოცირდება ერთ, თუმცა უზარმაზარ ქვეყანასთან, მისი დასავლეთევროპული ანალოგი მიეკუთვნება არა მარტო ერთიან მაკრორეგიონს, არამედ სახელმწიფოთა დიდ ჯგუფს, რომლებიც გაერთიანებულია ევროკავშირში და შესაბამისად მრავალეროვნულია. შეიძლება ვისაუბროთ როგორც საერთო დასავლეთევროპულ მოდელზე, ასევე მის ცალკეულ სუბმოდელებზე (გერმანულზე, ფრანგულზე, ანგლოსაქსურზე, შვედურზე, სამხრეთ ევროპულზე და ა.შ.).

კაპიტალიზმის თანამედროვე დასავლეთევროპული მოდელი ყალიბდებოდა ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სხვადასხვა სახის ფუძემდებლური წანამძღვრების ბაზაზე, ესენია: ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეურ-კულტურული, სამართლებრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ცივილიზაციური.

თანამედროვე ევროპულ სოციალურ-ეკონომიკურ მოდელში არის ბევრი საერთო და განსხვავებული მასში შემავალი ქვეყნების მიხედვით. საერთოა – უპირველესად საერთო ბაზარი, მეწარმეობის და კონკურენციის თავისუფლება, მძლავრი საბანკო სისტემა და რაც

მთავარია, მოქალაქეთა დაცულობა სოციალური სფეროს ფართო სახელმწიფო დაფინანსების საფუძველზე.

წამყვანი დასავლეთევროპული ქვეყნები თავიანთი სახელმწიფო ბიუჯეტებიდან გადაანაწილებენ 38%-დან (დიდი ბრიტანეთი) 48%-მდე (საფრანგეთი) თავიანთ მშპ-ს. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლით პირველი ადგილი უკავია შვედეთს.

ამგვარად, კაპიტალიზმის დასავლეთევროპული მოდელი არის უფრო რბილი სოციალური თვალსაზრისით და ამერიკულისგან განსხვავებით ხასიათდება დიდი ორიენტაციით სოციალურ გადახდაზე, ამიტომაც მას უწოდებენ სოციალურად ორიენტირებულს, ევროპულ კაპიტალიზმს კი – სოციალურ საბაზრო მეურნეობას.

დასავლეთევროპული კაპიტალიზმი ნაკლებად ლიბერალურია და უფრო კონსერვატიული, ვიდრე ამერიკული. ეს გამოიხატება სახელმწიფოს მყარი მონაწილეობით საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი სახელმწიფო სექტორის მქონე მრავალი ქვეყნის არსებობით. უნდა ითქვას, რომ აშშ-სთან შედარებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო ჩარევის სფერო ეკონომიკაში გაცილებით ფართოა.

დასავლეთევროპული სოციალურ-ეკონომიკური მოდელისთვის დამახასიათებელია დირიჟიზმის ფაქტორი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში, რაც გამოიხატება არა მარტო სახელმწიფო საწარმოების მართვაში, არამედ ისეთი სახელმწიფოების ეკონომიკების სახელმწიფო დაგეგმვის პრაქტიკაში, როგორებიცაა: საფრანგეთი, შვედეთი, იტალია, რაც საერთოდ არ არის აშშ-ში. თუმცა ეს დაგეგმვა არ ჰგავს საბჭოურს – ცენტრალიზებულსა და დირექტიულს. იქ ის არ არის მბრძანებლური, მით უმეტეს დირექტიული. იგი ინდიკატურია, რომელიც მიუთითებს, მოხაზავს (მონიშნავს) მხოლოდ ძირითად ორიენტირებს მომავალი წარმოებისთვის.

დასავლეთევროპული ქვეყნებიდან ყველაზე ახლოს ამერიკულ მოდელთან არის, რა თქმა უნდა, **დიდი ბრიტანეთის სოციალურ-ეკონომიკური მოდელი,** ამიტომაც იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთოევროპულისგან. სწორედ ამ ქვეყანაში შეიქმნა „მანჩესტერული კაპიტალიზმი", აქვე მოხდა პირველი ეკონომიკური კრიზისი (1825წ.)

მ. ტეტჩერის ლიბერალური რეფორმების შემდეგ ბრიტანული მოდელი დღეს სავსებით სააქციო კაპიტალიზმის საბაზრო მოდელია, თუმცა სახელმწიფო სექტორის წილი ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად მაღალი რჩება, ვიდრე აშშ-ში. სააქციო ფირმებისა და კორპორაციების მთავარი მიზანი იქ არის აქციონერთა შემოსავლების მაქსიმიზაცია. სააქციო საკუთრების ფართო გავრცელება ხდება კორპორაციული კონტროლით, რომელიც ხორციელდება მნიშვნელოვანწილად ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით, აგრეთვე შერწყმისა და შთანთქმის ფორმით. თუმცა ეკას ქვეყნების წევრობა, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ბრიტანული და დასავლეთევროპული მოდელების დაახლოებაზე.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ქვეყანაში გატარდა ეკონომიკის დერეგულირების პოლიტიკა. შეიცვალა ბევრი რამ, თუმცა განსაკუთრებული ლიბერალიზაცია და დერეგულირება განიცადა საბანკო-ფინანსურმა სისტემამ, მოხდა ლონდონის საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია. შედეგად, 2004 წელს დიდმა ბრიტანეთმა ისეთი მაჩვენებლით, როგორიცაა ეკონომიკური თავისუფლება, 102 ქვეყნიდან მსოფლიოში მე-6 ადგილი დაიკავა.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ საერთოდ შეწყვიტა საბაზრო ურთიერთობების რეგულირება. ტარდება მკაცრი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, ასევე კონკურენციის სტიმულირების, კრედიტებთან დაშვების, კერძო მეწარმეობისა და კორპორაციული მართვის წესებზე კონტროლის პოლიტიკა. მაგალითად, კანონმდებლობის დარღვევად ითვლება, როცა რომელიმე კორპორაცია იკავებს ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების ბაზრის 25%-ზე მეტს. აგრეთვე, მნიშვნელოვანია დიდ ბრიტანეთში სახელმწიფოს როლი მეცნიერებისა და განათლების განვითარების საქმეში.

განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთევროპული სუბმოდელებიდან **გერმანული,** ანუ რეინის მოდელი. ანგლოსაქსური მოდელისგან განსხვავებით მას აქვს კონსერვატიზმის აშკარა ნიშნები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს უფრო მასშტაბურ და პირდაპირ ჩარევასთან ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. არსებითად ესაა, ერთი მხრივ, სოციალური საბაზრო მეურნეობის და მეორე მხრივ – მეურნეობრიობის საერთო პირობების მკაცრი სახელმწიფო რეგულირების მოდელი.

გერმანიაში სოციალური დახმარების სისტემა დაფუძნებულია პოსტულატზე, რომ მთელი საზოგადოება პასუხისმგებელია ყოველ მოქალაქეზე, იმის მიუხედავად, რა მიზეზით აღმოჩნდა იგი უბედურებაში. ამასთან, სოციალური დახმარებით სარგებლობს არა მარტო გფრ-ის

ყველა მოქალაქე, არამედ ქვეყანაში კანონიერად მყოფი იმიგრანტები.

სოციალური დახმარების ახლანდელი სისტემა ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 50-70-იან წლებში. იგი შეიქმნა ლ. ერჰარდის საბაზრო რეფორმების ბაზაზე, რამაც გამოიწვია „გერმანული ეკონომიკური სასწაულის ეფექტი".

ესოდენ ძვირად ღირებული სოციალური დახმარების სისტემის დაფინანსების ძირითადი წყარო – ესაა მოსახლეობის მომუშავე წილიდან და მეწარმეთა მოგებიდან გადასახადები. ამის შედეგად საშუალო გერმანელი მუშა ან მოსამსახურე იღებს დაახლოებით იმდენივეს, რამდენსაც უმუშევარი. ამის გამო უმუშევრობა ხშირად ხდება ბევრისთვის უფრო მიმზიდველი, ვიდრე სამუშაო. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გერმანიაში ანაზღაურებული შვებულების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 30 დღეს, მაშინ როცა აშშ-ში – 12 დღეს, იაპონიაში კი – 18 დღეს.

შემთხვევითი არაა, რომ გერმანიას დღეს არც ისე კარგი პოზიცია აქვს ევროკავშირის ეკონომიკაში. იქ არის ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, მაღალია საბიუჯეტო დეფიციტის და უმუშევრობის დონე. ამჟამად გერმანიის ახალი მთავრობის მთავარი ამოცანაა ქვეყნის ძველი სოციალურ-ეკონომიკური მოდელის რეფორმა და მოდერნიზაცია.

ანგლოსაქსური მოდელისგან განსხვავებით გერმანული მოდელი ემყარება მძლავრ საბანკო კაპიტალს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოებასთან. ამ მოდელის პრინციპების თანახმად, იქმნება ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები, სამრეწველო კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოებში პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად შედიან ბანკების წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებენ სისტემატურ ზედამხედველობას ამ კომპანიების საქმიანობაზე. ფიქრობენ, რომ ეს მოდელი უფრო მოქნილია და უფრო კონსერვატიული, ვიდრე ანგლოსაქსური.

გერმანიისთვის ძირითადი პრობლემა – ესაა მისი აღმოსავლეთი მიწების ადაპტაცია და განვითარება – ეს ის მიწებია, რომლებიც შედიოდა ყოფილ გდრ-ში. ეს ტერიტორია თავისი ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლით ყოველთვის ჩამორჩებოდა დასავლეთ გერმანიას.

რა თქმა უნდა, გერმანია კვლავინდებურად არის ძალიან ძლიერი, ეკონომიკურად და ტექნიკურად მაღალგანვითარებული ქვეყანა. მას მე-5 ადგილი უკავია მსოფლიოში მშპ-ის სიდიდით, ხოლო ექსპორტით – მეორეც კი. მაგრამ დღესდღეობით მისი ეკონომიკის განვითარება ძირითადად ინერციით მიმდინარეობს და იგი ხშირად ნელდება, ეცემა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა სხვა ქვეყნებთან შედარებით. სულ უფრო მკვეთრად იგრძნობა დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელის რეფორმირების აუცილებლობა. ზედმეტმა გადახრამ სოციალური ფუნქციების მხარეს, მძლავრმა სახელმწიფო მფარველობამ ბიზნესზე და უზარმაზარმა დანახარჯებმა აღმოსავლეთის მიწების ტრანსფორმაციაზე განაპირობა გერმანიის ღრმა კრიზისამდე მიყვანა, რომლიდანაც ჩანს, იგი მხოლოდ ახლა ახერხებს გამოსვლას.

დასავლეთ ევროპაში გერმანულ სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს უახლოვდება თავისი არსით შვედეთის თანამედროვე მოდელი, რომელიც აგრეთვე ემყარება იდეოლოგიურ სოციალ-დემოკრატიულ პოსტულატებსა და ტრადიციებს. ლიტერატურაში შვედური მოდელი ხშირად მოწოდებულია ყველაზე განვითარებული ფორმის „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" სიმბოლოს სახით.

სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი შვედეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად აჭარბებს გერმანიაში ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო სრული დასაქმებისა და შემოსავლების გათანაბრების სოციალ-დემოკრატიული პრინციპები იქ განმტკიცდა კიდევ უფრო მეტად და აგრეთვე აქვს ძველი ტრადიციები. ამასთან, შვედური სოციალ-დემოკრატია არასდროს ემყარებოდა წარმოების სოციალიზაციის საშუალებათა მარქსისტულ იდეებს, ანუ არ უარყოფდა კერძო საკუთრებას და არ გადადიოდა საბაზროდან სახელმწიფო ეკონომიკაზე.

შვედეთში მუშები საკმაოდ ფართოდ და კონკრეტულად მონაწილეობენ თავიანთი საწარმოების წარმოების მართვაში. შვედეთის, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნების, მაგალითზე შეიძლება დავამტკიცოთ, რომ მუშები და კაპიტალისტები აღარ არიან მარადიული მტრები ან მოწინააღმდეგე ანტაგონისტები, ისინი გადაიქცნენ პარტნიორებად საერთო საქმის და ინტერესების რეალიზაციის მიზნით.

დღეს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა მესამედი მოდის სახელმწიფო სექტორზე, ჯამობრივი სახელმწიფო დანახარჯი მშპ-ის 60%-ს აჭარბებს, რაც შვედეთს მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის ქვეყანათა შორის პირველ ადგილზე აყენებს ამ მაჩვენებლის მიხედვით. იქ სოციალური დანახარჯების წილი მშპ-ში 30%-ს აჭარბებს. შვედეთის მშრომელთა დიდი ნაწილი





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირის წევრია და მონაწილეობს მის სამოქალაქო აქციებში.

ზემოთქმულს შეიძლება დავუმატოთ განათლებისა და ჯანდაცვის სოციალიზაციის ფართო პროცესი, სოციალური დაზღვევის არაჩვეულებრივი გაქანება შრომის ანაზღაურების მაღალი დონის შენარჩუნებით.

უნდა ითქვას, რომ ქვეყნის უზომო სოციალიზაციამ უარყოფითი ასახვა პოვა მის ზრდაზე, კონკურენტუნარიანობაზე, მის მოდელს დაეტყო ხარვეზები და საჭირო გახდა მისი „შეკეთება“, მოდერნიზაცია სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

დასავლეთევროპული ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური მოდელებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა **ფინური** მოდელი.

ფინური მოდელი თავისი მოდერნიზაციის დროს ემყარებოდა არა გერმანიისა და თავისი მეზობლის, შვედეთის, არამედ ამერიკული სააქციონერო მოდელის გამოცდილებას.

ფინეთში წარმოების დაფინანსების ძირითადი წყარო გახდა არა სტრატეგიული ინვესტორების კაპიტალდაბანდება, ანუ მსხვილი ან „ჯიბის“ ბანკებიც კი, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული წარმოებასთან, არამედ სააქციო კაპიტალი, საფონდო ბაზარი. ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ბაზარზე აქვს უცხოურ კაპიტალს და ფინეთში არავინ ლაპარაკობს უცხოელების მიერ ქვეყნის რაიმე მიტაცებაზე, მისი სუვერენიტეტის დაკარგვაზე და ა. შ. აქციებში დაბანდებათა დაახლოებით 75%-ს ახორციელებენ უცხოელები. საქვეყნოდ ცნობილ ფინურ კორპორაცია „ნოკიაში“ უცხოურ დაბანდებათა წილი თითქმის 90%-ს აღწევს.

ფინეთში სოციალურ-ეკონომიკური მოდელის შეცვლა მჭიდროდაა დაკავშირებული ელექტრონული მრეწველობის მძაფრ განვითარებასთან. ამის შედეგად ქვეყანამ პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) დონით. ამ გზით ფინეთმა მოახერხა დიდი ეკონომიკური ეფექტით ნედლეულური ეკონომიკიდან, რომელიც დამყარებული იყო ტყისა და ხე-ტყის პროდუქტების ექსპორტზე, გადასულიყო მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ ეკონომიკაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი – ესაა „ტუნდრები და ჩრდილოეთი“.

ელექტრონულ მრეწველობაზე გადასვლა თავის მხრივ დაკავშირებული იყო ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის სერიოზულ განმტკიცებასთან. თუკი 1984 წელს მისი წილი შეადგენდა მშპ-ის მხოლოდ 1%-ს, [illegible] აჭარბებს 3.5%-ს, რაც აშკარად [illegible]-ში და მით უმეტეს საშუალოდ ეკ-ში.

ყურადღებას იპყრობს ის აშკარა ფაქტი, რომ არა მარტო ფინური ბიზნესი, არამედ ფინეთის მოსახლეობის უმეტესობა საკმაოდ მომზადებული შეხვდა ინოვაციებს, რომლებმაც ხელი შეუწყო ეკონომიკის ახალ სააქციო მოდელზე გადასვლას.

**ფრანგული** ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური მოდელი, ასევე ხასიათდება ეკონომიკაში სახელმწიფოს მკვეთრად გამოხატული პირდაპირი მონაწილეობით. იქ ბაზარი, საბაზრო მექანიზმები და სტიმულები წარმოდგენილია ნაკლები ხარისხით, ვიდრე დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაშიც კი, ხოლო სახელმწიფო სექტორი და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება – დიდი ხარისხით. ყოველივე ეს საფრანგეთს აახლოებს არა გერმანიასთან ან შვედეთთან, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებულ სამხრეთევროპულ ქვეყნებთან.

შემთხვევითი არაა, რომ კონკურენტუნარიანობის რეიტინგით საფრანგეთმა 2005 წელს მსოფლიოში 30-ე ადგილი დაიკავა, მაშინ, როცა დიდმა ბრიტანეთმა – მე-13, ხოლო გერმანიამ – მე-15. ტრადიციულად წინა საუკუნეებში მომხდარი ყველა რევოლუციის შემდეგ ფრანგი საზოგადოება დღემდე სიფრთხილით ეკიდება ბიზნესს, განსაკუთრებით კი – მდიდრებსა და წარმატებულ მეწარმეებს. ყოველივე ეს აფერხებს სამეწარმეო გარემოს განვითარებას ქვეყანაში, იქ ბიზნესმენებს დიდ მხარდაჭერას არ უცხადებენ, რაც უარყოფითად მოქმედებს საფრანგეთის პოზიციაზე მსოფლიო ეკონომიკაში.

ომის შემდგომი წლების საფრანგეთში სახელმწიფო დირიჟიზმის სკოლის ფუძემდებელი გახდა ფ. პერუ, რომელიც მიიჩნევდა, რომ სახელმწიფომ სპეციალური აქცენტი უნდა გაამახვილოს ისეთ დარგზე, როგორიცაა მძიმე მრეწველობა. ქვეყანამ პრაქტიკაში განახორციელა ინდიკატური დაგეგმვა.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, ანუ დირიჟიზმი, ყოველთვის იმტკიცებდა თავის პოზიციას საფრანგეთში. 1963–73 წლებში იქ ტარდებოდა აშკარად ლიბერალური კურსი – კურსი, რომელიც უარყოფდა დაგეგმვას, პროტექციონიზმს და ა.შ. შემდეგ ქვეყანაში ისევ განახლდა დირიჟიზმის კურსი, რომლის თანახმადაც ეროვნული წარმოება უნდა განმტკიცებულიყო სახელმწიფო

მხარდაჭერით, უპირველეს ყოვლისა კი, მეცნიერებატევადი, ინოვაციური, კონკურენტუნარიანი.

ბოლო ათწლეულებში ხშირად ხდებოდა კერძო ფირმების დაჩქარებული ზრდა, მათი პოზიციების განმტკიცება ქვეყნის ეკონომიკაში. მთლიანობაში საბაზრო მექანიზმები ფრანგულ ეროვნულ სოციალურ-ეკონომიკურ მოდელში წარმოდგენილია მკვეთრად სუსტად, ვიდრე დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაშიც კი.

**სამხრეთევროპული მოდელი** რაღაცით ახლოსაა ფრანგულთან. ამ მოდელისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოს პირდაპირი და აქტიური დირიჟისტული ჩარევა ეკონომიკაში, საწარმოო პროცესში, თუმცა ამავე დროს ფართო გავრცელება ჰპოვა კერძო საკუთრების საოჯახო ტიპმაც.

ფაშიზმის დროს იტალიამ, ესპანეთმა და პორტუგალიამ განიცადა თავიანთი ეკონომიკების გასახელმწიფოებრიობის მასშტაბური პროცესი. ომის შემდგომ სახელმწიფოს როლი ამ ქვეყნების ეკონომიკაში კვლავ საგრძნობი რჩებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში სულ უფრო ძალას იკრებდა საბაზრო ფაქტორები, ლიბერალური მექანიზმები და ტენდენციები.

**იტალიაში** ეკონომიკის და საზოგადოების ლიბერალიზაციის პროცესი დაიწყო გასული საუკუნის 60-იან წლებში. აქცენტი გაკეთდა საოლქო თვითმმართველობაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე საოჯახო ჩათვლით. წამყვანი ინდუსტრიის გიგანტები იყოფოდა, მაგრამ ამასთანავე, ინარჩუნებდნენ ფინანსურ ცენტრალიზაციასა და ეკონომიკაში სახელმწიფოს მნიშვნელოვან არსებობას.

იტალიაში განმტკიცდა საკუთრებაზე საოჯახო-კლანური კონტროლის პრინციპი. ყველგან იქმნებოდა პირამიდული ბიზნეს-ჯგუფები წვეროში სათავო ჰოლდინგით. მსგავსი სტრუქტურები არაა ანგლოსაქსურ ქვეყნებში, თუმცა სხვა ქვეყნებში თავისებური ნაირსახეობებით გვხვდება (საფრანგეთი, გერმანია, შვედეთი და იაპონიაც კი). ეს მოდელი ხელს უწყობდა ქვეყნის ომისშემდგომ ეკონომიკურ განვითარებას, მოგვიანებით კი შეიქმნა საოჯახო-კლანური კონტროლი საკუთრებაზე.

სამხრეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკური მოდელი ხასიათდება ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის მაღალი წილით. იტალიაში მან გასული საუკუნის 90-იან წლებში შეადგინა მშპ-ის 19,4%.

სამხრეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოოპერაციულ სექტორს, მაგრამ ფინანსურ-საბანკო სისტემა არ გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით. ზოგადად, არალეგალური, ანუ ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი საკმაოდ მნიშვნელოვანია (მშპ-ის არანაკლებ 25%-ისა). იტალიაში მაგალითად, შექმნილია მძლავრი კოოპერაციული სექტორი, რომელიც მოიცავს დაახლოებით 100 ათას კოოპერატივს 10 მლნ კაცით; ისინი მეპაიეები არიან.

იტალიურ საბანკო სისტემას თუ განვიხილავთ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ იგი ისტორიულად ყალიბდებოდა გერმანული მოდელის ნიმუშის მიხედვით. თუმცა შემდგომში იტალიური საბანკო სისტემა სხვა პრინციპებზე აიგო.

სამხრეთევროპული სოციალურ-ეკონომიკური მოდელის მოდერნიზაციის თანამედროვე გამოცდილების შესწავლა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ იგი ვითარდება საბაზრო ფაქტორის გაფართოებისა და განმტკიცების მიმართულებით. აქ დიდ როლს ასრულებს ევროკავშირის ინსტიტუტები, რომლის წევრებიც ეს ქვეყნებია.

იგივე შეიძლება დავასკვნათ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების მიმართ, რომლებშიც ყალიბდება „ახალი ან სრულიად ახალგაზრდა კაპიტალიზმის" მოდელი.

**აზიური მოდელი**. შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური მოდელია **აზიური**, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, წარმოგვიდგება იაპონიის, ინდოეთისა და კორეის გამოცდილებით. რა თქმა უნდა, ამ მოდელს, ისევე როგორც სამხრეთევროპულს, აქვს თავისი ეროვნული სუბმოდელები, მაგრამ აქვს ბევრი საერთოც. მათ შორის უპირველესია ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის დიდი როლი. ეს მოდელი ჩამოყალიბდა ომისშემდგომ პერიოდში. აქაც ხდებოდა ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა. ესეც წარსულის, ძველი იმპერიული ავტორიტარული ცივილიზაციის კვალია. მაგრამ დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში შემცირდა, სოციალური და საბაზრო შემადგენელი კი გაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ **იაპონიაში** შეიქმნა მომწიფებული საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფო რეგულირების დიდი მასშტაბით. ამ მოდელის აქტიური კოპირება მოახდინეს სხვა ქვეყნებმა. იაპონურმა სოციალურ-ეკონომიკურმა მოდელმა თავის თავში მოიცვა ბევრი მექანიზმი, რომლებიც დამახასიათებელი იყო ანგლოსაქსური მოდელისთვის.

დროთა განმავლობაში ამ მოდელმა ამოწურა თავისი რესურსი. გარდა ქვეყნის ეკონომიკაში ჭარბი სახელმწიფო ჩარევისა, ამ მოდელის რესურსის ამოწურვის მნიშვნელოვანი მიზეზი იყო სუსტი კონკურენტული მექანიზმი. იაპონიაში იქმნებოდა ძალიან მსხვილი საფინანსო-სამრეწველო ჰოლდინგები (კეირეცუ), რომლებიც აფერხებდნენ კონკურენციის საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირებას. მიკროდონეზე ამ ჰოლდინგების ფარგლებში კონკურენცია უბრალოდ იბლოკებოდა. თუ გავითვალისწინებთ დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებულ იაპონიის სახელმწიფო პოლიტიკას, რომლის თანახმადაც ქვეყანაში უცხოური კაპიტალი არ დაიშვებოდა, მაშინ ნათელი გახდება, რატომ იყდო, შემდეგ კი საერთოდ შეწყდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. იგი ხანგრძლივმა დეპრესიამ მოიცვა. ეს გრძელდებოდა 2002 წლამდე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც იაპონიის მთავრობამ დაიწყო ეკონომიკური რეფორმების გატარება, მისი ეკონომიკა კვლავ აღორძინდა.

დღეს იაპონიაში რეფორმებს ატარებენ სამრეწველო და სოფლის მეურნეობის სფეროში, საბანკო სექტორში, ეკონომიკურ პოლიტიკაში, რათა მოხდეს საბაზრო მექანიზმების სრულყოფა, კონკურენციის და ინოვაციების სტიმულირება და ა.შ.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და სახელმწიფო სექტორის გავლენა **ინდოეთში** მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მიმდინარეობდა ძველი კოლონიური მოდელის რღვევა. დაგეგმვა მაშინაც დიდ როლს ასრულებდა, მაგრამ შემდგომ ეკონომიკაში კერძო სექტორის მნიშვნელობა გაიზარდა.

ამ მოდელისთვის დამახასიათებელია კოოპერაციული სექტორის ფართო განვითარება და საოჯახო ბიზნესის გადასვლა განვითარებადი სააქციო კაპიტალის სტრუქტურაში, რომელიც დამახასიათებელია დიდი ბრიტანეთისთვის. ამ ქვეყანამ დიდი კვალი დატოვა თავისი ყოფილი კოლონიის ეკონომიკაში. ინდოეთში მიმდინარეობს კოლონიური სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ტრანსფორმაციის მასშტაბური და ფორსირებული პროცესი თანამედროვე კაპიტალისტურად, რაც ხორციელდება ანგლოსაქსური მოდელის გამოცდილებისა და მექანიზმების გამოყენებით. ამ პროცესს ხელს უწყობს ინდოეთში მეორე სახელმწიფო ენად ინგლისური ენის შემოღება და ამ ენაზე სწავლება სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. ინდოეთში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოურ კაპიტალს, მიმდინარეობს სახელმწიფო საწარმოების მასშტაბური პრივატიზაციის თანდათანობითი პროცესი.

მეორე მკვეთრად გამოხატული „აზიური" სოციალურ-ეკონომიკური მოდელია **სამხრეთ კორეის** ინსტიტუციური ეროვნული ეკონომიკური მოდელი. იაპონური გამოცდილების გავლენა მასზე უდავოა. ისევე როგორც იაპონიაში, იქ შეიქმნა მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებები (ჩებოლები). ისინიც აფერხებდნენ ქვეყნის შიგნით თავისუფალი მეწარმეობის კონკურენტულ საქმიანობას. ჩებოლების ერთ-ერთი მთავარი განსხვავება იაპონური კეირეცუებისგან არის საკუთრების ურთიერთობა საბანკო სფეროში.

იაპონური კეირეცუები მუშაობს საკუთარ ბანკებთან და აქვს შეუზღუდავი საკრედიტო შესაძლებლობები, მაშინ, როცა სამხრეთკორეულ ჩებოლებს არ შეუძლია რომელიმე კერძო ბანკის აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენა და იძულებულია სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად საკრედიტო ინსტიტუტებს დაეყრდნოს.

სახელმწიფოს როლი ეკონომიკასა და ბიზნესში კვლავ მასშტაბურია: დგება ხუთწლიანი გეგმები, რომელთაც ინდიკატური ხასიათი აქვს. ქვეყანა კვლავ დახურულია გლობალიზაციისთვის. ბოლო ხანებში აშკარა გახდა, რომ მისი საბაზრო მოდელი ახალ პირობებში არაკონკურენტუნარიანია. შესაბამისად, დაიწყო ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობის პროცესი. დღეს სამხრეთ კორეა მტკიცედ დაადგა თავისი ეკონომიკის მოდერნიზაციისა და შემდგომი რეფორმირების გზას, რათა დაუახლოვდეს მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს.

**ლათინოამერიკული ქვეყნები.** ლათინოამერიკული სოციალურ-ეკონომიკური მოდელი ისტორიულად და გენეტიკურად დაკავშირებულია სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ესპანეთთან და პორტუგალიასთან. მისი ძირითადი კონტურები მეტ-ნაკლებად კონკრეტული სახით შეიმუშავეს გაეროს ეკონომიკური კომისიის ექსპერტებმა ცნობილი არგენტინელი ეკონომისტის რაულ პრებიშეს ხელმძღვანელობით. ამ მოდელში სახელმწიფო გამოდიოდა როგორც მაკროეკონომიკური სიტუაციის რეგულატორი და მეურნეობრიობის უშუალო სუბიექტი.

მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს დაიწყო რეგიონში ლიბერალურ-საბაზრო სოციალურ-ეკონომიკურმა მოდელმა ჩამოყალიბება. მასში მოცემულია „ვაშინგტონური კონსენსუსის"

ძირითადი იდეები. მისი ლათინოამერიკული ვარიანტი აქცენტს აკეთებდა ვაჭრობის და ფინანსურ-საკრედიტო სისტემის ლიბერალიზაციაზე, პრივატიზაციაზე, ეკონომიკის დერეგულირებაზე წარმოებაში სახელმწიფო ჩარევის შემცირების ხარჯზე, კონკურენციის ყოველმხრივ მხარდაჭერასა და საკუთრების უფლების დაცვაზე, მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე ტექნოლოგიის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ლათინოამერიკულ რეგიონში მკაფიოდ გამოიკვეთა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია. ერთი – ნეოლიბერალური საბაზრო გარდაქმნების გაგრძელება, ძველი ეტატისტური მოდელის დემონტაჟი, რომელიც დამყარებულია კეინსიანობის პრინციპებზე. მეორე – დაბრუნება სახელმწიფოს როლის გაძლიერებაზე და კერძო კომპანიების ნაციონალიზაციაც კი, მკაცრი ზომების გამოყენება სახელმწიფო აპარატის ჩარევით საწარმოო პროცესში (ვენესუელა, ნიკარაგუა, ბოლივია).

**აფრიკული მოდელი.** დასასრულ **აფრიკული** სოციალურ-ეკონომიკური მოდელი (სარ-ზე საუბარიც არაა) – იგი ჯერჯერობით მკვეთრად გამოხატული კონსერვატიული და არამიმზიდველი ხასიათისაა. ბუნებრივია, რაც უფრო დაბალია ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონე, მით მეტია სახელმწიფოს როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ასეთი საზოგადოება იმედს ამყარებს არა თვითგანვითარებაზე, არამედ საგარეო დახმარებაზე.

2001 წლის ოქტომბერში წამყვანი აფრიკული ქვეყნების ლიდერები გამოვიდნენ პროგრამით „ახალი პარტნიორობა აფრიკის განვითარებისთვის", რომელშიც საუბარია ეკონომიკის სერიოზულ მოდერნიზაციაზე, მის გამოყვანაზე „ჩრდილიდან" („ჩრდილოვანი სექტორი" აფრიკის უმეტეს ქვეყანაში 52%-ს შეადგენს), რათა ეს ქვეყნები გადაიქცნენ გამჭვირვალე კერძომეწარმეობრივ კაპიტალიზმად. ჯერჯერობით კი ბევრ მათგანში ჩამოყალიბდა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური მოდელი, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც სახელმწიფო-მონოპოლისტურ ფორმებს, ისე აღმოსავლური დესპოტიზმის სიღრმისეულ ნიშნებს.

პოსტსოციალისტური სამყაროს ჩვენს მიერ განხილული ყველა სოციალურ-ეკონომიკური მოდელი საქართველოსთვის სერიოზულ ინტერესს იწვევს.

ყოველ მოდელს თავისი ისტორიული და ეროვნული ფესვები აქვს და არსებობისა და შემდგომი განვითარების უფლებასაც იმსახურებს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო გამოცდილება ანგლოსაქსური მოდელის რიგ მნიშვნელოვან უპირატესობებს გვიდასტურებს. მრავალ მის ნიშანს სხვა მოდელები სესხულობენ. თავის მხრივ ანგლოსაქსურ მოდელსაც ემჩნევა სხვა, უპირველეს ყოვლისა დასავლეთევროპული ქვეყნების მოდელის კონსტრუქციულად გამოყენების, თვითგანვითარებისა და მოდერნიზაციის აშკარა ნიშნები. ამასთან ერთად, ამა თუ იმ მოდელის ფუნქციობა დამოკიდებულია ციკლებზე, რომელსაც გადის არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო ეკონომიკაც. საბაზრო ლიბერალიზმი ფინანსური ან ეკონომიკური კრიზისის პირობებში სუსტდება, ხოლო ეკონომიკური კეთილდღეობისა და აღმავლობის პირობებში – იზრდება.

საქართველომ გულდასმით უნდა მიადევნოს თვალყური მსოფლიოს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ მოდელებს. მისგან სასარგებლო გაკვეთილების მიღებით შესაძლებელი გახდება ქართული სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ფორმირების ფართოდ გაშლა და მისი უფრო სრულყოფილი, თანამედროვე და ეფექტიანი ჩამოყალიბება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი რ. საბაზრო ეკონომიკის მოდელები და საქართველოს სინამდვილე. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. II და III, თბ., 1997, გვ. 133-136

2. გველესიანი მ. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., "კომენტარი" 2008

3. გოგოხია რ.,საბაზრო ეკონომიკა, ლექციები,თბ.,"საქპროფგამი",1996

4. ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე.,გრიშიკაშვილი ა.,ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა,თბ., 2008

5. სანთელაძე ნ. საბაზრო ეკონომიკის მოდელები, თბ., 1993.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფირმათა კლასტერები გლობალურ ინოვაციურ ეკონომიკაში



მაია კაპანაძე
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების
სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.



მსოფლიო მასშტაბის მქონე ანალიტიკურ პუბლიკაციებში ამჟამად თვალში საცემად მოხშირდა კლასტერებისადმი მიძღვნილი თემები. მაგალითად, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის 2008წ. მიმოხილვაში, რომელშიც ფირმების ინოვაციური დონის ამაღლების პოლიტიკისა და პრაქტიკული ინსტრუმენტების შერჩევას ეხება, მთელი თავი აქვს დათმობილი აღნიშნულ საკითხს.[1]

კლასტერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება და მათი უპირატესობაც იმაშია, რომ მათში შემავალი საწარმოების, დაწესებულებისა და ცალკეული პირების მყარი პარტნიორობით განპირობებული პოტენციალი თითოეული მათგანის პოტენციალების უბრალო ჯამზე მეტია. ეს სინერგიზმის შედეგს წარმოადგენს, თუმცა, რაოდენობრივად მისი გაზომვა ადვილი არაა.

კლასტერების აქტიურად განვითარებას ახლა მთელ მსოფლიოში ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიან მიმართულებად მიიჩნევენ. მაგალითად, ევროპაში ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ ჯერ კიდევ 1997წ მიღებულ დეკლარაციაში და მოქმედებათა იმ გეგმაში, რომელშიც ეს დეკლარაციაა დეტალიზირებული, ქსელებისა და კლასტერების საფუძველზე ახალი საწარმოო სისტემის ფორმირება ხსენებული თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მიმართულებადაა გამოცხადებული.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირში ყოველი ღონისძიებით ცდილობენ საკუთარი მრეწველობის ინოვაციურობის ამაღლებას. აქ კლასტერულ პოლიტიკას დარგებისა და მთელი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკვანძო ინსტრუმენტად განიხილავენ. საზოგადოდ, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრაციაზე დაყრდნობით, მათ შორის – კლასტერების განვითარებით. ეს გამოცდილება ძალიან ფასეულია გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებს საჭიროებენ თავიანთი ეკონომიკის მოდერნიზებისათვის. თუმცა, კლასტერული ტექნოლოგიების დანერგვას ყველაზე ხელშესახები ეფექტის მოცემა იქ შეუძლია, სადაც ხელისუფლება და ბიზნესი მჭიდროდ თანამშრომლობს მრეწველობის კონკურენტუნარიანი დარგების შექმნაში და მათი ეფექტიანობის ამაღლებაში.

ცხადია, გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მოდერნიზების წარმატებით ჩატარებისათვის მხედველობის არიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ, ჯერ ერთი, გეგმიანი ეკონომიკის ადგილზე საბაზრო ეკონომიკა მკვიდრდება, ხოლო, მეორე მხრივ, სამეურნეო განვითარების ინდუსტრიულ მოდელს ცვლის პოსტინდუსტრიული და ინოვაციური მოდელები. გლობალიზაციის ეპოქაში საკმაოდ მოძველდა ეკონომიკური განვითარების მართვის დარგობრივი ლოგიკა, რადგან ჩვენს დროში თვითონ „დარგის" ცნება ვირტუალური გახდა. ახლა სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება ისეთი ახალი მიდგომები, რომლებიც გულისხმობენ სამრეწველო განვითარებაზე ირიბ ზემოქმედებას და ერთ-ერთი მათგანი სწორედ კლასტერული მიდგომაა.[2]

როგორც ცნობილია, გლობალიზაცია აძლიერებს წარმოების ფაქტორების მობილურობას და კომპანიები თავიანთი საწარმოების იქ განთავსების შესაძლებლობას ქმნის, სადაც ეს ყველაზე მეტ ეფექტს მოუტანს მათ. თუმცა, ცხადია, ჩვენ აქცენტი ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენაზე უნდა გავაკეთოთ.

ეკონომიკურ გლობალიზაციას ახასიათებს ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლება, ქვეყანაში კომპანიების შერწყმის მატება, საწარმოების მეტი კარგახსნილობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტენდენცია და ა.შ. გლობალიზაციის ეს ასპექტები, ცხადია, კლასტერულ განვითარებაშიც იჩენს თავს.

გლობალიზაცია პირველ რიგში ხელს უწყობს მსოფლიო ბაზარზე კლასტერების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. კლასტერში მყოფი კომპანიები თავიანთი რენტაბელობის ამაღლების მიზნით ახერხებენ უფრო ნაკლები დანახარჯების მქონე რეგიონებში გადაიტანონ წარმოება. გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში გამოყენებული ეს პრაქტიკა ხელს უწყობს პროდუქტის ღირებულების შემცირებას.

კლასტერების გლობალიზაცია რამდენიმე ფორმით ვლინდება, რომელთა შორის ყველაზე მარტივია მათი წევრი ფირმების საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ზრდა. მეორე ფორმაა შუალედური საქონლის, მანქანებისა და მოწყობილობების ექსპორტის გაფართოება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს იმ საფაქრო ოპერაციების ხვედრითი წილის ამაღლება, რომლებიც საქონლის საბოლოო მწარმოებელზე არ მოდის. მაღალტექნოლოგიურ დარგებში (კომპიუტერების წარმოება და ა.შ) და, აგრეთვე კაპიტალური მოწყობილობისა და სამშენებლო მასალების წარმოებაში ისახება კრეატიული კონკურენცია. ეს ნიშნავს იმ ღონისძიებების გამოყენებას, რომლებიც საბაზრო ურთიერთობათა რაიმე კომპონენტის შექმნაზეა ორიენტირებული (ვთქვათ, ახალი პროდუქცია, წარმოების ორგანიზაციის და ტექნოლოგიის ახალი ფორმების გამოყენება, გასაღების ახალი მეთოდების დანერგვა და სხვა).

კლასტერების განვითარებაზე გლობალიზაციის გავლენა თვალნათლივ მჟღავნდება მაშინ, როცა საბოლოო მწარმოებლები იწყებენ კომპონენტებისა და მოწყობილობების იმპორტს ან და მათ წარმოების დამოუკიდებლად, მაგალითად, აუტსორსინგის დროს, ე.ი. მშობელი კომპანია სუბმოიჯარადე ფირმებს გადასცემს მცირე ღდღ-ს მქონე ოპერაციების ნაწილს.

აუტსორსინგი ხელს უწყობს მოცემული კომპანიის საქმიანობის დელოკალიზაციას, როცა მას წარმოება გადააქვს უფრო იაფი და შედარებით კვალიფიციური სამუშაო ძალის მქონე რეგიონებში. მაგალითად, პოლონეთის საფეიქრო მრეწველობაში დასაქმებული მუშის ხელფასი 11-ჯერ მცირეა, ვიდრე იტალიაში. მსგავსი ვითარება უბიძგებს ტაივანისა და ჰონკონგის მსუბუქი მრეწველობის მრავალ კომპანიას თავიანთი საქმიანობის ჩინეთში გადატანისაკენ. სწორედ დელოკალიზაციის წყალობით 1980-2000 წლებში გაათმაგდა ჰონკონგის ფეხსაცმლისა და საფეიქრო წარმოება და ამაღლდა მისი მსუბუქი მრეწველობის კონკურენტუნარიანობა.

გლობალიზაციის კიდევ ერთი გამოვლინება უკავშირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რომლებიც საბოლოო საქონლით უზრუნველყოფაში ხელს უწყობენ იმით საზღვარგარეთულ ბაზრებს, რომ ფინანსებით ამარაგებენ შუალედური საქონლისა და მოწყობილობების მწარმოებლურ ფირმებს. მაგალითად, იაპონიის საავტომობილო კომპანიები საზღვარგარეთ ისე აფუძნებენ კლასტერებს, რომ საკუთარი კლასტერების კოპირებას ახდენენ იქ.

გლობალიზაცია კლასტერებზე კაპიტალის მობილობის მეშვეობით მოქმედებს. ამ დროს ადგილობრივ საწარმოებს ტრანსნაციონალური კორპორაციები იძენენ. ეს ორმაგად აისახება კლასტერის ფუნქციონირებაზე. ერთი მხრივ, მსხვილი კომპანიის მიერ რამდენიმე წვრილი საწარმოს შეძენას შეუძლია გამოიწვიოს კლასტერში შემავალ ფირმებს შორის ჩამოყალიბებული მჭიდრო და ზოგჯერ არაფორმალური კავშირების რღვევა, რის შემდეგაც კლასტერს შიგნით ურთიერთობები ძირითადად ვერტიკალური ხდება; მეორე მხრივ, ტრანსნაციონალური კორპორაციის შემოსვლას დადებითი როლის თამაში შეუძლია კლასტერის განვითარებაზე ინოვაციების გავრცელების წყალობითა და კლასტერის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის გასაღების ბაზრების გაფართოებით. შედარებით ნაკლები დანახარჯების მქონე ქვეყნიდან (მაგალითად, ჩინეთიდან) პროდუქციის იმპორტირება უარყოფითად მოქმედებს კლასტერებზე. ამ დროს იმპორტიორი ქვეყნები მოცემულ ქვეყანაში წარმოების შექმნას კი არ ცდილობენ, არამედ მძლავრ სადისტრიბუციო არხებს ქმნიან თავიანთი პროდუქციის გასასაღებლად. ასეთი არასასიკეთო გავლენა შეინიშნება იტალიაში, საფრანგეთში, გერ-სა და ესპანეთში. მას შემდეგ, რაც 2005წ. ყველა შეზღუდვა გაუქმდა ევროკავშირის ქვეყნებში ჩინეთიდან ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეტანაზე, ევროპაში ჩინეთიდან საქონლის ექსპორტმა 46%-ით მოიმატა (ცალკეულ ნაწარმზე-10-ჯერაც კი). ამით განსაკუთრებით დაზარალდა იტალიური ფირმები, რომლებიც მსოფლიო ბაზრის 8%-ს ფლობენ და ამ მხრივ მეორე ადგილზე იმყოფებიან. საყურადღებო ფაქტია, რომ ჩინეთის ფირმები დღეს-დღეობით თვითონ იტალიაში აკონტროლებენ დაბალფასიანი სეგმენტის ბაზრის 60%-ს და აფასოებენ საშუალო სეგმენტში დაკავებულ წილს.

ცხადია, იტალიაში ამის საპასუხო ზომებს უკვე ინტენსიურად მიმართავენ და ამის ერთ-ერთი მეთოდია Made in Italy. მისი არსი იმაშია, რომ იტალიის მცირე ან საშუალო ზომის ფირმები თავიანთი სავაჭრო მარკების წინ წამოწევისას დაჟინებით მიუთითებენ, რომ ესა თუ ის ნაწარმი სწორედ იტალიაში დამზადებული და ამით უსვამენ ხაზს მის მაღალ ხარისხს. კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით იტალიური კლასტერები იძულებულნი არიან უფრო ძვირიან სეგმენტზე გადაერთონ, გაზარდონ ხარისხი და დამატებული ღირებულება. ისეთი მულტინაციონალური კომპანიები, როგორიცაა Armani, Bulgari და Dolce Gabana, დიდი მოგების მომტან სტრატეგიას მიმართავენ, როცა ჯერ თავიანთ სავაჭრო მარკას ყიდიან და შემდეგ კი – საქონელს.[3, c.100-102]

კლასტერული მიდგომის პრიორიტეტულობაზე მსჯელობის დროს, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით კლასტერების მონაწილე ფირმების (როგორც ბაზრის სუბიექტების) ცალკეული მახასიათებლის ტრანსფორმაციის საკითხს ჩვენს გლობალურ ეპოქაში, როცა ასე თვალში საცემი გახდა წარმოების კონცენტრაციის ზრდის, პროდუქციის დიფერენციაციის გაღრმავებისა და წარმოების დიფერენციაციის ტენდენციები.

ფირმის ბუნების შესახებ დღეისათვის ჩამოყალიბებულ ტრადიციულ შეხედულებას რამდენიმე დაშვება უდევს საფუძვლად. ჯერ ერთი, იგულისხმება, რომ ფირმა გადაწყვეტილებას იღებს, როგორც განუყოფელი ერთეული; მეორე, ყოველი ფირმის სარგებლობის ფუნქცია შეიცავს ხოლოდ ერთ ცვლადს და ესაა ერთმნიშვნელოვნად გაზომვადია და მისი მაქსიმიზაცია ერთმნიშვნელოვნადაა განმარტებული; მეოთხე, ამოსავალი პოზიციაა მეწარმის ქცევაში რაციონალურობის პრინციპის დაცვა. როდესაც მეწარმე გადაწყვეტილებას იღებს, თავისი გადაწყვეტილების შესრულების შედეგად იგი სარგებლობის მაქსიმიზაციას აპირებს; და მეხუთე, კომერციულ ურთიერთობებში გამოყენებული ინფორმაცია სავსებით სარწმუნოა (უტყუარია). საკმაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ეს ხუთი დაშვება აყალიბებს ისეთი ფირმის ტრადიციულ სურათს, რომელიც მოგების მაქსიმიზირებას ახდენს განსაზღვრულობის პირობებში. ძირითადად ამ დაშვებების საფუძველზეა შექმნილი ფირმის განმარტებათა მრავალფეროვანი სპექტრი.[4, c.36.] მაგრამ ასეთი მიდგომების დროს საჭიროდ არ თვლიან ფირმის ბუნების შინაგანი ასპექტების გამოკვლევას (ორგანიზაციული საკითხები, პერსონალი, კავშირის არხები და ა.შ.). არადა, მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებენ, რომ საბაზრო ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე თანდათანობით იცვლება სწორედ ფირმის როგორც ბაზრის სუბიექტის შინაგანი ბუნების მახასიათებლები. პირველ რიგში საცნაურია ზომის მიხედვით ფირმების დიფერენციაციის პროცესი. ფირმის ბუნების ანალიზის დროს ტრადიციული მიდგომა ამ მოვლენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მაგრამ ახლა ერთ მხარეს უზარმაზარი შიდა ბრუნვის მქონე გიგანტური ფირმები ჩნდება, მეორე მხარეს კი არნახულად მატულობს. ერთეული ფირმების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ხვედრითი წილი მცირეა, არათუ ისე ბევრი მსხვილი ფირმისა კი – არსებითი. უკვე XXIს. დასაწყისისათვის ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენობამ 60 ათასს გადააჭარბა; საზღვარგარეთ მათ თითქმის 700 ათასი ფილიალი აქვთ, მათვე კორპორაციისშიდა (ფირმათაშორის) კონტრაქტები და ყველა ქვეყნისა და ყველა სახის ეკონომიკურ საქმიანობას მოიცავს. ცხადია, ასე განსხვავებული ფირმები ერთნაირად არ მოქმედებენ დარგობრივ ბაზრებზე.[5, c.68]

მათი ერთი ჯგუფის ქცევა მთლიანადაა დამოკიდებული დარგობრივ ბაზარზე უკვე ჩამოყალიბებულ ვითარებაზე და მათ ჩვეულებრივი ფირმები შეგვიძლია ვუწოდოთ; მეორე ჯგუფი კი, ე.წ. აქტიური ფირმები, თვითონ ახდენენ გავლენას ბაზრების სტრუქტურაზე, კონკურენტებსა თუ მომხმარებლებზე. ასეთი ფირმები ყოველმხრივ ცდილობენ საკუთარი ფარგლების იქეთაც გაიტანონ თავიანთი გავლენა და თავიანთი შიდასაფირმო მბრძანებლური ურთიერთობები დარგობრივ საბაზრო ურთიერთობებზეც გაავრცელონ. ამის ცოდნას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, რომლებშიც მიმდინარე საბაზრო გარდაქმნები. ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის საწარმოთა კლასტერიზაციის ინსტრუმენტარიუმის გამოყენებას. ქვემოთ სწორედ რამდენიმე ასეთ ქვეყანაში კლასტერული მიდგომის გამოყენების გამოცდილებაზე გვექნება საუბარი.

მაგალითად, ყაზახეთის რესპუბლიკაში კლასტერების განვითარება დაიწყეს ქვეყნის კონკურენტ უპირატესობათა ანალიზით. რესპუბლიკის მთავრობამ კონტრაქტი გააფორმა ამერიკის კონსალტინგურ კომპანია J.E. Austin Associates Inc.-თან, რომელმაც პირველი კლასტერული ინიციატივა განახორციელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტზე მასთან ერთად მონაწილეობდნენ სს „მარკეტინგულ-ანალიტიკური სამეცნიერო მრჩეველი„ პროფ. მაიკლ პორტერი. კლასტერულმა ანალიზმა გამოავლინა ქვეყნის კონკრეტული შესაძლებლობები და მოახდინა იმ 10-მდე პერსპექტიული საპილოტე კლასტერების იდენტიფიკაცია, რომლებმაც ინდუსტრიული საფუძველი უნდა მოუმზადოს ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, აგრეთვე, დაადასტუროს ყაზახეთში კლასტერული მიდგომის სიცოცხლისუნარიანობა. საბოლოოდ გამოვლინდა შემდეგი კლასტერების შექმნის შესაძლებლობა:

1.ტურიზმის დარგი

2.სამშენებლო მასალის წარმოება

3.საფეიქრო წარმოება

4.ავეჯის მრეწველობ

5.კვების მრეწველობა და სხვა.[6]

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთის სამეურნეო განვითარების საკვანძო ბაზა მისი ნავთობისა და გაზის რესურსებია. ამიტომ ქვეყანაში განსაკუთრებული ინტერესით ადევნებენ თვალს ნავთობ-ქიმიური კლასტერის ჩამოყალიბებას, რომელიც რუსეთის, ამერიკის, აზერბაიჯანის, ჩინეთისა და ინდონეზიის კომპანიებთან ითანამშრომლებს. კლასტერის ფარგლებშია პლასტმასების, პოლიპროპილენისა და სხვა მასალების წარმოება.

ქვეყანაში ასევე ვითარდება სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერი „მიწა-ზღვა-ცა„ რომლის ბირთვიც ხდება პორტ აქტაუს გაფართოება. მასში 2015 წლისთვის იგეგმება რამდენიმე სეზონის შექმნა §70 მლრდ-იანი დაბანდებებით. ეს ზონები უნდა იყოს High-Tech კლასტერი Aktay-industries, სატრანსპორტო-ლოგისტიკური Free trade, საკურორტო ზონა „კენდერლი" როგორც კასპიის ზღვაზე ტურისტული კლასტერის ფორმირების საფუძველი.

ყაზახეთში შექმნილია ახალი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენის პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია ამ რეგიონში მეთევზეობის კლასტერის შექმნა. შენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამი თევზგადამამუშავებელი საწარმო; მიმდინარეობს აგროსამრეწველო კლასტერების განვითარების პროგრამის ხორცშესხმა, რომლის შესაბამისად მოეწყობა ბამბის, ხორცის, რძის, მატყლის, ხილის, ბოსტნეულის, ბრინჯისა და სოიოს წარმოება. ისინი ჩაფიქრებულია როგორც საერთაშორისო ტრანსსასაზღვრო ალიანსები.[7]

არსებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთში უკვე არის კლასტერების საქმიანობის გამოცდილება, მაგალითად, ქსოვის ... მაღალტექნოლოგიური საწარმოო დარგების ჯგუფის ორგანიზაციის სახით. მასში შედის 29 საწარმო და ორგანიზაცია: სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს მცირე საწარმოები და სხვა. ყველაზე პერსპექტიული კლასტერული პროექტებიდან გამოყოფენ ტოლიატის საავტომობილო კლასტერს, მოსკოვისა და სამარის ავიაკოსმოსურ კლასტერებს, ზელენოგრადის მიკროელექტრონიკულ კლასტერს, ტომსკის ოლქის საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების კლასტერებს და ა.შ.

კლასტერების ბაზაზე საწარმოო რესურსების ფორმირების საქმეში ერთგვარი წარმატებებია მიღწეული უკრაინაში, სადაც პროგრამა „პოდოლიე პირველის„ პროგრამის ფარგლებში ხმელნიცკის ოლქში მოქმედებს სამკერვალო, სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოების, სამშენებლო კომპანიების და სამშენებლო მასალების მწარმოებელთა კლასტერები. მათმა ფუნქციონირებამ დადებითი სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვია რეგიონში, საგრძნობლად შეიცვალა საინვესტიციო კლიმატი.

ხმელნიცკის ოლქში განსაკუთრებით აქტიურად ვითარდებოდა ტურისტული კლასტერები, რომლებიც ორიენტირებული იყო ადგილობრივი საქმიანი წრეების ინიციატივასა და მდიდარი კულტურულ-ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე. საქართველოს როგორც ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყნისთვის გამორჩეულად ფასეულია ეკოაგროტურიზმის კლასტერის მუშაობის გამოცდილება, სადაც მნიშვნელოვანადაა განვითარებული ქალთა მეწარმეობა, გამოყენებულია ადგილობრივი რეკრეაციული და კულტურულ-ისტორიული შესაძლებლობები. პროგრამით გათვალისწინებულია მხარის ისტორიულად ფორმირებული, ტრადიციული ხელოსნობისა და მხატვრული რეწვის აღორძინება. კარპატისპირეთში ჯერ კიდევ 2000წ. აღმოცენდა პირველი კლასტერული სტრუქტურები, რომლებიც დასპეციალდნენ ტურიზმსა და სუვენირული პროდუქციის წარმოების სფეროში, მატყლის ნაკეთობათა დამზადებაზე. ამ მიმართულებათა განვითარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის პედაგოგები, ხალხური შემოქმედების ოსტატები, მეწარმეები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ახლა მსოფლიოში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა

სუფთა პროდუქციაზე, რომელიც გაცილებით მეტ მოგებას იძლევა, ვიდრე ნედლეულის გაყიდვა. ამის გათვალისწინებით დიდად შემოსავლიანი ხდება ორგანული მიწათმოქმედებისა და მისი მომიჯნავე მწვანე სასოფლო ტურიზმის კლასტერი, რომლის ინიციატორებად უკრაინაში საზოგადოებრივი ფერმერული ეკოლოგიური ორგანიზაციები გახდნენ.

სომხეთში ყველაზე უფრო განვითარებულია საიუველირო ნაკეთობათა გამოშვებისა და ალმასების დამუშავების, ღვინო-კონიაკის, აგრომრეწველობის პროდუქტების მწარმოებელი და სხვა კლასტერები. საგულისხმოა, რომ აქ აქტიურდება ფარმაცევტული კლასტერი და ფართოვდება სამკურნალო ბალახებისაგან დამზადებული მედიკამენტების ხვედრითი წილი(თითქმის 1/4), ხოლო ორგანული მიწათმოქმედების კლასტერის პროდუქცია სულ უფრო მეტ მეტოქეობას უწევს იაფ თურქულ ნაწარმს.

საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის საქმეში კლასტერული მიდგომის გამოყენების ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ დედაქალაქის ეკონომიკის განვითარების პროგრამა დინამიკური კლასტერების ირგვლივ. მეთოდოლოგია, რომელიც თბილისში გამოიყენეს მომავალი ინდუსტრიული კლასტერების იდენთიფიკაციისთვის, ემყარება ბაზრის მიმზიდველობის ანალიზს. იგი Mckinsey&Company-მ ჩაატარა ბაზრებზე კორპორაციული ფონდებისა და ინვესტიციების განთავსების გაუმჯობესების მიზნით. კლასტერები შეფასდა მათი საბაზრო პოტენციალის, საბაზრო სტრუქტურისა და ბაზრის ზომის, მისი გაჯერებულობის და ბაზრის ზრდის კოეფიციენტის შეფასების საფუძველზე; საბაზრო სტრუქტურა შედგება მომწოდებლების, მყიდველების, შემცვლელი პროდუქტებისა და კონკურენციის ინტენსიურობისაგან; გარემო კი მოიცავს ზოგად ეკონომიკურ პირობებს, პოლიტიკურ მდგომარეობას, ტექნოლოგიას და საზოგადოებრივ ფაქტორებს.

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან, რომელიც 2-ის ტოლია, ფინანსურმა კლასტერმა მიიღო ზოგადი შეფასება 1,1; სატრანსპორტო კლასტერებმა 1,2; ინდუსტრიულმა კლასტერმა- 1,4 რაც შეეხება თვითონ საქართველოში მოღვაწე სპეციალისტებსა და პროფესიონალებს, ბევრი მათგანი აზრით ქვეყანაში პრიორიტეტული უნდა იყოს ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო პროფილის კლასტერების შექმნა. კერძოდ, საქართველოს მომგებიანი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია სპეციალური პროგრამის შემუშავება, მისი სატრანზიტო ფუნქციის გასაძლიერებლად.

თუმცა, ჩვენი აზით, საქართველომ, როგორც მცირემიწიანმა, მაგრამ ხელსაყრელი კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების მქონე ქვეყანამ გეზი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე უნდა აიღოს. "ამით ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ".[8]

დაბოლოს, ერთი (ამჯერად პოლიტიკური) ასპექტის შესახებ, რომელსაც თითქმის არ იხსენიებენ კლასტერულ ანალიზში. ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, კლასტერებს დაახლოებით 10წელი ჭირდებათ რეალური კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ესაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ 4-5 წლიანი საარჩევნო პერიოდის გამო პოლიტიკოსები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ (ან სულაც უგულვებელყოფენ) კლასტერულ მიდგომებს თავიანთ ეკონომიკურ პროგრამებში. არადა, დღეს არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანმიმართული მცდელობის პირობებში ნამდვილად შესაძლებელია ზემოხსენებული 10-წლიანი პერიოდის არსებითად შემჭიდროება.[9 გვ118-126]

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Enhancing the innovative Perfomance of Firms:policy Options and Practical instruments. United Nations.EGE/CECI.CR2008.Geneva,2008

2. Ялов Д.А. Кластерный подход, как технология управлерия региональным экономическим развитием

3. Ткачева с. Кластеры и формирование структур региона./МЭМО №5-2009.

4. Хей Д., Моррис Д. Теория Организаций промышлености.СПВ.1999.Т2.

5.Чивриков Г.ЮНКТАД о формирований глобльного рынка предпрятий. //РЭЖ,2001,№8.

6. Национальное информационное агенство КазИнформ( www inform.kz)

7. Емельянов С.Стратегия развития науки и технологии США в XXI в //проблемы теории и практики управления,2002,№1 www.infi.kz.

8. მ.კაპანაძე. საქართველოს აგრარული სექტორი კრიზისის პირობებში. ეკონომისტი №4 2009წ.

9. მ.ჭურჭელაური. რკინიგზის კლასტერი.ე. ეკონომიკა და ბიზნესი №4, 2011.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსაზრებები ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის მაჩვენებლის შესახებ

**ზაირა დუდუშაური**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სრული პროფესორი

**ნინო ლაზვიაშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

**ინგა კულიანი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

როგორც წესი, სამეწარმეო საქმე გარკვეულ ინვესტიციებს საჭიროებს. მეწარმეს, მით უფრო თუ იგი მცირე მეწარმეა, რომელსაც შეზღუდული რესურსები გააჩნია, ბუნებრივია აინტერესებს, თუ რამდენ ხანში დაუბრუნდება უკან საინვესტიციო პროექტში დაბანდებული სახსრები. ხშირად მეწარმე მხოლოდ ამ ინფორმაციით იღებს გადაწყვეტილებას საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების შესახებ. ამის გაგებაში მეწარმეს ეხმარება ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის მაჩვენებელი, რომლის ყველაზე უმარტივესი ფორმულა ასეთია [1, გვ. 149]:

$$pp = \frac{II - \text{ინვესტირებული თანხა}}{ACI - \text{ყოველწლიური შემოსავალი}}$$

თუმცა, უნდა ავღნიშნოთ, რომ არა თუ მარტივი, არამედ ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირებული ვადის კლასიკური ფორმულაც კი,

$$\left( Dpp = \frac{II}{\sum_{t=1}^{n} ACI \cdot \frac{1}{(1+r)^t}} \right)$$

ხშირად ვერ აკმაყოფილებს მეწარმე-ინვესტორის ინტერესს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ინვესტიციების დაბანდებაც და შემო-სავ-ლების მიღებაც სხვადასხვა პირობებში ხდება. შედეგად, მეწარმემ უნდა იცოდეს ეს „ნიუანსები“ და მათი ზეგავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

შევეცდებით ავუხსნათ მეწარმეებს ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის ანგარიშის სხვადასხვა ვარიანტები იმ პირობებიდან გამომდინარე, რომელ პირობებშიც ინვესტირება ხორციელდება:

1. თუ დაბანდებული ინვესტიციებიდან მეწარმე დროის თანაბარ ინტერვალებში, მაგალითად ყოველწლიურად (იმ წლის ჩათვლით, როცა ინვესტირება განხორციელდა), თანაბარ შემოსავლებს ელოდება, მაშინ ინვესტიციების გაყოფით წლიურ შემოსავალზე იგი იპოვის მისთვის საძიებელი მაჩვენებლის – გამოსყიდვის ვადის სიდიდეს. დავუშვათ რომ მეწარმე აპირებს საინვესტიციო პროექტში 25 მლნ ლარის დაბანდებას. ინვესტიციებიდან მისაღები შემოსავლის მოსალოდნელი მოცულობა თანაბარია და წელიწადში შეადგენს 4,5 მლნ ლარს. ასეთ შემთხვევაში,მეწარმეს 25 მლნ ლარის ინვესტიცია უკან დაუბრუნდება 25 : 4,5 = 5,5 წელიწადში.

2. თუ მეწარმეს დაბანდებული ინვესტიციიდან შემოსავლის მიღება დაეწყება არა იმავე წლიდან, არამედ შემდეგი წლებიდან და თანაც, არათანაბარი სიდიდით, მაშინ ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის გამოთვლა ასე მარტივად აღარ მოხდება. ასეთ პირობებში ამ მაჩვენებლის ანგარიშის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ გრაფიკს, რომლის შესადგენად გამოვიყენეთ შემდეგი პირობითი მაჩვენებლები:

- დროითი ინტერვალები (წლები): 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.
- დაბანდებული ინტერვალები (მლნ ლარი): 20, 25, 30 – – – – – .
- მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი) – – – 10, 15, 25, 15, 20.

№1 ნახაზიდან, რომლის ჰორიზონტალურ ღერძზე დროის ინტერვალებია (წლები)

მითითებული, ხოლო ვერტიკალურზე – ინვესტიციები და მისგან მიღებული შემოსავლები, მოჩანს რომ შემოსავლების მრუდი ინვესტიციების მრუდს გადაკვეთს იმ წერტილში, რომელიც 6,5 წელიწადს უტოლდება $(pp = 6,5)$. ეს იმას ნიშნავს, რომ მეწარმე ამ პროექტში დაბანდებულ ინვესტიციებს 6,5 წელიწადში დაიბრუნებს უკან.




ნახ. 1. ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის გრაფიკი

ამ ანგარიშის ჩატარება შეიძლება განხორციელდეს ანალიტიკური მეთოდით შემდეგი ფორმულის გამოყენებით [2, გვ. 180]:

$$\sum_{i=0}^{t} K_i = \sum_{i=0}^{t} D_i$$

სადაც:

$K_i$ – არის $i$ დროის ინტერვალში განხორციელებული ინვესტიციების მოცუ-ლობა;

$D_i$ – არის $i$ – დროის ინტერვალში პროექტის ექსპლოატაციიდან მიღებული შემოსავალი;

$t$ – არის ინტერვალი, რომლის განმავლობაშიც პროექტის შემოსავალი ფარავს დაბანდებულ ინვესტიციებს. ეს მაჩვენებელი იმავდროულად არის ინვეს-ტიციების გამოსყიდვის ვადა.

მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ასე გამოთვლილი გამოსყიდვის ვადის მაჩვენებელი ეჭვს არ იწვევს და ზოგადად სრულად მისაღებია, ინვესტიციური პროექტის შეფასების მეტი ობიექტურობისთვის, სასურველია დამატებით ვიანგარიშოთ ასევე ინვესტიციებიდან მისაღები შემოსავლების ნამატის (ნაზრდის) კოეფიციენტი და პროექტის განხორციელების ბედი ამ ორი მაჩვენებლით გადავწყვიტოთ.

კითხვაზე, თუ რატომ საჭიროებს ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის მაჩვენებელი შემოსავლების ნამატის კოეფიციენტთან შეწყვილებას, ჩვენი პასუხი ასეთია: საქმე ის არის, რომ იმ პირობებშიც კი, როცა ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა ერთი და იგივეა (ჩვენს მაგალითში – 6,5 წელი), დაბანდებული ინვესტიცია

მეწარმეს შეიძლება უკან დაუბრუნდეს სამი სხვადასხვა ვარიანტით (ნახ. 2):

1. ინვესტირებული თანხა ყოველწლიურად უკან ბრუნდება თანაბრად ან თითქმის თანაბრად. მრუდს აქვს სწორხაზოვანი ფორმა (ნახაზზე FD მონაკვეთი);

2. ინვესტირებული თანხა დროის გარკვეულ პერიოდამდე, დავუშვათ 3 წლამდე, ბრუნდება დიდი ნამატით (FG – მონაკვეთი); შემდეგ კი იგი იწყებს კლებას (GD – მონაკვეთი);

3. ინვესტიციები თავდაპირველად ბრუნდება მცირე სიდიდით (FH – მონაკვეთი). შემდეგ კი იწყებს ზრდას (HD – მონაკვეთი).

სამივე შემთხვევაში დაბანდებული ინვესტიციებიც, შემოსავლების საერთო მოცულობაც და გამოსყიდვის ვადაც ერთნაირია (6,5 წელიწადი). განსხვავებულია მხოლოდ შემოსავლის მიღების ინტენსივობა დროში. იგი ხან საწყის წლებშია მეტი, ხან ბოლო წლებში. რადგან ბიზნესში გავრცელებულია ერთი უცვლელი თეზა რომ „დღევანდელი ფული უფრო ძვირია, ვიდრე ხვალინდელი", ეს ნიშნავს იმას რომ მეწარმეს უჯობს ინვესტიციების გამოსყიდვის ამ სამი ვარიანტიდან ის ვარიანტი, რომლის დროსაც საწყის წლებში მეტი შემოსავალი შემოსდის ვიდრე ბოლო წლებში. მე-2 ნახაზზე ნაჩვენები




ნახ. 2. ინვესტიციების გამოსყიდვის ვარიანტები

ვარიანტებიდან ასეთია ამოზნექილი FGD ვარიანტი, ყველაზე ცუდი კი FHD – ჩაზნექილი ვარიანტი.

საერთოდ უნდა გახსოვდეს, რომ რაც მაღალია შემოსავლის ნამატის (ნაზრ-დის) კოეფიციენტი მით მაღალია დაბანდებული ინვესტიციების ეფექტია-ნო-ბა. თვით ეს კოეფიციენტი იანგარიშება ფორმულით [3, გვ. 57]:

$$K_g = \frac{S_g}{S_u}$$

სადაც:

$S_g$ – არის შემოსავლის მატების ფართობის მაჩვენებელი.

$S_u$ – არის ინვესტიციის დინამიკის ფართობის მაჩვენებელი.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ფორმულაში შემოსავლის მატების და ინვესტიციის დინამიკის ფართობზეა საუბარი. გრაფიკული გამოსახვის დროს შეიძლება ელემენტარულ გეომეტრიულ ფიგურაზე (სამკუთხედი, ოთხკუთხედი) ფართობების ფორმით დაიშტ-რიხება განხორციელებული ინვესტიციების სიდიდე და შემოსავლების ნამატი. შემოსავლების ნამატის ფართობის გაყოფით ინვესტიციების ფარ-თობზე მიიღება შემოსავლების მატების კოეფიციენტი [4, გვ. 101]. ამ პროცესის ანალიტიკური მეთოდით ჩატარებისთვის აუცილებლად საჭიროა დავიხმაროთ სპეციალური საავტორო კომპიუტერული პროგრამა „ინვესტ-კრედიტი".

სწორედ ამ პროგრამის დახმარებით ჩვენ გამოვთვალეთ 6 წლის პერიოდზე განხორციელებული ინვესტიციებიდან შემოსავლის მატების კოეფიციენტები. (ცხრ. 1) ცხრილში შემოსავლის დინამიკაც 6 ვარიანტად გვაქვს წარმოდგენილი. თითოეულ ვარიანტში ინვესტირებულია 50 000 ლარი, შემოსავალიც ყველა ვარიანტში მიღე-ბულია 60 000 ათასი ლარი, მხოლოდ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მოცუ-ლო-ბით. პროგრამა „ინვესტ-კრედიტში" ამ მონაცემების შეყვანით მივიღეთ შემოსავლების მატების ასეთი კოეფიციენტები:

- ➢ პირველი ვარიანტი – 0,293;

ცხრილი 1.

**ინვესტირებული სახსრების და მისგან სხვადასხვა დროით ინტერვალებში მიღებული სემოსავლები**

| დროის ინტერვალის რიგითი ნომერი | | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | შემოსავლის მატების კოეფიციენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინვესტირებული სახსრები | | 20 | 10 | 10 | 10 | – | – | – | |
| შემოსავლის დინამიკის ვარიანტები | 1 | | | | | 25 | 15 | 20 | 0,293 |
| | 2 | | | | | 20 | 20 | 20 | 0,271 |
| | 3 | | | | | 10 | 30 | 10 | 0,228 |
| | 4 | | | | 25 | 15 | 20 | | 0,375 |
| | 5 | | | | 20 | 20 | 20 | | 0,347 |
| | 6 | | | | 10 | 30 | 20 | | 0,291 |

- ➢ მეორე ვარიანტი – 0,271;
- ➢ მესამე ვარიანტი – 0,228;
- ➢ მეოთხე ვარიანტი – 0,375;
- ➢ მეხუთე ვარიანტი – 0,347;
- ➢ მეექვსე ვარიანტი – 0,291.

თუ ამ ვარიანტებს ერთმანეთს შევადარებთ დავინახავთ, რომ შემოსავლების მატების მეოთხე ვარიანტი ყველაზე უკეთესია. მისი $K_g = 0{,}375$ -ს, რაც სხვა ვარიანტებთან შედარებით მაღალია.

ასე რომ, მეწარმე-ინვესტორისთვის, რომელიც ამ პროექტში აპირებს ინვესტიციების ჩადებას, უმჯობესი იქნება მისი მეოთხე ვარიანტის განხორციელება.

ინვესტიციების ეფექტიანობის შესაფასებლად შემოსავლების ნამატის კოეფიციენტის დამოუკიდებელ მაჩვენებლად გამოყენებას არ მივიჩნევთ სწორად. იგი მხოლოდ ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის მაჩვენებელს უნდა დაუკავშირდეს და მასთან ერთად იყოს გამოყენებული. ერთი უპასუხებს კითხვას თუ მეწარმე რა ვადაში დაიბრუნებს უკან დახარჯულ ინვესტიციებს, მეორე კი – როგორი ინტენსიეობით დაიბრუნებს მას, ორივე ამ კითხვის პასუხი გადამწყვეტია საინვესტიციო პროექტის განხორციელებისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ზ. ლუდუშაური, ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2007.

2. Богатин Ю., Швандар В., Оценка эффективности бизнеса и инвестиции, М., 1999.

3. Газаев М. Х., Смирнов А. П. Показатели эффективности инвестиции в условиях рынка, М., 1993.

4. Лимитовский М. А. Основы оценки инвестиционных и финансовых решении, М., 1996.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროის ეფექტური მართვის თანამედროვე მეთოდები (ორთობიოტიკა)



ომარ შუდრა
აკადემიური დოქტორი

XXI საუკუნე პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების (გლობალიზაციის) ეპოქაა, მაღალგანვითარებული ინფორმაციული ინფრასტრუქტურებით, რასაც ბუნებრივია, მოყვა ფასეულობათა ტრანსფორმაცია. ინდუსტრიალურისგან განსხვავებით (საქონლის მოხმარება, ფული) ინფორმაციული საზოგადოების დამახასიათებელი ფასეულობაა დრო, რომლის ყიდვა (დაზოგვის მიზნით) სულ უფრო ძვირი გვიჯდება. ამრიგად, ჩვენ ვცხოვრობთ განსაკუთრებულ, დროში შემჭიდროვებულ ეპოქაში, სადაც ბევრი პროფესიის „სიცოცხლის ხანგრძლივობაც" კი სულ უფრო მცირდება (აქ გამონაკლისია აგრარული საზოგადოება, მისთვის დამახასიათებელი შენელებული ცხოვრების ტემპით).

ყოველი საზოგადოებისთვის დამახასიათებელია გარკვეული „დროითი მიდრეკილება", იმისდა მიხედვით, რამდენად აკეთებს ის აქცენტს წარსულზე, აწმყოზე ან მომავალზე (მაგ.: ამერიკა მომავლით ცხოვრობს, ზოგიერთი ქვეყანა კი - წარსულით).

ანალოგიურად ამისა, პიროვნებებიც დროითი ჰორიზონტის ტერმინებში აზროვნებენ („მომავალში", „ახლა", „წარსულში"). ეს განსხვავება კი ხშირად სოციალური (კერძოდ, ოჯახური) კონფლიქტის მიზეზიც ხდება. ერთდროულად „დროში ყოფნის (მიკუთვნების)" გრძნობა ადამიანისთვის თვისობრივად სხვადასხვა შეიძლება იყოს: ფატალური „ტყვეობიდან", მის პიროვნულ გააზრებამდე. სოციოლოგების შეფასებით, რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო ჩამოვრჩებით, ანუ ცხოვრების გაზრდილი ტემპის გამო ვკარგავთ იმას, რასაც ყველაზე მეტად ვაფასებთ. მედიცინაში გაჩნდა ტერმინი „ინფანტილური რეგრესია", რაც გულისხმობს ორგანიზმის (ზედმეტი გადატვირთვისგან) დაცვის სტიქიურ მექანიზმებს, კერძოდ, სტრესის მოხსნას „ბავშვობაში დაბრუნებით". ადამიანები ჩაიკეტენ თავის თავში, არაფერი უნდათ, არაფერი უყვართ (აუტიზმი). საზოგადოებაში გაქრა თბილი ურთიერთობები (ეს განსაკუთრებით ჩინეთსა და იაპონიაში იგრძნობა).

თუ ადრე ნერვიული დაძაბულობის მიზეზად დაწესებულება, სამსახური ითვლებოდა (სახლი, ოჯახი კი - პრობლემებისგან თავშესაფრად), ახლა ექსპერტებს სხვა მონაცემები აქვთ. ამიტომაც გაჩნდა ქრონიკული დაღლილობის სინდრომი (განსაკუთრებით – ქალებში).

ვის არ გამოუცდია კარგად ორგანიზებული მუშაობის სწრაფი რითმისგან სასიამოვნო ეიფორია, მაგრამ რაღაც მომენტში მენეჯერი უნდა დაფიქრდეს, რა უჯდება მას ეს ძალისხმევა და როგორ აისახება მუდმივი დაღლილობა მის სულიერ ცხოვრებაზე.

რაც შეეხება ჩვენს საზოგადოებას – ქართველი სამხრეთ ევროპელს ჰგავს დროისადმი (ისევე როგორც კანონისადმი და სამოქალაქო ცხოვრების წესისადმი) ირაციონალური, უპატივცემლო დამოკიდებულებით. არაა საიდუმლო, რომ შრომის დაძაბულობა ჩვენთან (ისევე, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში) ორჯერ ნაკლებია, ვიდრე დასავლეთში – ჩვენ მუშაობას გადავეჩვიეთ (ამიტომაც გვიყვარს უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები).

თანამედროვე ცხოვრებაში თავისუფალი დროის ცნების განსაზღვრა ძნელი გახდა და კიდევ უფრო ძნელი – მისი გაზომვა.

დროის შემსწავლელი მეცნიერება არ არსებობს. დროის დანახვა, მოსმენა და აღქმა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, დროის შესახებ არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მეცნიერული თვალსაზრისი:

1. დრო (ისევე როგორც სივრცე) არსებობს აპრიორულად, მატერიალური საგნებისგან დამოუკიდებლად.

2. დრო (ისევე როგორც სივრცე) არ არსებობს მატერიალური საგნების გარეშე, ის თვითონაა მატერიალური სუბსტანცია, არის ენერგიის წყარო, აქვს სიმკვრივე და ა.შ. (ამ მიმართულებით

მუშაობდნენ ცნობილი მეცნიერები ნ.ა. კოზირევი, ა.ი. ვეინიკი, რ.ლ. ბარტინი და სხვები).

დისკუსია ამ ორ კონცეპციას შორის დღემდე გრძელდება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ კონკრეტული, პრაქტიკული რეკომენდაციები გვჭირდება. დროის ეფექტური მართვა კომპლექსური პრობლემაა (საქმეთა დელეგირება, მათი პრიორიტეტების დადგენა, დაგეგმვა, ორგტექნიკა და სხვ.). ის ახლოსაა რაციონალური, ჯანსაღი, გონიერი ცხოვრების წესთან (ორთობიოზი, ორთობიოტიკა), რელიგიის ძირითად მცნებებთან.

მაღალი რანგის სპეციალისტები, პროფესიონალები, რომლებიც გეგმავენ დროს თვეებისა და წლების(!) მასშტაბით, ყველაზე დეფიციტური და მაღალხელფასიანი მუშაკები არიან ნებისმიერ საზოგადოებაში. ამრიგად, თანდათანობით იქმნება კვალიფიკაციაზე დაფუძნებული ახალი ელიტა, მასობრივი უმუშევრობის ფონზე.

შრომის რაციონალური, მეცნიერული ორგანიზაციის ტრადიციული მეთოდები დიდი ხანია ცნობილია,* ამიტომ, აქ ყურადღება გამახვილებულია დროის ეფექტური მართვის მხოლოდ უახლეს მეთოდებზე.

**ელექტრონული მონაცემთა ბაზა.** ტრადიციული მისამართების(ქაღალდის) ბლოკნოტებისგან განსხვავებით, ინფორმაციის ძიებაზე ელექტრონული მონაცემთა ბაზა ნაკლებ დროს მოითხოვს (პროგრამები Outlook, ACT, Goldmine და სხვ.). ელექტრონული ფორმით უფრო იოლია შესწორების, ახალი ინფორმაციის შეტანა, წაშლა და ა.შ.

ამ პროგრამებით შეიძლება საქმიანი კონტაქტების მართვა (მისამართები, ტელეფონები, განსაკუთრებული დღეები, ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღებაზე, ვიზიტებზე და ა.შ.). აგრეთვე, გავაკონტროლოთ წერილის შემოსვლის დრო, მივიღოთ შეტყობინება ახალი წერილის მიღებაზე (ავტომატურად), დავახარისხოთ საქაღალდეებში (განყოფილების ან ალფაბეტის მიხედვით) შემოსული და გასული წერილები.

თუ საქაღალდეების რაოდენობა დიდია, ყველაზე საჭირო მოათავსეთ სიის თავში. ლოგიკური საფაილო სისტემა, მოსახერხებელი სისტემით, თვეში რამდენიმე საათს დაგიზოგავთ.

კომპიუტერის მონიტორის ეკრანზე („სამუშაო მაგიდაზე") უნდა დავტოვოთ მხოლოდ აუცილებელი ნიშნაკები, რომელიც ერთი „დაწკაპუნებით" შეიძლება გაიხსნას. ამიტომ,საჭიროა ეკრანის ხშირი გაწმენდა, ნიშნაკების გადანაწილება My documents და სხვა საქაღალდეებში.

როგორც კი დამტკიცდება დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, „შავი" ვარიანტი იშლება (ცხადია, აქ იქნება გამონაკლისიც).

სავიზიტო ბარათების შესანახი ყუთები (და თუნდაც „ალბომები") არც თუ ისე მოსახერხებელია, ამიტომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანის შემდეგ ბარათი საჭირო აღარ არის. დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრონული წერილის** სათაურის (თემის) შერჩევას. ის თუ გასაგებად ჩამოყალიბებული არაა და მხოლოდ საერთო ფრაზაა, პასუხსაც დაგვიანებით მიიღებთ.

ბევრ დროს აკარგვინებს მენეჯერს საერთო, საოფისე (და არა პირადი) პრინტერის,სოციალური ქსელების პირადი მიზნებით გამოყენება.

სისტემატურად განაახლეთ თქვენი პროგრამული უზრუნველყოფა, ოპერაციული სისტემა, მისი დანართები, ანტივირუსული პროგრამები. დროის დაზოგვაში ძალიან მნიშვნელოვანია ინტერნეტის მუშაობის სიჩქარე (სიხშირე).

ოფისის გარეთ, გზაში მუშაობისას დროის დაზოგვის ძლიერი საშუალებაა ჯიბის კომპიუტერი, რომელიც თქვენს საოფისე კომპიუტერთანაა სინქრონიზებული. საუკეთესო (თუმცა ძვირი) ვარიანტია მობილურ ტელეფონთან შეთავსებული, ინტერნეტში ჩართული ჯიბის კომპიუტერი, თუმცა გვეხმარება მუშაობაში ყველაზე იაფიც (რომელშიც მისამართების სიაა შენახული).

მენეჯერთა უმეტესობას კომპიუტერი დამოუკიდებლად აქვს ნასწავლი, ამიტომ იყენებს პროგრამების (განსაკუთრებით, "თვისებების") შესაძლებლობის მხოლოდ 25%-ს. ბევრ დროს მოიგებთ კომპიუტერის კურსებზე შესწავლით.

პროგრამული უზრუნველყოფის განახლებისას საჭიროა (როგორც ყველაფერში) ზომიერების დაცვა: უახლესი პროგრამული პროდუქტების გამოყენებით ხშირად მხოლოდ დროს ვკარგავთ. ამიტომ, მოიცადეთ, დაე, სხვებმა გაარკვიონ, რომელიც მათგანი გაამართლებს მუშაობაში.

მენეჯერის ორგანაიზერი (კალენდარი) აუცილებლად უნდა იყოს ერთი, ცენტრალიზებული. ე.ი. ან ელექტრონული ან ქაღალდზე („დღიური" ბლოკნოტი). წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ცვლილებების შეტანა ორივე სისტემაში მოგიწევთ და საქმეები აგერევათ. თუ უპირატესობა უკანასკნელს მიეცით, ყველაზე მოსახერხებელია ჯიბის ზომის, რათა ოფისის

---

* იხ. ო. შუდრა, როგორ დავზოგოთ და ვმართოთ დრო, მაკრომიკრო-ეკონომიკა №3, 1999წ.
** აშშ-ში ელ.ფოსტით წელიწადში 700 მლნ.შეტყობინება იგზავნება.

გარეთაც (მგზავრობა, ლოდინი, შინ და ა.შ.) შეგვეძლოს მუშაობა.*

ელექტრონული ტექნიკის, კომპიუტერების ოფისებში დანერგვამ ქაღალდების რაოდენობა კი არ შეამცირა, არამედ გაზარდა.

**საქმიან ქაღალდებთან მუშაობა.** აქ, სამწუხაროდ, კომპიუტერი ვეღარ დაგვეხმარება. კარგი მეთოდია საქაღალდე (ბაინდერი) ფაილის „ჯიბეებით", რომელიც დალაგებულია ქრონოლოგიურად, 31 დღეზე, თემატურად (შინაარსით) ან ალფაბეტით. **ეს საქაღალდეები** შეინახეთ მაგიდასთან ახლოს (უმჯობესია უკან) და მოაქციეთ ერთიან, თაროების სისტემაში: სასწრაფო, ხანგრძლივი, კლიენტთა საქმეები, საოფისე ცნობარები და სხვ. დანარჩენი დოკუმენტაცია შეინახეთ უჯრებსა და კარადებში.

შემოიღეთ საქაღალდე „წასაკითხი მასალა", რომელსაც წაიკითხავთ კვირაში ერთხელ, დილით ადრე ან სამუშაო დღის ბოლოს. ფოსტით შემოსული დოკუმენტებისთვის კი უმჯობესია გამოყოთ ფიქსირებული დრო.

წესად შემოიღეთ, რომ შემოსული წერილი, საერთოდ დოკუმენტი, ხელში მხოლოდ ერთხელ აიღოთ და უკან აღარ დაუბრუნდეთ (მაგალითად, იქვე ჩაინიშნეთ საპასუხო ფრაზები წაკითხვისას).

ბევრი ქაღალდები თქვენს მაგიდაზე მხოლოდ ყურადღებას ფანტავს და მენეჯერზე მოუწესრიგებელი, არაპროდუქტიული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**მობილური ტელეფონი** დროის დაზოგვის მიზნით, ოფისის გარეთ მაქსიმალურად გამოიყენეთ, მაგრამ არ მისცეთ მას უფლება, მართოს თქვენი დრო. ამიტომ, ნუ დააწერთ ტელეფონის ნომერს სავიზიტო ბარათს (ე.ი. იქონიეთ სპეცსავიზიტო ბარათიც), ნუ აიღებთ ყურმილს ყოველ ზარზე (უფრო სწორედ, დააყენეთ ის ვიბრატორზე). დროის დაზოგვაში ნომრის ამომცნობიც დაგეხმარებათ, თუ ხშირი კონტაქტების სია იქვე გექნებათ და ა.შ.

როგორც ყველა საქმიანი საუბრისას, საკითხები დარეკვამდე დააფიქსირეთ (იძლევა დროის ეკონომიას და პროფესიონალის რეპუტაციას), ხოლო საუბრის შედეგები მოკლედ და აკურატულად ჩაინიშნეთ. თუ თქვენთან საუბარს იწყებენ ტრადიციული შესავლით (ზოგად თემებზე საუბრით), ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, კარგია ფრაზა: „ბოდიში, შეგაწყვეტინებ, ახლა სასწრაფო საქმე მაქვს, რით შემიძლია დაგეხმარო?"

თქვენს ავტომოპასუხეზე ჩაწერისას ილაპარაკეთ თავშეკავებულად და არ მოითხოვოთ „ძვირფასი ინფორმაცია". დროს დაზოგავთ, თუ მოითხოვთ „მოკლე შეტყობინებას" და „ზარის მიზანს".

თქვენთვის უცხო ოფისში შეხვედრისას (განსაკუთრებით, ქალაქგარეთ), პირველ რიგში დაადგინეთ სმენადობის ზონა.

ძალიან მოსახერხებელია მობილურის ყურსაცმით მუშაობა (Blue Tooth ტექნოლოგია), რადგან ხელები თავისუფალი გვაქვს კომპიუტერისთვის, ჩანაწერებისთვის ან საქმისათვის. ამით ერთდროულად ვუფრთხილდებით ჩვენს ჯანმრთელობას (ნაკლებია დასხივება თავის არეში, საერთოდ კი საუბრის ხანგრძლივობა შეზღუდეთ 3 წუთით, ხოლო დღის განმავლობაში -30 წუთით).

**ადამიანები** (პირველ რიგში, თანამშრომლები), მაინც ყველაზე მეტ დროს გვართმევენ. შეზღუდეთ მათი კონტაქტები (ჩაკეტილი, ან თუნდაც ღია კარი**, გამორთული ტელეფონები, მიღების საათები, მტკიცე "არა" , ავეჯის განლაგება და სხვ.).

ამერიკელების რეკომენდაციით (თუმცა ქართული მენტალიტეტი მას ეწინააღმდეგება) საქმისგან თავისუფალი თანამშრომლებისგან თავის დასაცავად დაჯექით ზურგით კარისკენ, მაგიდასთან მხოლოდ ერთი სკამი დატოვეთ (ისიც მაგიდაში შეწეული), თუ დაჯდებით ზურგით ფანჯრისკენ ( როცა თქვენი სახე ცუდად ჩანს), ისინი კაბინეტში ნაკლებად შეყოვნდებიან, კიდევ ერთი რჩევა – მათ ფეხზე ამდგარი დახვდით. აქ გამოგადგებათ ფრაზა: „გამარჯობა, როგორ ხარ, (იქვე) რით შემიძლია დაგეხმარო?"

თქვენი საქმიანი შეხვედრები (სატელეფონო საუბრები) დაგეგმეთ იმ საუკეთესო საათებზე, როცა „ფორმაში" ხართ ხოლმე.

თქვენს საქმიან მითითებებზე (ბრძანებებზე) ნაკლები დრო დაიხარჯება, ვიდრე ნაჩქარევი ტონით გაცემული ბრძანებით გამოწვეული ქაოსის გამოსწორებაზე. მუშაობის რიტმის შენარჩუნებისთვის 3-5 წუთით ადრე გაიაზრეთ თქვენი შემდგომი მოქმედებები (განსაკუთრებით ოფისის გარეთ, გასვლით ღონისძიებებზე).

შეეწყვეთ თქვენი ხელმძღვანელის მუშაობის სტილს, არ ებრძოლოთ მას. ჩაიწერეთ მისი მითითებები. დავალებული საქმე გააკეთეთ კარგად, დროულად და სხვაზე უკეთ. გადაეცით ყოველკვირეულად მას თქვენი საქმეების სია, გეგმები. ეს გააუმჯობესებს თქვენს ურთიერთობას.

---

* პროფ. ლოტარ ზაივერტის (გერმანია) რეკომენდაციებით შედგენილი ასეთი დროის პლანინგი (ერთდროულად ორგანაიზერი, ცნობარი, იდეების არქივი) ძალიან ეფექტურია მუშაობაში.

** ამერიკელების კაბინეტის კარი,როგორც წესი, ღია აქვთ, გერმანელებს კი- დახურული.

**თათბირი (სემინარი, სხდომა, კონფერენცია).** მართალია სასარგებლო და აუცილებელია, მაგრამ ტრადიციულად, ცუდი ორგანიზაციის გამო, ბევრ (50%-მდე) დროს გვაკარგვინებს. თათბირის ეფექტურობა რომ გაიზარდოს, როგორც მენეჯერს, ასევე თანამშრომლებს, თათბირის მონაწილეებს, სპეციფიკური უნარ-ჩვევები სჭირდებათ. ყველაზე დიდი შეცდომაა თათბირის დანიშვნა სამუშაო დღის ბოლოს (საუკეთესოა დრო სამუშაოს დაწყებამდე და შესვენების შემდეგ). თათბირი უფრო ეფექტურია, თუ დადგენილია დღის წესრიგის ყოველი პუნქტის (ისევე, როგორც თათბირის) დროის ლიმიტი, თუ ზარი (შეტყობინება) თათბირის დაწყებაზე გაისმის მხოლოდ ერთხელ და ა.შ.

დაბოლოს ყველაზე მთავარია **მენეჯერის ცხოვრების რითმი**, რეჟიმი, რადგან დროის ეფექტური მართვა არა მარტო შრომის ორგანიზაციას, არამედ როგორც ორტობიოტიკა გვასწავლის, მთელი ცხოვრების ორგანიზაციას მოიცავს.

ფსიქოლოგიურად, კარგი. მინე დილა – წინა დღეზე (საღამოს დაგეგმვაზე) არის დამოკიდებული. თვითშთაგონებისთვის კარგია მუდამ მოფუსფუსე, წვრილმანი საქმეებით გადატვირთული ბარმენის მოდელი. საქმიანი ადამიანისთვის აუცილებელია „ერთსამსახურიანი" ცხოვრების სტილი მრავალმიზნიანი ცხოვრებით შეცვალოს (მაგალითად, ოფისში მომუშავე სპეციალისტი ერთდროულად სხვა დაწესებულებაში კითხულობს ლექციებს, წერს სახელმძღვანელოს, აქვს კერძო პრაქტიკა). საერთოდ, ეძებეთ სასიამოვნო ყოველ საქმეში.

ცხოვრების გამოცდილების დაგროვებისთვის შემოიღეთ პირადი „ქრონოლოგიური" დღიური, რომელსაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინ მიმართავთ ხოლმე. დღიური, რომელიც სტუდენტობის ასაკში იწყება და მთელი ცხოვრება გრძელდება, თვითაღზრდის, შეცდომებისგან დაზღვევის, შინაგანი მოწესრიგებულობის, ძილის წინ რელაქსაციის და ფსიქოთერაპიის აპრობირებული საშუალებაა.

მას პრაქტიკული დატვირთვაც აქვს – საქმიანი ადამიანის ქრონოლოგიური არქივის როლს ასრულებს (ადვილად დაადგენთ 20-30 წლის წინ მომხდარი ფაქტის თარიღს). დღიური, თუ [illegible] ფაქტებისთვის) მხოლოდ ფურცლებს [illegible] ავსებთ, მომავალში მოგონებების წიგნის დასაწერად გამოგადგებათ.

**სამუშაო დღის შემცირება** (გარკვეულ პირობებში) შრომის საუკეთესო ეფექტურობას იძლევა, ვინაიდან ინტენსიური, ხანგრძლივი შრომა იწვევს გადაღლას. აქ ეფექტური საშუალებაა ადამიანური, კეთილგანწყობილი, დემოკრატიული ატმოსფეროს შექმნა, დაწესებულებაში ქვევიდან ზევით ინფორმაციული ნაკადის, მოქნილი სამუშაო განრიგის ხელშეწყობა.

**რაციონალური დასვენება.** დასვენების (პირველ რიგში, ფიზიკური) კულტურა პირადი საქმე არაა, რადგან ის შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედებს, („ტრუდოგოლიკებს" ეს არ ესმით). თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები კვირა დღეს საქმეზე არ ფიქრობენ. უფრო მეტიც, საერთოდ არ კითხულობენ გაზეთებს (სათაურების გარდა), არ უცქერიან ტელევიზორის საინფორმაციო გადაცემებს.*

ამრიგად, დროის ეფექტური მართვის პრობლემის გადაჭრა მთელი ორგანიზაციის მასშტაბითაა საჭირო, ვინაიდან (თუნდაც, გავრცელებული ნეპოტიზმის გამო) რამდენიმე სუსტი მუშაკი შეიძლება უკან ეწეოდეს ყველას. უფრო მეტიც, მოუმზადებელი პერსონალი, პასუხისმგებლობის დელეგირების (რასაც ჩვენთან ყურადღება არ ექცევოდა) და საქმიანი ურთიერთობის დაბალი კულტურა, მოუმზადებელი თათბირები, ნაჩქარევი გადაწყვეტილებები, მიგვანიშნებს იმაზე, რომ დროის ეფექტური მართვის, მისი ეკონომიის დონე არა ცალკეული ორგანიზაციის, არამედ მთელი საზოგადოების განვითარების დონეა...

და მაინც, მაინც... დროის დაზოგვაში უკიდურესობანი არასასურველია. აქ ოქროს შუალედია საჭირო, რათა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ორგანულად შეერწყას მსოფლიოში აღიარებულ ქართულ ფასეულობებს. არავინ გთხოვთ, რომ მოიქცეთ, როგორც ამერიკელი ან გერმანელი, უბრალოდ, მოიქეცით, როგორც კარგად აღზრდილი ქართველი...

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. შ. შოშიაშვილი, დროის რაოდენობრივის და თვისობრივობის შესახებ, მეცნიერება და ტექნოლოგიები, 2002, №4-6.

2. ო. შუდრა, როგორ დავზოგოთ და ვმართოთ დრო, მაკრომიკრო-ეკონომიკა №3, 1999წ.

3. Зайверт Л. Ваше время , 1990г.

4. Лайкен А. Искусство успевать, 1996г.

5. Маккензи А. Ловушка времени ,2010г.

6. Бернет А. Как жить 24 часа в сутки, 2001г.

7. Диттмер Р. 151быстрая идея ,2007г.


*ამერიკელ მეცნიერს ვლ.ზვორიკინს, "ტელევიზიის მამას", შინ საერთოდ არ ჰქონდა ტელევიზორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკრედიტო რისკის გაზომვის ნოვატორული რაოდენობრივი მეთოდები



**ნიკოლოზ გონგლიაშვილი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

კომერციული ბანკების ტრადიციული ფუნქცია არის კრედიტების გაცემა. ეს ოპერაცია გარკვეულ რისკს უკავშირდება, რომელსაც საკრედიტო რისკი ეწოდება. მისი შინაარსი კრედიტის დაუბრუნებლობაში გამოიხატება. მაშასადამე, მსესხებელზე კრედიტის გაცემით, ბანკი საკრედიტო რისკის საფრთხის ქვეშ დგება.

საკრედიტო რისკის ანუ დეფოლტის საშიშროების წყარო არის მსესხებლის გადახდისუუნარობა, ამიტომ ბანკის ფინანსური მენეჯერი კრედიტის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებამდე სწავლობს მის გადახდისუნარიანობას, ანუ საბანკო ტერმინით – კრედიტუნარიანობას.

ამ ბოლო დრომდე მსესხებლების კრედიტუნარიანობის დადგენა ტრადიციული მეთოდით ხდებოდა. კერძოდ, შეისწავლებოდა მსესხებლის რეპუტაცია, პატიოსნება, ფულის ნაკადების გენერირების შესაძლებლობა, საკუთარი კაპიტალის რეალური წმინდა ღირებულება, სესხის უზრუნველყოფის (გირაოს) შესაძლებლობა და ა. შ. გამოყენებაში იყო ფინანსური კოეფიციენტებიც – საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE), აქტივების რენტაბელობა (ROA), დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა (NARD), კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობა (APD), მიმდინარე და აბსოლუტური ლიკვიდობები და ა. შ.

დაახლოებით 20-30 წელია, რაც დაიწყო საკრედიტო რისკების გაზომვის და მართვის მეთოდების ევოლუცია. ამ საქმის პიონერი აღმოჩნდა ამერიკელი მეცნიერი ალტმანი, რომელმაც 70-იან წლებში შეიმუშავა მსესხებელი კომპანიის გაკოტრების პროგნოზირების ჯერ ორფაქტორიანი $\left(Z_1 = -0{,}3877 - 1{,}0736K_{TK} + 0{,}579K_{3K}\right)$ შემდეგ 5-ფაქტორიანი და 1977 წელს პროფესორ ხელდემანთან და ნარაიანანთან (Altman, Haldeman and Narayanan (1977)) ერთად „ზეტა-ანგარიშად" წოდებული შვიდფაქტორიანი მოდელი. ამ მოდელის ცვლადები შემდეგია [1, გვ. 546]:

1. აქტივების რენტაბელობა (იანგარიშება გადასახადების და ბანკის პროცენტების გადახდამდე არსებული მოგების (EBIT) გაყოფით ერთობლივ აქტივებზე;
2. მოგების სტაბილურობა (იანგარიშება აქტივების რენტაბელობის 10-წლიანი ტრენდით);
3. ვალის მომსახურება (იანგარიშება EBIT-ის შეფარდებით პროცენტულ გადასახდელთა ჯამთან);
4. კუმულატიური მომგებიანობა (იანგარიშება გაუნაწილებელი მოგების შეფარდებით აქტივების საერთო ჯამთან);
5. ლიკვიდურობა (იანგარიშება საბრუნავი აქტივების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან;
6. კაპიტალიზაცია (იანგარიშება ჩვეულებრივი აქციების 5-წლიანი პერიოდის საშუალო წლიური საბაზრო ღირებულების შეფარდებით გრძელვადიანი (ფიქსირებული) კაპიტალის ჯამთან;
7. ზომიე (მოცულობა) (იზომება კომპანიის აქტივების ჯამით).

შვიდფაქტორიანი მოდელის ცვლადები იძლევიან რისკის და შემოსავლიანობის დისპერსიის, პროცენტების დაფარვის, გრძელვადიანი რენტაბელობის, ლიკვიდობის, ლევერიჯის და კომპანიის ზომის პარამეტრების დახასიათებას.

„ზეტა-ანგარიშის" გამოსაანგარიშებელი ალგორითმი ჯერჯერობით არ არის ცნობილი [1, გვ. 546], ამიტომ გამოყენებაშია ალტმანის 5-ფაქტორიანი მოდელი:

$$Z = 1{,}2x_1 + 1{,}4x_2 + 3{,}3x_3 + 0{,}6x_4 + 1{,}0x_5$$

$$x_1 = \frac{\text{საბრუნავი კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

$$x_2 = \frac{\text{გაუნაწილებელი მოგება}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$x_3 = \frac{\text{მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე } (EBIT)}{\text{აქტივების ჯამი}}$$

$$x_4 = \frac{\text{საკუთარი (აქციონერული) კაპიტალის საბაზრო ღირებულება}}{\text{საერთო ვალის საბალანსო ღირებულება}}$$

$$x_5 = \frac{\text{რეალიზაციის მოცულობა}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

ამ მაჩვენებლების საანგარიშოდ ინფორმაცია აიღება მსესხებელ-კომპანიის ფინანსურ ანგარიშებიდან, კერძოდ ბალანსიდან და მოგება-ზარალის ანგარიშიდან.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოანგარიშებულ Z ანგარიშს ალტმანი ასე აფასებს: თუ კომპანიის Z<2,675-ზე კომპანიას გაკოტრება ელოდება, თუ Z≥2,675-ზე მაშინ მას გაკოტრება არ ელოდება. 1,81-დან 2,99%-მდე ზონას ალტმანი უწოდებს „მსჯდევლობის გარეთ დარჩენილ ზონას" და თვლის, რომ ამ ზონაში მოხვედრილი ფირმის შეფასებაზე ხშირად შეცდომები წარმოიშვება.

იმავე პერიოდში, კერძოდ 1974 წელს, ამერიკელმა მეცნიერმა ჩესერმა ოთხი კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტებზე დაკვირვებით შეიმუშავა ლოგიტ-ანალიზზე დაფუძნებული 6-ცვლადიანი მოდელი:

$$Y = -2{,}0434 - 5{,}24x_1 + 0{,}0053x_2 - 6{,}6507x_3 + 4{,}4009x_4 - 0{,}0791x_5 - 0{,}1020x_6$$

$$x_1 = \frac{\text{ფულადი სახსრები + ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

$$x_2 = \frac{\text{წმინდა რეალიზაცია}}{\text{ფულადი სახსრები და ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები}}$$

$$x_3 = \frac{\text{მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე } (EBIT)}{\text{აქტივების ჯამი}}$$

$$x_4 = \frac{\text{ერთობლივი ვალი}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

$$x_5 = \frac{\text{საბრუნავი კაპიტალი}}{\text{წმინდა რეალიზაცია}}$$

ეს მოდელი (Y) რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელი ცვლადების წრფივ კომბინაციას, გამოიყენება მსესხებლის მიერ სესხის აღებაზე დადებული კონტრაქტის შეუსრულებლობის ალბათობის (P) გამოსაანგარიშებლად [1, გვ. 550]:

$$P = \frac{1}{1 + e^{-Y}}$$

სადაც: $e = 2{,}71828$-ს.

Y-ს სავარაუდო მნიშვნელობა განიხილება როგორც მსესხებლის მიერ სესხზე დადებული კონტრაქტის შეუსრულებლობასთან მიდრეკილების ინდექსი. შესაბამისად, რაც მაღალია Y-ს მნიშვნელობა მით მაღალია მსესხებლის მიერ სესხის არ დაბრუნების ალბათობა.

ჩესერის გამოთვლებით თუ $P \geq 0{,}50$-ზე, მაშინ მსესხებელი მიეკუთვნება კონტ-რაქტის დამრღვევთა ჯგუფს, ხოლო თუ $P \leq 0{,}50$-ზე, მაშინ კონტრაქტის შემსრულებელთა ჯგუფს. ოთხი კრედიტიდან სამზე ჩესერის ვარაუდი მართლდება. ამ მოდელის დადგომამდე ორი წლით ადრე გამოთქმული ჩესერის წინასწარი ვარაუდის სიზუსტე არის 57%.

საკრედიტო რისკის პროგნოზირებისთვის მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის ერთ-ერთი ნოვატორული მეთოდია, აგრეთვე, ამერიკელი მეცნიერის უ. ბივერის მეთოდი. იგი ასეთი სახისაა [2, გვ. 105]:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მაჩვენებლის დასახელება | საანგარიშო ფორმულა | მაჩვენებლის ნორმალური მნიშვნელობა |
|---|---|---|
| ბივერის კოეფიციენტი | $\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალები}}$ | 0,4-0,45 |
| აქტივების რენტაბელობა | $\frac{\text{წმინდა მოგება – ამორტიზაცია}}{\text{აქტივები}}$ | 0,06–0,08 |
| ფინანსური ლევერიჯი | $\frac{\text{გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები}}{\text{აქტივები}}$ | ≥0,34 |
| აქტივების გადაფარვის კოეფიციენტი | $\frac{\text{საკუთარი კაპიტალი – ბრუნვისგარეშე კაპიტალი}}{\text{აქტივები}}$ | 0,4 |
| მოკლევადიანი ვალის გადაფარვის კოეფიციენტი | $\frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$ | ≥3,2 |

ამ მაჩვენებლების საანგარიშოდ საჭირო ყველა ინფორმაცია მსესხებლის ბალანსშია მოცემული. უ. ბივერი თვლის, რომ თუ მსესხებლის ეს მაჩვენებლები ნორმალურია (ან მასთან მიახლოებულია), მაშინ მისი კრედიტუნარიანობა დამაკმაყოფილებელია და ბანკს საკრედიტო რისკი არ ემუქრება.

საკრედიტო რისკის განსაზღვრის თანამედროვე რაოდენობრივ მეთოდებს შორის უნდა დავასახელოთ გაკოტრების ალბათობის რუსული მოდელიც. იგი ასე წარმოგვიდგება [3, გვ. 228]:

$$R = 8{,}38K_1 + 1{,}0K_2 + 0{,}054K_3 + 0{,}63K_4$$

სადაც:

$$K_1 = \frac{\text{საბრუნავი კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}} \qquad K_3 = \frac{\text{რეალიზაცია (ამონაგები)}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

$$K_2 = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საბრუნავი კაპიტალი}} \qquad K_4 = \frac{\text{ძირითადი მოგება}}{\text{დანახარჯები}}$$

ამ რუსული მოდელით მსესხებლის გაკოტრების ალბათობის რისკი შემდეგნაირად ფასდება:

თუ R< 0-ზე მაშინ გაკოტრება მაქსიმალურია (90-100%);

თუ R = 0 – 0,18, მაშინ გაკოტრების რისკი მაღალია (60-80%);

თუ R = 0,18 – 0,32, მაშინ გაკოტრების რისკი საშუალო დონისაა (50-60%);

თუ R = 0,32 – 0,40, მაშინ გაკოტრების რისკი დაბალია (15-20%);

თუ R > 0,41-ზე, მაშინ გაკოტრების რისკი მინიმალურია.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის და ამ გზით საკრედიტო რისკის განსაზღვრის ზემოთგანხილულ მეთოდებს შორის, ჩვენი აზრით, საქართველოს კომერციული ბანკებისთვის უფრო მისაღებია რუსული მოდელი, რადგანაც ჩვენი და რუსული ბიზნესგარემო თითქმის ერთნაირია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. რ. პაპასკირი, ლექციების კურსი საბანკო მენეჯმენტსა და კომერციულ ფინანსებში,თბ.,2012.
2. Дж.Синки, Финансовый менеджмент в коммерческом банке. М., 2008.
3. А.Петров, В.Петрова, Комплексный анализ финансовой деятельности банка, М., 2007.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომხმარებლის დამოკიდებულება კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობისადმი



იზა გიგაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მარკეტინგის კათედრის დოქტორანტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ფუნდამენტური ცვლილებები მოხდა საზოგადოებასა და ბიზნესში [7]. ერთ-ერთი მათგანია პასუხისმგებლობის მქონე კორპორაციული ქცევა, რომელიც უკვე სავალდებულოა და აღარ არის ბიზნესის არჩევანი. ეს ცვლილებები გამოიწვია მოლოდინებმა, რაც საზოგადოებას აქვს ბიზნესის როლისადმი, რომელსაც ის საზოგადოებაში თამაშობს. საზოგადოება აღარ იქნება ტოლერანტული ისეთი საქციელისადმი, რასაც იწყნარებდა წარსულში; წარმოიშვა მოლოდინების ახალი დონე. აქედან გამომდინარე, მარკეტინგის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები დადგნენ ახალი გამოწვევის წინაშე – უპასუხონ სოციალური პასუხისმგებლობისადმი მომხმარებლების მოთხოვნებს [3].

1990-იანი წლებისთვის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად რეპუტაციის შექმნა იქცა თითქმის ყველა დიდი კომპანიისთვის, განსაკუთრებით, ძირითადი ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის, რომლებიც დაფუძნებულები იყვნენ ჩრდილოეთ ამერიკაში ან დასავლეთ ევროპაში და რომელთა ბიზნესიც წარმოადგენდა მომხმარებლებისთვის პროდუქციის ან მომსახურების მიწოდებას [12].

მენსანი სოციალურ პასუხისმგებლობას უწოდებს "იმუნიზაციას მომავალში ცუდი ქმედებების წინააღმდეგ" და ამტკიცებს, რომ ყველა დიდ კორპორაციას სჭირდება "იმუნიზაციის" გარკვეული დონე [6].

პორტერისა და კრამერის თანახმად, კომპანიებმა უნდა დაადგინონ ყველა შედეგი – დადებითიც და უარყოფითიც, რაც მათ აქვთ საზოგადოებაზე; განსაზღვრონ, რომელ მათგანზე გაამახვილონ ყურადღება და შეიმუშაონ ეფექტური გზები მათ მოსაგვარებლად. თუ შევხედავთ სტრატეგიულად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გახდება უზარმაზარი სოციალური პროგრესის წყარო, რადგან ბიზნესი იყენებს თავის მნიშვნელოვან რესურსს, კომპეტენციას და გამჭრიახობას ქმედებებისთვის, რომლებიც სასარგებლოა საზოგადოებისთვის [9].

ცხადია, რომ უპასუხისმგებლო კორპორაციული ქცევა იწვევს რისკებს. ბრენდის იმიჯი და რეპუტაცია სულ უფრო მეტად განიხილება, როგორც კომპანიის უმნიშვნელოვანესი აქტივი. ერთ-ერთი მთავარი რისკი, კი, არის კარგი რეპუტაციის შელახვის საფრთხე [5]. უპასუხისმგებლო საქციელი ზიანს აყენებს დაინტერესებული მხარეების კომპანიისადმი ნდობას და ლოიალობას. მომხმარებელთა ერთ-ერთი შესაძლო რეაქცია კი არის ბოიკოტი. თუ კომპანიის მოქმედებები შეიცავს პასუხისმგებლობის გრძნობას, ინვესტორები ნაკლები რისკის წინაშე დგანან, რომ მომხმარებლები ბოიკოტს გამოაცხადებენ, ამიტომ ინვესტიციების მიღების მეტი ალბათობაა, განსაკუთრებით, გრძელვადიან პერსპექტივაში [10].

არაერთი გამოკვლევა ჩატარდა იმასთან დაკავშირებით, რომ მომხმარებელთა დიდი რაოდენობა იყენებს ეთიკურ კრიტერიუმებს პროდუქტების შეძენის გადაწყვეტილების მიღებისას; გაიზარდა სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მომხმარება, რამაც მიიქცია მკვლევართა ყურადღება. მაგრამ კვლევები ძირითადად ეხებოდა განვითარებული ქვეყნების ბაზრებს [15].

კომპანიის ქმედებების ეთიკურობა მნიშვნელოვანია ყიდვის გადაწყვეტილებისას. კლიენტები მზად არიან გადაიხადონ მეტი ეთიკური კომპანიის პროდუქციაში და ამით დააჯილდოონ მისი ეთიკური ქმედებები. ხოლო თუ არაეთიკური კომპანიის პროდუქტებს იყიდიან, მაშინ მოითხოვენ დაბალ ფასებს და ამგვარად სჯიან გამყიდველს [12]

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, თბილისის მოსახლეობა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროს პრიორიტეტებად ასახელებენ ეკონომიკურად დაუცველ ჯგუფებზე ზრუნვას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას და ბიზნესის ქველმოქმედებას. კომპანიის რეპუტაციის განმსაზღვრელ ფაქტორადაც კვლავ ქველმოქმედებასახელდება [11].

განვითარებულ ქვეყნებში, მომხმარებლები მხარს უჭერენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივებს, მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში, მომხმარებლები არც ინფორმირებულნი არიან და არც მხარს უჭერენ კომპანიების კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას. ამის მიუხედავად, ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორიც ინდონეზიაა, როდესაც მომხმარებლებს უწევთ მსგავსი ფასისა და ხარისხის პროდუქტების შეძენა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ხდება განმსაზღვრელი ფაქტორი გადაწყვეტილების მიღებისას [1].

განვითარებულ ქვეყნებში, მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან და დადებითად აღიქვამენ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, რაც ყიდვის კრიტერიუმს წარმოადგენს მათთვის; ისინი მზად არიან გადაიხადონ მაღალი ფასი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის პროდუქტებში. უფრო მეტიც, ამერიკელების 79%, პროდუქტის ყიდვის გადაწყვეტილების მიღების დროს, ითვალისწინებს კომპანიის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.მართალია, მომხმარებელთა უმეტესობისთვის განვითარებად ქვეყნებში, მნიშვნელოვანი ფასი და ხარისხია, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მაინც ზრდის პოზიტიურ დამოკიდებულებას და ლოიალობას მომხმარებლის მხრიდან კომპანიისა და მისი ბრენდისადმი, ასევე, აუმჯობესებს ფინანსურ ეფექტურობას [1].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, ძირითადად, მაინც განვითარებული ქვეყნებისთვისაა მისაღები. ამიტომ სიფრთხილეა საჭირო სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის გამოყენებისას გლობალურად, რადგან მომხმარებლებს განსხვავებული აღქმა და რეაქცია შეიძლება ჰქონდეთ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას [1].

გასათვალისწინებელია, რომ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე უკუგება შესაძლოა იყოს პოზიტიურიც და ნეგატიურიც, რაც დამოკიდებულია ფირმის კორპორაციული შესაძლებლობების დონეზე. კლიენტების კმაყოფილება არსებით როლს თამაშობს ფირმის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და ფირმის მწარმოებლურობას შორის კავშირებზე. ამასთან მნიშვნელოვანია, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივებისა და პროდუქციასთან დაკავშირებული კომპეტენციის სათანადო კომბინაცია.კლიენტების კმაყოფილება განისაზღვრება, როგორც საერთო შეფასება, რომელიც ეფუძნება კლიენტების მთლიან შენაძენს და საქონლისა და სერვისის მოხმარების გამოცდილებას ხანგრძლივი დროის მანძილზე. მარკეტინგული ლიტერატურა კლიენტების კმაყოფილებას [illegible] კორპორაციული სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილად და ფირმის გრძელვადიანი ეფექტურობისა და საბაზრო ღირებულების მთავარ ფაქტორად [14].

ის ფაქტი, რომ სოციალური პასუხისმგებლობა ზრდის კლიენტთა კმაყოფილებას, რომელსაც მოაქვს პოზიტიური ფინანსური უკუგება, ზრდის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას. სოციალური პასუხისმგებლობა ზრდის სოციალურ უპირატესობებს, როგორიცაა საზოგადოების კეთილგანწყობა ფირმისადმი, რომელიც აუმჯობესებს ფირმის რეპუტაციას კორპორაციული სკანდალების არსებობის დროს ან მარეგულირებლების მიერ კომპანიის საქმიანობის კრიტიკული განხილვისას.

რადგან სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები გავლენას ახდენს კლიენტთა კმაყოფილების დონეზე, რომელსაც საბოლოოდ მოაქვს მაღალი საბაზრო უკუგება, მნიშვნელოვანია კლიენტთა კმაყოფილების უზრუნველყოფა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას ყოველთვის არ მოაქვს სარგებელი ფირმისთვის. თუ კომპანია არ არის ინოვაციური, სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივები, სინამდვილეში, ამცირებს მათ საბაზრო უკუგებას. ამგვარად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოითხოვს კომპანიისგან შესაბამის მხარდაჭერას, როგორიცაა კორპორაციული კომპეტენციები და ინოვაციურობა. ნაკლებად ინოვაციური კომპანიებისთვის, ფინანსური თვალსაზრისით, უმჯობესია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაც კი. ამიტომ მარკეტოლოგებმა ყურადღებით უნდა გააანალიზონ ორგანიზაციული კონტექსტი მთლიანობაში, სანამ დაიწყებდნენ სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების განხორციელებას [14].

მომხმარებლებზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების ზეგავლენის ხარისხი დამოკიდებულია კომპანიის ტიპზე. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ საგულდაგულოდ შერჩეული სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული მეხიჯი, რომელიც მიესადაგება კომპანიას, როგორიცაა მაგ.: ფინანსური ორგანიზაციის მიერ დახმარების გაწევა სახლების დაზარალებული მესაკუთრეებისადმი, აღიქმება დადებითად და უფრო სასარგებლო იქნება კომპანიისთვის, რომელიც განიცდის იმასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ვიდრე იმ კომპანიისთვის, რომელიც არ არის გახვეული კორპორაციულ

სკანდალში. აქედან გამომდინარე, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შედეგები მინიმალური იქნება კარგი რეპუტაციის მქონე კომპანიებისთვის. თუმცა, კომპანიის რეპუტაცია და რეკლამა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მომხმარებლებზე. სოციალური პასუხისმგებლობის მესიჯი უფრო მეტად უარყოფით ან მინიმალურ გავლენას ახდენს მომხმარებლებზე, რომლებიც უყურებენ იმ კომპანიების რეკლამებს, რომლებსაც არ ენდობიან, რადგან აღიქვამენ მათ ნაკლებად გულწრფელს და მაცდუნებელს, ვიდრე იმ კომპანიების რეკლამებს, რომლებსაც ენდობიან მომხმარებლები, რომლებსაც ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ კომპანიისადმი, უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი ამ კომპანიების რეკლამებისადმი. მაგრამ სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივებთან დაკავშირებული მესიჯების შემცველი რეკლამები ასუსტებს ამ ეფექტებს და შედეგად მოაქვს გაუმჯობესებული აღქმა და დამოკიდებულებები კომპანიისადმი მომხმარებლების შეხედულებები. მომხმარებლები სულ უფრო და უფრო არ ენდობიან კომპანიებს, განსაკუთრებით კი ფინანსურ ინსტიტუციებს ბოლოდროინდელი კრიზისის შემდეგ. ამიტომ, მარკეტოლოგებს შეუძლიათ ახალი პროდუქტების და სერვისის რეკლამირების ნაცვლად, განათავსონ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რეკლამები. ეს აღადგენს კომპანიის რეპუტაციას და გააუმჯობესებს მის იმიჯს მომხმარებლების თვალში [8].

ამგვარად, სოციალურ პასუხისმგებლობას დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ბრენდის ღირებულებაზე, მომხმარებელთა ლოიალობაზე და კომპანიის რეპუტაციაზე; ხელსაყრელი რეპუტაცია კი შესაძლებლობას აძლევს ფირმას, დააწესოს მაღალი ფასები, მიიზიდოს საუკეთესო აპლიკანტები და ინვესტორები, ასევე, ზრდის კომპანიის წვდომას კაპიტალის ბაზარზე. უფრო მეტიც, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შესაძლოა, ეფექტური ბრენდინგის ინსტრუმენტი გახდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Arli, D. I. & Lasmono, H. K. 2010. Consumers' Perception of Corporate Social Responsibility in a Developing Country. *International Journal of Consumer Studies*. 34: 46-51.

2. Brenkert, G. G. 2010. The Limits and Prospects of Business Ethics. *Business Ethics Quarterly*.20 (4): 703-709.

3. Cone Communications. 2007. Cause Evolution Survey. http://www.coneinc.com/content1091 [08.11.2011]

4. CSRWire. 2008. Call all Earthkeepers: Timberland Earthkeeper Network Inspires Consumers to Take Real Eco-Action. http://www.csrwire.com/News/12339.html [08.11.2011]

5. Jones, I., Pollitt, M. & Bek, D. 2006. Multinationals in Their Communities: A Social Capital Approach To Corporate Citizenship Projects. *Centre for Business Research, University of Cambridge*. Working Paper No. 337. December.

6. Hanson, K. O. 2011. The Long History of Conscious Capitalism: A Response To James O'Toole and David Vogel's "Two And A Half Cheers For Conscious Capitalism". *California Management Review*. 53 (3), Spring.

7. Hollender, J. 2004. What Matters Most: Corporate Value And Social Responsibility. *California Management Review*. 46 (4): 111-119, Summer.

8. Mattila, S. S., Hanks, L. & Kim, E. E. K. 2010. The Impact of Company Type and Corporate Social Responsibility Messaging on Consumer Perceptions. *Journal of Financial Services Marketing*. 15 (2): 126-135

9. Porter, M. E. & Kramer, M. R. 2006. Strategy and Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility. *Harvard Business Review*. December.

**10. Schlange & Co. 2006.** The Influence of Corporate Responsibility on the Cost of Capital: An Empirical Analysis. http://www.schlange-co.com/fileadmin/user_upload/Studien/CR_CostOfCapital_Schlange_Co.pdf [31.10.2011]

11. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. 2007. საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის (ბსპ) მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და მოლოდინის კვლევა. http://www.globalcompact.ge/ckfinder/userfiles/files/pub/CSR%20STudy%20public%20GEO_z7N3M1_vtl.pdf [10.10.2011]

12. Vaaland, T. I., Heide, M. & Grønhaug, K. 2008. Corporate Social Responsibility: Investigating Theory and Research in the Marketing Context. *European Journal of Marketing*. 42 (9/10): 927 – 953.

13. Waller, R. L. & Conaway, R. N. 2011. Framing & Counterframing the Issue of Corporate Social Responsibility: The Communication Strategies of Nikebiz.com. *Journal of BusinessCommunication*. 48 (1): 83-106, January.

14. Xueming, L. & Bhattacharya, C. B. 2006. Corporate Social Responsibility, Customer Satisfaction, and Market Value. *Journal of Marketing*. 70: 1-18. October.

15. Yan, J. & She, Q. 2011. Developing A Trichotomy Model to Measure Socially Responsible Behavior in China. *International Journal of Market Research*. 53 (2): 253-274.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა: სახელმწიფო დახმარება - ერთი ნაბიჯით უკან



ლიტა სურმავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

საქართველოს მთავრობამ 2010 წელს შეიმუშავა კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა კონკურენციის სფეროში (მათ შორის სახელმწიფო დახმარების სფეროში) პოლიტიკის ცვლილებას და, შესაბამისად, კანონმდებლობაში სამართლებრივი უზუსტობების აღმოფხვრას, რაც საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავდა სახელმწიფო წესების ევროპული კავშირის წესებთან დაახლოებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2012 წლის 8 მაისს მიღებული იქნა "საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ"[1]. რა თქმა უნდა აქტუალურია კითხვა, აღნიშნული საკანონმდებლო ინოვაცია წარმოადგენს თუ არა წინგადადგმულ ნაბიჯს სახელმწიფო დახმარების სფეროში.

ჩვენი მიზანია ნაშრომში განვიხილოთ ახალი კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარების წესები, ვიმსჯელოთ იმაზე თუ რამდენად შედეგიანია (ეფექტურია) რეფორმა აღნიშნულ სფეროში.

*სახელმწიფო დახმარების არსი*

კანონის მე-3 მუხლის „ს" პუნქტში მოცემულია სახელმწიფო დახმარების შემდეგი განმარტება:

**„სახელმწიფო დახმარება (სუბსიდია) – ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს გადასახადებისაგან გათავისუფლებას, შემცირებას, ან მათ გადავადებას, ვალების ჩამოწერას, რესტრუქტურიზაციას, სესხების გაცემას ხელსაყრელი პირობებით, საოპერაციო აქტივების გადაცემას, ფულადი დახმარების გაცემას, პრეფერენციულ პირობებს სახელმწიფო შესყიდვების დროს და მოგების მიღების გარანტიას და სხვა ექსკლუზიური უფლებების მინიჭებას. სახელმწიფო დახმარება არ გულისხმობს პრივატიზების პროცესს, ლიცენზიების ან/და ნებართვების გაცემას, ასევე იმ სახელმწიფო შესყიდვებს, რომლებიც ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ.თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით"**

მოცემული განმარტება შესაძლებელია ორ ნაწილად დაიყოს. პირველ ნაწილად შესაძლებელია მივიჩნიოთ უშუალოდ სახელმწიფო დახმარების დეფინიციის შემცველი ნაწილი, სადაც სახელმწიფო დახმარების ფორმებია მითითებული; ხოლო განმარტების მეორე წინადადება შესაძლებელია განვიხილოთ მეორე ნაწილად, რომელიც სახელმწიფო დახმარების განმარტებიდან გამორიცხავს კონკრეტული ტიპის დახმარებებს. ჩვენ მივიჩნევთ, რომ აღნიშნული რეალობაში წარმოადგენს გამონაკლისს.

*სახელმწიფო დახმარების განმარტების I ნაწილი:*

მოცემულ განმარტებასთან მიმართებით, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბუნდოვანია, თუ როგორ მოხდება სახელმწიფო დახმარების იდენტიფიცირება. კანონში არ არის მოცემული კრიტერიუმები/ელემენტები, რომელთა მიხედვითაც მოხდება იმისი დადგენა, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული ღონისძიება სახელმწიფო ორგანოს მხრიდან სახელმწიფო დახმარებას. კანონში მოცემულია რომ სახელმწიფო დახმარებად ჩაითვლება ასევე "...და სხვა ექსკლუზიური უფლებები". მიუხედავად ამისა, ის არ შეიცავს უკანასკნელის განმარტებას. შესაბამისად, სახელმწიფო უწყებებს, ისევე როგორც სასამართლოებს, შეექმნებათ პრობლემები ღონისძიების შეფასებასთან მიმართებაში, თუმცა აღნიშნული, რა საკვირველია, არ ეხება უშუალოდ განმარტებაში ჩამოთვლილ სახელმწიფო დახმარების ფორმებს.

1 "საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" მაისი 8, 2012, N 6148-Is. (შემდგომში "კანონი")

აღნიშნული კანონის წინამორბედ კანონთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ის სახელმწიფო დახმარების განმარტების კრიტერიუმებს გვთავაზობდა.

*სახელმწიფო დახმარების განმარტების II ნაწილი.*

მაშინ, როდესაც სახელმწიფო დახმარების განმარტების პირველი ნაწილი ჩამოთვლის შემთხვევებს, რომლებიც მოიაზრება სახელმწიფო დახმარებად, მისი მეორე ნაწილი, საპირისპიროდ, მიგვითითებს ისეთ ქმედებებზე სახელმწიფოს მხრიდან, რომლებიც სახელმწიფო დახმარებად არ ჩაითვლება მოცემული განმარტების თანახმად. შესაბამისად, ჩამოთვლილი ქმედებები არ ხვდება ამ კანონის მოქმედების ქვეშ.

აღნიშნული ღონისძიებების რიცხვს განეკუთვნება: პრივატიზების პროცესი, ლიცენზიების ან/და ნებართვების გაცემას, ასევე იმ სახელმწიფო შესყიდვებს, რომლებიც ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით.

მოცემული ღონისძიებების ჩამონათვალი ინოვაციას წარმოადგენს. სახელმწიფო დახმარების მოქმედი კანონით გათვალისწინებული განმარტება არ შეიცავს აღნიშნულ შეზღუდვას სახელმწიფო დახმარების განმარტებაში. 2005 წლის კანონმდებლობის თანახმად, ჩამოთვლილი ქმედებები განიხილებოდა, როგორც სახელმწიფო დახმარება.

რაც შეეხება ზოგადად მოცემული პირობების მიზანშეწონილობას, აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ პრივატიზების, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის საკითხებზე პრეზიდენტი, მერია და მთავრობა უდიდეს ძალაუფლებას იძენენ, რომელიც მათ მოქმედი კანონმდებლობით არ აქვთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2011 წლის მონაცემებით აღნიშნული სარეზერვო ფონდების მოცულობა ჯამში 102 მილიონ ლარს შეადგენს[2], აშკარაა, რომ მოცემული დებულების არსებობამ კანონმდებლობაში შესაძლოა მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს კონკურენციაზე. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ საკითხებზე კონტროლის თვალსაზრისით არც კონკურენციაზე პასუხისმგებელ ორგანოს და არც სასამართლოს არ მიუწვდება ხელი, რადგან აღნიშნული "გამონაკლისები" უშუალოდ სახელმწიფო დახმარების განმარტებაშია მოთავსებული, რომელშიც პირდაპირ მითითებულია, რომ აღნიშნული ღონისძიებები სახელმწიფო დახმარებას არ წარმოადგენს.

***დაშვებული სახელმწიფო დახმარება***

2005 წლის კანონის მსგავსად, ახალი კანონი სახელმწიფო დახმარების გაცემის რამდენიმე გამონაკლის შემთხვევას ითვალისწინებს. კერძოდ, ახალი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს ისეთ სახელმწიფო დახმარებაზე, რომელიც ***შეიძლება* დაშვებულ იქნას**, ხოლო მე-12 მუხლის მეორე პუნქტი კი შეიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო დახმარება ***დასაშვებია***.

მაშასადამე, მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად შეიძლება დაშვებულ იქნეს სააგენტოსთან შეთანხმებით სახელმწიფო დახმარება, რომელიც მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას და რომელიც გაიცემა შემდეგი მიზნებისათვის:

ა) გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის; ბ) გარკვეული ეკონომიკური სექტორის განვითარებისათვის;

მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დასაშვებია შემდეგი სახის სახელმწიფო დახმარება და არ საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან:

ა) სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიცემა ფორს-მაჟორული შემთხვევებისას; ბ) სოციალური დახმარება რომელიც გაიცემა ინდივიდისათვის; გ) ქვეყნის რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება; დ) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება; ე) ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება; ვ) სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება; ზ) ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიცემა უმნიშვნელო ოდენობით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით; თ) გადასახადების შემცირებისა და რესტრუქტურიზაციის შემთხვევები, თუ აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა; ი) საგადასახადო დავალიანების, გადახდევინების, უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებისა და

2 კონკურენციის პოლიტიკა. საბაჟო პროცედურები ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში 2011 წელს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასება. გვ. 14.

საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემთხვევები.

მოცემულ მუხლთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რამდენიმე ფაქტორი: პირველი, დაყოფა დაშვებულ სახელმწიფო დახმარებებს შორის - დახმარება რომელიც "შესაძლოა დაშვებულ იქნას" და "დასაშვებია"- ნოვაციურია. მსგავს დაყოფას 2005 წლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ევროპული კავშირის სამართლისთვის ეს დაყოფა უცხო არ არის. იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებთან, დახმარება ავტომატურად დაშვებულად არ ჩაითვლება და ის საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან მაშინ, როდესაც ქმედება "დასაშვებ" კატეგორიაში ხვდება, სახელმწიფო დახმარება ავტომატურად დაშვებულად ჩაითვლება და ის სააგენტოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს. შესაბამისად, მე-2 პუნქტის გათვალისწინებული შემთხვევების დროს სააგენტოს როლი მინიმალურია.

მეორე, ახალი კანონის მიხედვით გამონაკლისთა სია გაფართოვდა. 2005 წლის კანონი მხოლოდ სამ გამონაკლისს ითვალისწინებს, კერძოდ: დახმარება გაცემული ფორს-მაჟორული შემთხვევებისას, გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის განვითარების, რეგიონული განვითარების, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, სიაში ისეთი ღონისძიებების სახელმწიფო დახმარების გამონაკლისებად მიჩნევა, როგორიც არის მაგალითად, "საგადასახადო დავალიანების, გადახდევინების, უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებისა და საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემთხვევები", სამეცნიერო კვლევები, ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებზე გაცემული სახელმწიფო დახმარება და სხვა. დაშვებული დახმარების სიის ამგვარი გაფართოება, განსაკუთრებით იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც სახელმწიფო დახმარების განმარტებაში იყო ჩამოთვლილი, წამოჭრის სახელმწიფო დახმარების რეგულირების არაეფექტურობის საკითხს. სახელმწიფო დახმარების გამონაკლისთა სიის ამგვარი გაფართოება ძალზედ ავიწროვებს კანონის მოქმედების სფეროს და შესაბამისად, აღნიშნული შესაძლოა მოქმედი კანონის ხარვეზად ჩაითვალოს.

მესამე, გამონაკლისთა სიის გაფართოებასთან ერთად, "დასაშვებია" სიაში რიგი ქმედებების მოქცევით ახალმა კანონმა კიდევ უფრო გააძლიერა სახელმწიფო დახმარების კონტროლზე მთავრობის როლი. ასე მაგალითად, მოცემული მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი მთავრობას ანიჭებს უფლებამოსილებას განსაზღვროს უმნიშვნელო ოდენობით გაცემული ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების საკითხი; ასევე, ამავე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი დასაშვებად მიიჩნევს გადასახადების შემცირების და რესტრუქტურიზაციის შემთხვევებს, თუ ამ საკითხებზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას.

მეოთხე, მოქმედი კანონის მსგავსად, სამწუხაროდ, ახალი კანონი საკმაოდ ზოგადია. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ მე-12 მუხლის განმარტება მოხდეს ძალიან ფართოდ, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება მთლიანად კანონის მიღების არსს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ხარვეზის გადაწყვეტა შესაძლებელია დამაზუსტებელი ხასიათის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღებით, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს, თუ რის მიხედვით უნდა შეირჩეს, მაგალითად, გარკვეული ეკონომიკური საქმიანობა, რომლის განვითარებაზეც საუბარია აღნიშნულ მუხლში.

**სახელმწიფო დახმარების კონტროლის პროცედურული საკითხები**

სახელმწიფო დახმარების კონტროლის პროცედურული საკითხები აღწერილია კანონის შესაბამის მუხლებში.

კერძოდ, მე-4 მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებულ საქმიანობაზე უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო). აღსანიშნავია, რომ 2012 წლის იანვრიდან, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ჯერ არ ამოქმედებულა, აღნიშნულმა სააგენტომ უკვე დაიწყო ფუნქციონირება. აღნიშნულის სამართლებრივი საფუძველი გახდა პრეზიდენტის ბრძანებულება 2011 წლის 19 დეკემბრის №829 ბრძანებულება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შექმნის შესახებ".

ახალი კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სააგენტოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. უკანასკნელთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს

დებულებას ამტკიცებს სააგენტო, რაც მთავრობის მხრიდან სააგენტოს საქმიანობაში ნაკლებ ჩარევას უზრუნველყოფს.

ახალი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგად წესს. მოცემულ შემთხვევაშიც, განსხვავებით ახალი კანონისგან, 2005 წლის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სააგენტო თავად შეიმუშავებდა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებდა სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგად წესს.

***სახელმწიფო დახმარების კონტროლი სააგენტოს მიერ***

სააგენტოს მიერ სახელმწიფო დახმარების კონტროლის საკითხები მოცემულია ახალი **კანონის** მე-13 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 პუნქტებში, მე-14 და 22-ე-24-ე მუხლებში.

პირობითად სახელმწიფო დახმარების დარგში სააგენტოს კონტროლის საკითხები შეიძლება დაიყოს 2 ნაწილად: 1) სახელმწიფო დახმარების **გაცემის** პროცედურა – სახელმწიფო ორგანო მიმართავს სააგენტოს სახელმწიფო დახმარების გაცემის თაობაზე, 2) აღსრულება სახელმწიფო დახმარების სფეროში – დაინტერესებული პირი მიმართავს სააგენტოს, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მოკვლევის დაწყების თაობაზე.

**1) სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურა** – სახელმწიფო ორგანოს მიმართვა **სახელმწიფო** დახმარების გაცემის თაობაზე:

კანონპროექტის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგადი წესის საფუძველზე, სახელმწიფო დახმარების გამცემი სააგენტოს წარუდგენს განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო დახმარების განხორციელების **მიზნის**, სახელმწიფო დახმარების **ფორმისა და მიმღები სუბიექტების შესახებ**. აღნიშნულ განცხადებასთან ერთად სახელმწიფო დახმარების გამცემმა ასევე უნდა წარუდგინოს სააგენტოს შესაბამისი **დასაბუთება**, რომ გასაცემი სახელმწიფო დახმარება **მნიშვნელოვნად** არ ზღუდავს კონკურენციას. გარდა ამისა, სახელმწფო დახმარების გამცემი ასევე ვალდებულია აცნობოს სახელმწიფო დახმარების გაცემის პირობების **არსებითი** (უნდა განისაზღვროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით) ცვლილებების შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მოცემული დებულებები ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს, აცნობონ სააგენტოს სახელმწიფო დახმარების შესახებ (სავარაუდო დახმარების გაცემამდე), თუმცა სადაოა ის საკითხი, სააგენტოში შესაბამისი დასაბუთების წარსადგენად როგორ უნდა განსაზღვროს სახელმწიფო ორგანოებმა **მნიშვნელოვნად** ზღუდავს თუ არა კონკრეტული სახელმწიფო დახმარება კონკურენციას. მიუხედავად იმისა, რომ „კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვის" განმარტება შესაძლოა განისაზღვროს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში, ავტორის აზრით, აღნიშნული უნდა იყოს სააგენტოს უფლებამოსილება და არა სხვა სახელმწიფო ორგანოების ფუნქცია.

მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც სააგენტოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო წარუდგენს ზემოაღნიშნულ ინფორმაციას, სააგენტო, ამ ინფორმაციის საფუძველზე, აფასებს გასაცემი სახელმწიფო დახმარების შესაბამისობას კანონით განსაზღვრულ დებულებებთან და არაუმეტეს 30 სამუშაო დღის ვადაში ამზადებს სამართლებრივ **დასკვნას** აღნიშნული დახმარების ამ კანონთან შესაბამისობის თაობაზე, იგივე პუნქტი მიუთითებს, რომ სამართლებრივი დასკვნის გაუცემლობა ჩაითვლება თანხმობად. აღსანიშნავია, რომ საქმის მოკვლევის პროცესში, სააგენტოს[3] სახელმწიფო ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოსთან **მიმართებაში** გააჩნია უფლებამოსილება მოსთხოვოს მათ ამ კანონის დებულებების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გარდა ამისა, სააგენტო ასევე უფლებამოსილია მოსთხოვოს ინფორმაცია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს და სხვა დაინტერესებულ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო დოკუმენტების მიუწოდებლობის შემთხვევაში, იმუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე.[4] ამასთან, სააგენტოს ასევე აქვს უფლება მოკვლევის მიზნით, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე ადგილზე შეამოწმოს საქმეში ჩართული ეკონომიკური აგენტები, რაც ახალი კანონის ინოვაციას წარმოადგენს.

სახელმწიფო დახმარების გამცემის ქმედების ამ კანონით განსაზღვრულ დებულებებთან

---

3 იხ. კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

4 იხ. კანონის მე-18 მუხლის I-ლი პუნქტი.

წინააღმდეგობის გამოვლენის შემთხვევაში, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს დასაბუთება სახელმწიფო დახმარების გამცემისგან ან/და შეიმუშაოს შესაბამისი **რეკომენდაცია**.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონის ანალოგიურად, ახალი კანონის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, გასცეს მხოლოდ არასავალდებულო ხასიათის დასკვნა და/ ან შეიმუშაოს რეკომენდაცია.

მე-14 მუხლის მე-3 მუხლის შესაბამისად, სააგენტო, მის მიერ გამოცემულ დასკვნას და რეკომენდაციას წარუდგენს საქართველოს მთავრობას და სახელმწიფო დახმარების გამცემს. იმავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მთავრობა სააგენტოს მიერ წარდგენილი სამართლებრივი დასკვნის და რეკომენდაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალ კანონში არ არის მითითებული მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა.[5]

**აღსრულება სახელმწიფო დახმარების სფეროში –** ეკონომიკური აგენტის მიერ სააგენტოსთვის მიმართვა საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე.

ახალი კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო ორგანოს მიერ სახელმწიფო დახმარება სააგენტოსთან შეთანხმების გარეშეა გაცემული. შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ ასეთი სახელმწიფო დახმარებები უკანონოდაა გაცემული.

ასეთი შემთხვევები ახალი კანონის 22-ე-24-ე მუხლებით რეგულირდება. კერძოდ, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტს, რომელსაც მიაჩნია, რომ მას კონკურენციის დარღვევის შედეგად უშუალოდ მიადგა ზიანი უფლება აქვს სააგენტოში წარმოადგინოს საჩივარი (მომჩივანი) და მას აქვს მტკიცების ტვირთი (ავტორის აზრით, მომჩივანს მტკიცების ტვირთი არ უნდა ჰქონდეს). გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **პირს – განმცხადებელს** – , რომელსაც გააჩნია ინფორმაცია ან რაიმე სახის მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ადგილი აქვს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას, თუმცა მას უშუალოდ ზიანი არ მიადგა, უფლება აქვს სააგენტოში წარადგინოს განცხადება. ორივე შემთხვევაში სააგენტო 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის თაობაზე და წერილობით აცნობებს მომჩივანს ან განმცხადებელს მისი გადაწყვეტილების შესახებ. ამასთან აღსანიშნავია, რომ საჩივრის ან განცხადების წარდგენასთან ერთად შესაბამისი დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი იხდის მომსახურების საფასურს, რომელიც საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შემთხვევაში არ ბრუნდება.

კანონის 24-ე მუხლი განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სააგენტოს უფლება აქვს, უარი თქვას საჩივრის ან/და განცხადების საფუძველზე საქმის მოკვლევაზე და ერთ-ერთი ასეთი საფუძველი გათვალისწინებულია 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც სააგენტოს უფლება აქვს უარი თქვას მოკვლევაზე, თუ წარმოდგენილი საჩივარი ან/და განცხადება არ შეესაბამება სააგენტოს საქმიანობის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს.

უფრო ნათელი სურათის შექმნის მიზნით, მოკლედ მიმოვიხილოთ მე-19 მუხლის შინაარსი:

მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს პერიოდულად ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტო საჩივრებს ან/და განცხადებებს განიხილავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად. მესამე პუნქტი განსაზღვრავს, რომ სააგენტო არ არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რომელიც შეიძლება დადგეს სააგენტოს მიერ საჩივრის ან/ და განცხადების უარის თქმის გამო, თუ საჩივარი ან/და განცხადება არ შეესაბამება პრიორიტეტულ მიმართულებებს ან სხვა დასაბუთებული საფუძვლის გამო.

აღნიშნული მუხლთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება შეიძლება გამოითქვას: პირველი, როდესაც საუბარია სახელმწიფოს მიერ სააგენტოსთვის პრიორიტეტული მიმართულებების დადგენაზე, არ არის მითითება, რომ აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებები უნდა ითვალისწინებდეს, ან მათ საფუძვლად უნდა ედოს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებები. ფორმალურად, აღნიშნული მუხლის ამჟამინდელი ფორმულირება შესაძლებლობას აძლევს მთავრობას, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერი

5 უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სააგენტოს ძირითად მიმართულებებს განეკუთვნება „სახელმწიფო დახმარების შეთანხმება" მაშინ, როდესაც სააგენტოს აღნიშნული ფუნქცია არ აქვს, რადგან საბოლოო სიტყვა მთავრობას ეთქმის.

დროის მონაკვეთში (არ არის დაზუსტებული, თუ რას გულისხმობს ტერმინი „პერიოდულად") გამოაცხადოს ნებისმიერი სფერო პრიორიტეტად და ამით საფუძველი მისცეს სააგენტოს საქმის მოკვლევაზე უარი სთქვას კანონის ფარგლებში. შესაბამისად, ნებისმიერ სფერო, რომელის ამა თუ იმ დროის მონაკვეთში, შესაძლებელია გახდეს „სახელმწიფო დახმარების გაცემის პრიორიტეტი" მარტივად შეიძლება, არ მოთავსდეს სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტთა ნუსხაში.

სააგენტოს მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - საქმეზე მოკვლევის დაწყება ან უარი საქმეზე მოკვლევის დაწყების თაობაზე - ის წერილობით აცნობებს ამ გადაწყვეტილების შესახებ მომჩივანს ან განმცხადებელს. საკითხი, თუ რა ხდება სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის შედეგად დასკვნის შემუშავების შემდეგ, კანონით ცალსახად დადგენილი არ არის, თუმცა შესაძლებელია მივმართოთ მე-18 მუხლს, რომელიც ეხება ზოგადად სააგენტოს უფლებამოსილებებს.

კერძოდ, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ სააგენტო უფლებამოსილია "მიმართოს საქართველოს მთავრობას სამართლებრივი დასკვნით და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციით, თუ გაცემული სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას." იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი სხვა მუხლი სახელმწიფო დახმარების თავში მოთავსებული მუხლები არ მიუთითებს კონკრეტულ შედეგებზე, შეიძლება ვივარაუდოთ რომ, თუ საჩივრის ან განცხადების საფუძველზე სააგენტო შეიმუშავებს დასკვნას, ის უბრალოდ ამ დასკვნით ან /და რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას, რის შემდეგ მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას.

**სასამართლოსთვის მიმართვის უფლება**

ახალი კანონის შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტს გააჩნია სასამართლოსთვის მიმართვის უფლება კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

უპირველეს ყოვლისა, კანონი ითვალისწინებს გაცემული სახელმწიფო დახმარების გასაჩივრების შესაძლებლობას. კერძოდ, მე-15 მუხლის თანახმად, თუ გაცემული სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას შესაბამის ბაზარზე, ან/და დარღვეულია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობა სახელმწიფო დახმარების პროცედურასთან დაკავშირებით, პირს, რომელსაც უშუალოდ მიადგა ზიანი, შეუძლია გაასაჩივროს გაცემული სახელმწიფო დახმარება სასამართლოში. აღნიშნულ მუხლთან მიმართებით, აღსანიშნავია ორი ფაქტორი: **პირველი**, კანონი სამწუხაროდ არ განსაზღვრავს, თუ რა იგულისხმება **უშუალო ზიანის მიყენებაში**, შესაბამისად, განმარტების სრული დისკრეცია აქვს სასამართლოს. **მეორე**, მოცემული მუხლი მიუთითებს ზოგადად **"გაცემული სახელმწიფო დახმარების"** გასაჩივრების შესაძლებლობაზე, შესაბამისად, არ არის ნათელი საუბარია საქართველოს მთავრობის მიერ **მიღებული** გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობაზე (დაშვებულ სახელმწიფო დახამრებაზე),თუ ნებისმიერი ტიპის სახელმწიფო დახმარების გასაჩივრებაზე, მათ შორის იმაზეც, რომელიც გაცემული იყო უკანონოდ, სააგენტოსთვის შეტყობინების გარეშე. სავარაუდოდ, მოცემული მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღნიშნული მოსაზრების საფუძველი შესაძლოა ახალი კანონის 24-ე მუხლი გახდეს, რომელიც ქვემოთ არის განხილული. თუმცა, აღნიშნული მუხლი არც საპირისპიროს გამორიცხავს ზოგადი ფორმულირების გამო.

მაშასადამე, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც მე-15 მუხლშია მოცემული, კანონი ასევე ითვალისწინებს სასამართლოსთვის ეკონომიკური აგენტის მიერ მიმართვის სხვა შემთხვევებს. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ახალი კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური აგენტი (მოსარჩელე) 22-ე მუხლის შესაბამისად მიმართავს საჩივრით სააგენტოს მასზედ, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ მიადგა ზიანი, სააგენტოს უფლება აქვს უარი თქვას განაცხადის/საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, იმ მოტივით, რომ აღნიშნული არ შეესაბამება სააგენტოს პრიორიტეტულ მიმართულებებს. კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს აღნიშნული ეკონომიკური აგენტების უფლებების დაცვას და შესაბამისად, უფლებას აძლევს მომჩივანს კონკურენციის დარღვევასთან დაკავშირებით მიმართოს სასამართლოს.

მოცემული დებულების ინტერპრეტირებაც პრობლემატურია და იგი შესაძლებელია ორნაირად იქნეს გაგებული: 1) ეკონომიკურ აგენტს უჩნდება უფლება მიმართოს სასამართლოს **მხოლოდ** სააგენტოს მიერ მისი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევაზე **უარის თქმის შემთხვევაში**. აღნიშნული ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება. რომ თუ პირს სააგენტოში საჩივრის შეტანამდე აქვს აღნიშნული უფლება, არ არსებობდა იმის საფუძველი რომ კანონმდებელს აღნიშნული საკითხი ცალკე პუნქტით დაერეგულირებინა (24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" ქვეპუნქტში განსაზღვრა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) ეკონომიკურ აგენტს ნებისმიერ დროს (ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით), როდესაც ის ჩათვლის, რომ კონკურენციის დარღვევის შედეგად მას ადგება უშუალოდ ზიანი უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. ამ საფუძველს ახალი კანონის მე-15 მუხლის ფორმულირება გვაძლევს, რადგან 1) მოცემული მუხლი მოთავსებულია უშუალოდ სახელმწიფო დახმარების თავში და 2) ის არ მიუთითებს კონკრეტულად აღნიშნული უფლების არსებობაზე მხოლოდ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შემთხვევაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მუხლიც პრობლემატური იყო. ავტორის მოსაზრება შემდეგია: მე-15 მუხლის საფუძველზე ეკონომიკურ აგენტს აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო დახმარება იქნა გაცემული საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, ეკონომიკური აგენტი ჯერ ვალდებულია მიმართოს სააგენტოს საჩივრით, და სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევაზე დაწყების უარის თქმის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. ავტორის აზრით, აღნიშნული მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი, თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს დებულებები ორაზროვანია და არ გამორიცხავს სხვაგვარ განმარტებასაც.

მაშასადამე, თუ დავეთანხმებით მოცემული მუხლების შესაძლო განმარტებას, მომდევნო განხილვის საკითხია, თუ რა ხდება სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში. სააგენტოს, საქმის მოკვლევის შედეგად *სავარაუდოდ* 2 ტიპის დასკვნის შემუშავება შეუძლია: 1) დარღვეულია კონკურენციის ნორმები, 2) კონკურენციის ნორმები დარღვეული არ არის. იმ შემთხვევაში თუ სააგენტო ჩათვლის, რომ დარღვეულია კონკურენციის ნორმები სააგენტო მიმართავს საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით, რომელიც აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რა შეუძლია მოიმოქმედოს ეკონომიკურმა აგენტმა იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეთანხმება სააგენტოს მიერ გაკეთებულ დასკვნას, აღნიშნულთან დაკავშირებით კანონი დუმს, თუმცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ეკონომიკურ აგენტს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და გაასაჩივროს სააგენტოს დასკვნა, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება.

დაბოლოს, სასამართლოსთვის მიმართვის საკითხთან დაკავშირებით ახალ კანონში კიდევ ერთი მუხლია აღსანიშნავი.

კერძოდ, 29-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს: "თუ საქმის მოკვლევის შედეგად გამოვლინდა, ამ კანონის დებულებების დარღვევა, სააგენტო საქმეს გადასცემს სასამართლოს შემდგომი განხილვისთვის და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად." ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლოსთვის საქმის გადაცემისას სააგენტო გამოდის მოსარჩელედ.

აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით არ არის ნათელი, რამდენად არის შესაძლებელი მოცემული მუხლი გავრცელდეს სახელმწიფო დახმარებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული მუხლი ზოგადია, (თავში "აღსრულება" არის მოთავსებული) და არ მიუთითებს გამონაკლის შემთხვევებზე, შეიძლება ვივარაუდოთ რომ აღნიშნული მუხლი სახელმწიფო დახმარებაზე ვრცელდება. თუმცა მეორეს, მხრივ აღნიშნული საკითხი შესაძლოა სადავო იყოს, იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს, სახელმწიფო დახმარებასთან მიმართებაში აქვს მისი დასკვნის საფუძველზე მთავრობისთვის მხოლოდ რეკომენდაციის შემუშავების უფლება. გარდა ამისა, სახელმწიფო დახმარების თავში მე-14 მუხლი ითვალისწინებდა სახელმწიფო დახმარებასთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებას. შესაბამისად მე-14 მუხლი არის ის კონკრეტული მუხლი რომელიც არეგულირებს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას სახელმწიფო დახმარების სფეროში და 29 მუხლი სახელმწიფო დახმარების სფეროზე არ ვრცელდება.

**ჯარიმა.** რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ სანქციებს, ზემოთ აღნიშნული მე-18 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მე-18 მუხლის, 1-ლი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი შესაძლებლობას აძლევს სააგენტოს ეკონომიკურ აგენტს დაუწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა, რომელიც, 32-ე მუხლის თანახმად განისაზღვრება ათასიდან ხუთი ათას ლარამდე.

მოცემული მუხლიც ნოვაციურია, რადგან მოქმედი კანონის შესაბამისად სააგენტოს ჯარიმის დაწესების უფლებამოსილება არ გააჩნდა.

**დასკვნა.** ახალი კანონის შემუშავების დროს საქართველოს მთავრობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კონკურენციის პოლიტიკაში რეფორმების განხორციელება და ამ რეფორმების სფეროში სახელმწიფო დახმარების წესებიც მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ახალი კანონი სახელმწიფო დახმარების სფეროში ბევრ საკითხს ახლებურად მიუდგა, მათ შორის გამოიკვეთა სასამართლოს როლი, სახელმწიფო დახმარების სფეროში, და ასევე სააგენტოსადმი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

საქმის მოკვლევის პროცესში უფლებამოსილებების გაზრდა, რიგი საკითხები მაინც პრობლემატური რჩება. უფრო მეტიც, საკითხების ნაწილი კიდევ უფრო პრობლემატური გახდა ვიდრე ეს არის მოქმედი კანონით გათვალისწინებული.

პრობლემატურ საკითხთა რიცხვს უპირველეს ყოვლისა განეკუთვნება ის გარემოება, რომ კანონპროექტში ფაქტიურად არ არის მოცემული სახელმწიფო დახმარების განმარტება, რაც პირდაპირი მიმანიშნებელია იმაზე, რომ ამ კანონის პრაქტიკაში გამოყენება შესაძლოა შეფერხდეს. გარდა ამისა, პრობლემატურ საკითხს ასევე წარმოადგენს გამონაკლისთა ხის ისეთი გაზრდა, რომელიც კანონის მოქმედების სფეროს მნიშვნელოვნად ამცირებს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელმწიფო დახმარების განმარტებაში არის მოთავსებული კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებად არც კი ჩაითვლება, მოქმედების არეალი კიდევ უფრო მცირდება. და ბოლოს, უარყოფითად, ასევე, შეიძლება შეფასდეს სააგენტოს არაეფექტურობა სახელმწიფო დახმარების კონტროლის საკითხებთან მიმართებით. ამასთან, დადებითათ არც საქართველოს მთავრობის გაძლიერებული როლი სახელმწიფო დახმარების რეგულირების სფეროში შეფასდება.

უფრო მეტიც, უკანასკნელთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, კონკურენციის რეგულირებას ერთი ძირითადი მიზანი აქვს - შექმნას და შეინარჩუნოს ჯანსაღი კონკურენტული გარემო ბაზარზე. აღნიშნული მიზანი მიიღწევა ისეთი წესების დაწესებით რომელიც, დაიცავს ბაზარს ერთის მხრივ ეკონომიკური აგენტების (მაგალითად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა, ან კარტელური გარიგებების აკრძალვა), ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს ისეთი ქმედებებისაგან, რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს ჯანსაღი კონკურენცია, სახელმწიფო დახმარების აკრძალვა სწორედ მეორე საშუალებას განეკუთვნება. მოქმედი კანონი არა თუ არ იცავს ბაზარს მთავრობის მხრიდან ჩარევისგან, არამედ ყველა ბერკეტს მის ხელში ათავსებს.

**რეკომენდაციები:**

• სახელმწიფო დახმარების სფეროში ძირითადი დეფინიციების განსაზღვრა,

✓ ეფექტიანი სახელმწიფო დახმარების ცნების შემუშავება;

• საქმიანობის ეფექტურად განსახორციელებლად სააგენტოს დამოუკიდებლობითა და საკმარისი კომპეტენციებით უზრუნველყოფა:

✓ მაგალითად, სააგენტოს პრიორიტეტულ მიმართულებებს უდგენს საქართველოს მთავრობა, სასურველია, სააგენტო თვითონ განსაზღვრავდეს მისი მუშაობის მიმართულებებს;

✓ ასევე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს არ აქვს უფლება საქმის მოკვლევა თავად დაიწყოს, სასურველია, აღნიშნული უფლება ჰქონდეს.

• სააგენტოსთვის მეტი უფლებამოსილების მინიჭება, რაც მოიცავს მის მიერ სახელმწიფო დახმარების სფეროში გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას;

• სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სახელმწიფო დახმარების გაცემის კონტროლის პროცესში ნებისმიერი ჩარევის დაუშვებლობა;

✓ მაგალითად, სასურველია საბოლოო გადაწყვეტილება სახელმწიფო დახმარების შეთანხმებისას მთავრობას არ ჰქონდეს:

• სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება და ინსტიტუციური განვითარება;

✓ მაგალითად, ამ სააგენტოს თანამშრომელთა რიცხვი, რომელიც კონკურენციის საკითხებზე მუშაობს, სააგენტოს ახალი სახით ჩამოყალიბების შემდეგ არ შეცვლილა;

• გამონაკლისების სისტემის ეფექტურად გამოსაყენებლად სახელმწიფო დახმარების გამონაკლისების სისტემასთან მიმართებით კრიტერიუმების განსაზღვრა;

• აღსრულების საკითხის შესახებ მუხლების დაზუსტება და დახვეწა (აღსრულების საკითხი ბუნდოვანია);

• სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურების სათანადოდ განსაზღვრა და განმარტება;

✓ სასურველია, სახელმწიფო ორგანო თავად არ განსაზღვრავდეს, ადგილი აქვს თუ არა კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვას;

✓ ასევე სასურველია მოხდეს კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვის განმარტება;

• სახელმწიფო დახმარების სფეროში სანქციების სისტემის შემოღება, მათ შორის, სანქციების სისტემაში უკანონოდ გაცემული სახელმწიფო დახმარების დაბრუნების გათვალისწინება

• იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით კანონის დახვეწა და მუხლებს შორის არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრა;

✓ მაგალითად, სასამართლოსთვის მიმართვასთან დაკავშირებით, ბუნდოვანია მე-15 და 24 მუხლები;

• მომჩივანის მტკიცების ტვირთისგან გათავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბანკო სექტორის განვითარების გლობალური და ეროვნული ასპექტები



თამთა ფეტელავა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ბიზნესის ფაკულტეტის,
მე-4 კურსის სტუდენტი

თანამედროვე მსოფლიო საბანკო სისტემა მრავალი წლის განმავლობაში იქმნებოდა და ვითარდებოდა. ბანკის მსგავსი ინსტიტუტები ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში არსებობდა. ეგვიპტეში საბანკო ოპერაციები ძვ.წ.ა. 2700 წელს ხორციელდებოდა; ბაბილონისა და ასურეთის დღემდე მოღწეული დოკუმენტები (მაგ: ხამურაბის კანონების კრებული, ძვ.წთ.აღ-ით 1704-1662 წწ.) მოწმობენ, რომ მაშინაც იყო ვექსილი და ჩეკი, ხოლო სახსრების შენახვისა და სასესხო ოპერაციების ფორმები კანონით რეგულირდებოდა; ამასთან, მონათმფლობელურ საბერძნეთში მონასტრები, როგორც ფულის შენახვის ადგილები, წამყვან როლს ასრულებდნენ და კულტის მსახურებიც, არსებითად, თავისებურ ბანკირებად ითვლებოდნენ; რაც შეეხება „ბანკირებს", მათ გამოჩენამდე 100 წლით ადრე, ძვ.წ.ა. მეხუთე ათასწლეულში რომში ადგილი ჰქონდა პროცენტიანი სესხების გაცემას, როგორც გირავნობით, ისე მის გარეშე.

პირველი საბანკო დაწესებულება თანამედროვე გაგებით 1407 წელს, იტალიაში, კერძოდ კი გენუაში შეიქმნა. შესაბამისად, ცნება „ბანკ"-ი იტალიური სიტყვიდან „BANKO" და პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „ზარაფების სკამს", „ფულის მაგიდას". თავიდანვე, იტალიაში ყველაზე გავლენიანი ბანკები კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან იყო დაკავშირებული. ასევე, ცნობილი იყო მედიჩის კლასიკური ლიტერატურის ბანკი ფლორენციაში.

დროის ცვლილებასთან ერთად, თანდათანობით ბანკების საწყის ფუნქციას - ფულით ვაჭრობას, ახალი - კაპიტალის მართვის ფუნქციაც დაემატა, რომელსაც პროცენტული შემოსავლები მოჰქონდა. ბანკებმა, როგორც კაპიტალის შემგროვებლებმა, წარმოების მთლიანი პროცესების მომსახურება დაიწყეს და მასზე უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა მიიღეს. კრედიტებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ ბანკები აიძულა საკრედიტო რესურსების გაზრდისთვის ეზრუნათ. შესაბამისად, ბანკები არა მარტო თავისუფალი ფულადი კაპიტალის ცენტრალიზაციას ახდენდნენ და მის გამოყენებას სარგებლის მიღების მიზნით ახორციელებდნენ, არამედ მოსახლეობის წვრილ დანაზოგებსაც კაპიტალად აქცევდნენ.

დღეს უკვე ფაქტია და მტკიცებას არ საჭიროებს, რომ გამართული, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი საბანკო სისტემის გარეშე ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება წარმოუდგენელია. შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ცდილობს გამართული და მოსერხებული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, საქართველოსათვის, როგორც ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში მყოფი, განვითარებადი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა უკვე ჩამოყალიბებული საბანკო სისტემების მქონე ქვეყნების თავისებურებების გაცნობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ სტატიაში ჩვენს მიერ მოკლედაა მიმოხილული რამდენიმე მათგანი.

<u>**იტალიაში**</u> მოქმედი კომერციული ბანკები, ძირითადში, სპეციალიზირებულნი არიან და ახორციელებენ მხოლოდ მოკლევადიანი, ან მხოლოდ საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების გაცემას. განვითარებული ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, იტალიის საბანკო სექტორში არსებული ამგვარი გამიჯვნა ემყარება სპეციალურ კანონს, რომელიც მსოფლიო 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ იქნა მიღებული. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ ბოლო პერიოდში, მოკლევადიან, საშუალო და გრძელვადიან ოპერაციებს შორის გამიჯვნა შერბილებულია, რის გამოც იტალიის კომერციულ საბანკო სისტემაში უნივერსალიზაციის ტენდენცია შეიმჩნევა.

ის ინსტიტუტები, რომლებიც ეწევიან მოკლევადიან დაკრედიტებას, კლასიფიცირდება შემდეგ 6 ძირითად ჯგუფად – 1) სახელმწიფო

**საკრედიტო ინსტიტუტები**, რომელთაც 1926 წლამდე ცენტრალურ ბანკთან ერთად, ბანკნოტების ემისიის უფლება ჰქონდათ. ამჟამად ისინი წარმოადგენენ წმინდა სახელმწიფო კომერციულ ბანკებს; 2) **ეროვნული (ნაციონალური) ინტერესების ბანკი,** 800-ზე მეტი ფილიალით; 3) **არასახელმწიფო კომერციული ბანკები; 4) შემნახველი სალაროები,** რომლებსაც ქმნიან კოოპერატივები ან კორპორაციები და რომელთა საქმიანობა შეზღუდულია განსაზღვრული ტერიტორიებით; 5) **სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო სალაროები,** ემსახურება მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სფეროში, მცირე და საშუალო წარმოების დაფინანსებას; 6) **სპეციალიზებული საკრედიტო ინსტიტუტები.**

რაც შეეხება ცენტრალურ ბანკს, ის სახელმწიფო ხელისუფლებას უწევს საკასო მომსახურებას. შესაბამისად, სახაზინო მოთხოვნების ფარგლებში, გასცემს კრედიტებს და იძენს სახელმწიფო ვალდებულებებს. ამასთან, კანონის შესაბამისად, ხაზინას აქვს უფლება, ერთდროულად, ავტომატურ რეჟიმში მიიღოს კრედიტი დაფარვის გარეშე, სახელმწიფო ხარჯების 14%-ის მოცულობით.

<u>**შვეიცარიაში,**</u> საბანკო საქმე იტალიასთან შედარებით, მოგვიანებით განვითარდა. თუმცა, ამას მისი წარმატებისათვის ხელი არ შეუშლია. ქვეყანაში კომერციული ბანკების 5 ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: 1) **კანტონალური ბანკები,** რომლებიც წარმოადგენენ ფედერაციის ან კანტონების მიერ შექმნილ სახელმწიფო ბანკებს; **2) გროსბანკები,** რომლებიც ხასიათდებიან მაღალი აქტივობით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; 3)**რეგიონალური ბანკები; 4) შემნახველი სალაროები,** რომელთა საქმიანობა შეზღუდულია კონკრეტული ტერიტორიით; 5) **სასესხო კავშირები და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები** და **6) სხვა ბანკები,** ანუ, არაერთგვაროვანი საფინანსო ჯგუფი, რომლის წილი ქვეყნის საბანკო მომსახურების ბაზარზე ბოლო პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

შვეიცარია არის ის ქვეყანა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო საიდუმლოების დაცვას. შესაბამისად, მისი შეუსრულებლობა ისჯება ფულადი ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით. ზოგადად, მეანაბრეთა შესახებ ინფორმაციის დაცვას ემსახურება შვეიცარიაში ფართოდ გავრცელებული ნომერული ანგარიში, რომლის პრაქტიკული გამოყენება ხორციელდება ინკოგნიტოდ, ე.ი რიცხვითი კომბინაციის ან კოდის საშუალებით (ფულის მოხსნა და დარიცხვა ანგარიშზე). ამასთან, შვეიცარიელთა გაგებით, ნომერული ანგარიში არ ითვლება ანონიმურად, ის ურთულეს გასაიდუმლოების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს.

სხვა განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემათა მსგავსად, <u>**აშშ-ს**</u> საბანკო სისტემაც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც როგორც ცენტრალური, ასევე კომერციული ბანკების საქმიანობაში ვლინდება. აშშ-ს საბანკო სისტემა წარმოიქმნა დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან (1776.). ამ დროიდანვე არსებობს საკუთრივ აშშ ვალუტა – დოლარი. ქვეყნის საბანკო სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია თორმეტი ფედერალური სარეზერვო ბანკი, რომლებიც წარმოადგენენ ცენტრალურ ბანკებს, კვაზი-საზოგადოებრივ ბანკებსა და ბანკების ბანკებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ-სთვის ტიპიურია ბანკების შეზღუდვა შტატების მასშტაბით. ბანკებს შეუძლიათ გახსნან ფილიალები მხოლოდ შტატების ფარგლებში, სადაც მათი სათაო ოფისი იმყოფება. ამასთან, თითოეულ შტატში ფილიალის დაფუძნების წესი თავისუფალია. შესაძლებელია, რომ ერთმა შტატმა ნება დართოს ახალი საბანკო ფილიალის გახსნას მთელ ტერიტორიაზე, მაშინ როდესაც მეორემ შეიძლება დაადგინოს გარკვეული შეზღუდვები, ხოლო მესამემ კი საერთოდ აკრძალოს.

<u>**იაპონიას,**</u> განვითარებულ ქვეყნებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საბანკო კანონმდებლობა გააჩნია, რომელსაც საფუძვლად საბანკო სისტემის მოწყობის ამერიკული მოდელი უდევს. თანამედროვე ტიპის ბანკები ქვეყანაში 1872 წლიდან გაჩნდნენ. ამჟამად, იაპონიის საბანკო სექტორში წამყვან როლს საქალაქო ბანკები ასრულებენ, რომელთა წილი მუდმივად იზრდება. ეს მსხვილი ბანკები წამყვან როლს ასრულებენ დაკრედიტებაშიც. ისინი უპირატესად აკრედიტებენ სამრეწველო კონცერნებს (როგორც წესი, ყოველი ცალკეული კრედიტის ხიდიდე 100 მლნ. იენს აღემატება, რომელიც ზოგჯერ ბანკის საკუთარი კაპიტალის 20 – 30%-ს შეადგენს). ამასთან, საქალაქო ბანკებზე მოდის იაპონიის ბანკების საზღვარგარეთული ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი.

იაპონიაში, რეგიონალური ბანკები, საქალაქოსგან განსხვავებით, ოპერაციების მცირე მოცულობით ხასიათდებიან. ისინი შეზღუდულნი არიან პრეფექტურების ჩარჩოებით. რეგიონალური ბანკები ახორციელებენ მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტებას და ნაწილობრივ იღებენ შემნახველ ანაბრებს. ისინი მონაწილეობენ საზღვარგარეთულ ოპერაციებშიც, თუმცა მათი

ხვედრითი წილი საქალაქო ბანკებთან შედარებით უმნიშვნელოა. რეგიონალურ ბანკებს, იაპონიის კანონმდებლობა აძლევს უფლებას ჰქონდეთ უცხოეთში ფილიალები და წარმომადგენლობები.

რაც შეეხება საქართველოს, პირველი ქართული ბანკი დაფუძნდა 1875 წლის 28 ივნისს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით (თავად-აზნაურთა სადგილმამულო ბანკი), ხოლო 1 წლის შემდეგ (1876 წელს), ქ. ქუთაისში - ნიკო ლოლობერიძის თაოსნობით.

საქართველოში არსებულ ორდონიან საბანკო სისტემას, საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან. კერძოდ, 1991 წლიდან, როდესაც, უკვე მეორედ, ჩამოყალიბდა ეროვნული ბანკი და დაიწყო საბანკო ლიცენზიების გაცემა. რამდენადაც პარადოქსული და სამწუხარო არ იყოს, უნდა ითქვას ისიც, რომ 1993 წლისთვის საქართველოში საბანკო ლიცენზიის მიღება შესაძლებელი იყო სულ რაღაც 500$-ად, რის გამოც იმ პერიოდისათვის ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 250 კომერციული ბანკი, რომელთა უპასუხისმგებლო ქმედებების შედეგად ათასობით საქართველოს მოქალაქე დაზარალდა.

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციის 95-ე მუხლის შესაბამისად, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. მისი უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 24 სექტემბერს (მანამდე მოქმედებდა 1995 წლის 23 ივნისს მიღებული ორგანული კანონი). სწორედ ორგანული კანონი ანიჭებს ცენტრალურ ბანკს დამოუკიდებლობას ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებისას.

ეროვნული ბანკი თავისუფალია აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევისგან მის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების – საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელიც ყოველწლიურად ამტკიცებს „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს", სადაც მოცემულია ეროვნული ბანკის საქმიანობის ზოგიერთი ძირითადი სამოქმედო რაოდენობრივი პარამეტრი და წლის განმავლობაში განსახორციელებელი სტრატეგიული ღონისძიებები ფულად-საკრედიტო, პრუდენციული რეგულირების სფეროსა და ქვეყნის საგადასახდელო სისტემის განვითარებისთვის.

თანამედროვე ქართულ საბანკო სისტემაში გამოკვეთილი ტენდენციებია: მომსახურეობის სახეობების ზრდა, კონკურენციის ზრდა, დერეგულირება, ფინანსირების ღირებულების ზრდა, ტექნოლოგიური რევოლუცია, კონსოლიდაცია და გეოგრაფიული ექსპანსია, საბანკო საქმის გლობალიზაცია, ბანკროტობის რისკის გაზრდა და დეპოზიტების სახელმწიფო დაზღვევის დანერგვა. თუმცა, ამ ცვლილებების მიუხედავად, „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის" გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში, საბანკო სფეროს კომპონენტში ქართულ ბანკებს მაინც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ. საქართველო სესხის აღების სიმარტივით 142 ქვეყანას შორის 79-ე, ხოლო საბანკო სისტემის სიჯანსაღით 104-ე ადგილზეა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ საქართველოს საბანკო სისტემის დასახვეწად ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაზიარება და მათგან გამომდინარე, ქვეყნის კანონმდებლობას მორგებული სასარგებლო ცვლილებების განხორციელება, უკეთესი საბანკო სექტორისა და ეკონომიკის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეკუა ბ. 2011-2012 სასწავლო წელი. საბანკო საქმე/საფინანსო ინსტიტუტები (ლექციების კურსი). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ. 2009. საბანკო საქმე (ლექციების კურსი). თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი.
3. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია;
4. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", 2009 წლის 24 სექტემბერი, №1676-IIს;
5. http://blogger.ge/post/2822
6. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=425
7. http://www.netgazeti.ge/GE/101/business/9202/
8. http://interesting.ge/2012/04/

# ინკლუზიური ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



თინათინ მექვარიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი



უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სულ უფრო ხშირად ისმის ცნებები "სოციალური მეწარმეობა" და "ინკლუზიური ბიზნესი". მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს მიდგომების გამოყენება სოციალური მიზნების მისაღწევად არ არის ახალი პრაქტიკა, თავად ცნება ახალია და მის განსაზღვრებასთან დაკავშირებით დღემდე მიმდინარეობს დისკუსიები.

სოციალური მეწარმეობა არის ბიზნესი სოციალური მიზნისათვის, ანუ წარმოადგენს სამეწარმეო სერვისებისა და მეთოდების გამოყენებით სოციალური მიზნების მიღწევის პროცესს. ძირითად შემთხვევაში სოციალური საწარმოები სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების საკითხში დატოვებული ვაკუუმის აღმოსაფხვრელად იქმნება. ასეთ საკითხებს ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ აგვარებს, რადგან არ გააჩნია სათანადო ფინანსური და ორგანიზაციული რესურსი, ხოლო კერძო სექტორისთვის ნაკლებად მიმზიდველია ის სამიზნე ჯგუფი და მასშტაბი, რომელსაც შემდგომ სოციალური საწარმოები იკავებენ.

ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული საწარმოსგან განსხვავებით სოციალურ საწარმოს აქვს ორმაგი მიზანი: ეკონომიკური და სოციალური. ამ შემთხვევაში ეკონომიკური მიზანი მხოლოდ საშუალებაა მეორე უფრო მნიშვნელოვანი – სოციალური მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, სოციალური საწარმოს მოგება იზომება არა მხოლოდ ფინანსური წარმატებით, არამედ მისი წვლილით სოციალური პრობლემის მოგვარებაში, რისთვისაც იგი შეიქმნა.

სოციალური მეწარმის იდეალისტური მაგალითია მუჰამედ იუნუსი (MuhammadYunus). იგი 2006 წლის გახდა ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი. ეს ჯილდო მას მიკროსაფინანსო სისტემის შექმნისა და რეალიზაციისთვის მიენიჭა. ეს სისტემა პირველად გამოიყენეს ბანგლადეშში, სადაც მუჰამედ იუნუსმა დააფუძნა ბანკი (Grameen Bank), რომელიც თავდების მოთხოვნის გარეშე გასცემს მცირე ზომის სესხებს ხელმოკლე მოსახლეობისათვის. ამის შემდეგ მცირე სესხების გაცემის ასეთი პრინციპი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ამან ღარიბი ქვეყნების მაცხოვრებლებს საშუალება მისცა ესარგებლათ საბანკო მომსახურებით, რომ აწარმოებინათ საკუთარი საქმე და დაემარცხებინათ სიღატაკე.

სოციალური მეწარმეობა ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

- სოციალური ზემოქმედება – გამიზნულია სოციალური და გარემოს პრობლემების მოგვარებაზე ან შემსუბუქებაზე;
- ინოვაციურობა – ახალი, უნიკალური მიდგომების გამოყენებით სოციალური პროგრესის მიღწევა;
- კომერციალიზაცია და ფინანსური მდგრადობა – სოციალური პრობლემის მოგვარება სამეწარმეო საქმიანობის პროცესში.
- მასშტაბურობა და ტირაჟირების უნარი – სოციალური საწარმოს საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

სოციალური მეწარმეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ინკლუზიური ბიზნესი. ინკლუზიური ბიზნეს მოდელები გულისხმობს დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანების ჩართვას ღირებულების შექმნის ჯაჭვის სხვადასხვა საფეხურზე, როგორც მოთხოვნის მხრივ, კლიენტების და მომხმარებლების სახით, ასევე მიწოდების მხრივ მომწოდებლების, მწარმოებლების და მეწარმეების სახით. ეს მოდელი საშუალებას იძლევა, რომ დამყარდეს ურთიერთსასარგებლო ურთიერთობები დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებსა და ბიზნესს შორის. ინკლუზიური მოდელს ბიზნესისათვის სარგებლის სახით მოაქვს არა მარტო მუდმივი მოგება და მაღალი შემოსავლები, არამედ ახალი მომხმარებლები, დასაქმების ზრდა და პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის არხების გაძლიერება. დაბალი შემოსავლების ადამიანებს კი ეს მოდელი აძლევს საშუალებას დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები, მიიღონ მდგრადი შემოსავალი და აამაღლონ პროდუქტიულობა. გარდა

ამისა, მოდელი შეიძლება ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კუთხითაც შეიძლება შემუშავდეს.

სწორედ ასეთ მაგალითად გვევლინება კომპანია Vitmark–ი. უკრაინაში რამდენიმე წლის წინ დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანები იშვიათად ყიდულობდნენ მაღალი ხარისხის ახალ წვენებს მაღალი ფასის გამო. Vitmark–მა კი უკრაინის სამ ქალაქში გახსნა წვენების ქარხანა და დაიწყო წვენების გაყიდვა თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასში. კომპანია ამუშავებს და ასწავლის ადგილობრივ თანამშრომლებს და ხილს ადგილობრივი ფერმერებისაგან იძენს. შეთავაზებული ხელფასი საშუალო ადგილობრივ ხელფასზე ერთი მესამედით მაღალია. გარდა ამისა, ფერმერებს რეგულარულად უტარდებათ ტრენინგები, რომ გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. ამავე დროს Vitmark–მა დაწია წვენის ფასი პროდუქციის ეფექტური შეფუთვის და მარკეტინგის გამოყენებით, რომ გასულიყო დაბალი შემოსავლების მქონე მომხმარებლებზე.

ინკლუზიური ბიზნესის მოდელები სასარგებლოა არა მხოლოდ კომპანიებისათვის, არამედ ისინი მნიშვნელოვანია იმ ორგანიზაციებისთვისაც, რომლებიც მუშაობენ დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანების პერსპექტივების გაუმჯობესებაზე. მოდელი ფინანსურად მდგრადია, ქმნის არჩევანის შესაძლებლობას და აძლევს საშუალებას ამ ადამიანებს ჩართული იყვნენ ბიზნეს ღირებულებების შექმნის ჯაჭვში მეწარმის, მუშაკის ან მომხმარებლის სახით. ასე მაგალითად, კომპანია Helvetas, შვეიცარიის საერთაშორისო კორპორაციის ასოციაციამ წამოიწყო სათემო ტურიზმი (CBT). ამ ტიპის ტურიზმს ფლობს და მართავს ადგილობრივი საზოგადოება. CBT ჯგუფები უკვე 19 სოფელშია და მასში 350 ოჯახია დასაქმებული.

ინკლუზიური ბიზნეს–მოდელების დანერგვა მარტო კომპანიების საქმე როდია. ამაში შეუძლიათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მთავრობებმა, განვითარების სააგენტოებმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სხვა სტრუქტურებმა.

დედამიწის მოსახლეობის 1/4–ზე მეტი ყოველდღიურად 2 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს, დაახლოებით 1/5-ს ელექტროენერგიაზე, ხოლო 2/3-ს ინტერნეტზე არ მიუწვდება ხელი. ამასთან, ხელმოკლე მოსახლეობას გააჩნია დიდი პოტენციალი მოხმარების, წარმოების, ინოვაციების, სამეწარმეო აქტივობის კუთხით, რომელიც თითქმის არ რეალიზდება. შემოსავლების პირამიდის ყველაზე დაბალ ნაწილში (დღიური შემოსავალი 8 ამერიკულ დოლარს ქვევით) მყოფი 4 მილიარდი ადამიანის ერთობლივი შემოსავალი 5 ტრილიონ დოლარს აღემატება, რაც იაპონიის ეროვნულ შემოსავალს შეიძლება შევადაროთ. ხელმოკლე მოსახლეობას შეუძლია და მზად არის იმისათვის, რომ გადაიხადოს საქონლის და მომსახურების ფასი, თუმცა, ხშირად იხდიან „სიღარიბის ჯარიმას" გამო. ზოგჯერ მათ პირველადი მოხმარების საგნებისათვის უფრო მეტის გადახდა უწევთ, ვიდრე მდიდრებს. ჯაკარტის, მანილის, ნაირობის ღარიბი უბნების მაცხოვრებლები 5-10 ჯერ მეტ ფასს იხდიან წყალში, ვიდრე ამ ქალაქის მდიდარი უბნებიდან, კიდევ უფრო მეტს ვიდრე ლონდონის ან ნიუიორკის მცხოვრებნი. „სიღარიბის ჯარიმა" მოქმედებს კრედიტების, ელექტროენერგიის და ჯანდაცვის სფეროშიც. ბიზნესის მოდელები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან ფასს ან ახალ პროდუქციას ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, შეიძლება საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდეს. მაგალითად, მთელ რიგ ორგანიზაციებს მიკროსესხების სფეროში, რომელიც დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზეა გათვლილი მსხვილ ბანკებზე ბევრად მაღალი მოგების ნორმა გააჩნია.

ინკლუზიური ბიზნესის განვითარების მიმართულებით როგორც შესაძლებლობები, ისე სირთულეები ძალზე ბევრია. სოფლის დასახლებები და ქალაქის ღარიბი უბნები ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელ ადგილს არ წარმოადგენს. არ არის განვითარებული ან საერთოდ არ არსებობს საჭირო ინფრასტრუქტურა, ღარიბების სამყაროში არ მოქმედებს ფინანსური სისტემა, ეკონომიკა ბარტერულია და ნაღდ ანგარიშსწორებას ეყრდნობა. საიმედო სამართალდამცავი და იურიდიული სისტემის არ არსებობის გამო, კონტრაქტები არაფორმალურ ხასიათს ატარებს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია შესაძლებლობა ბიზნესი ჩვეული, სტანდარტული სცენარით წარმართოს.

შეიძლება გამოვყოთ ხუთი ძირითადი მიმართულება რომლითაც გამოც მეწარმეები ეფექტიან ხელმოკლე მოსახლეობასთან საქმის დაჭერას:

* შეზღუდული ინფორმაცია ბაზრების შესახებ – მეწარმეებს ძალიან ცოტა იციან ღარიბების შესახებ, მათ შორის – სამომხმარებლო მისწრაფებები, ფინანსური შესაძლებლობები, მათი როგორც დაქირავებული მუშაკის, მწარმოებლის, მეწარმის მახასიათებლები;

* არაეფექტიანი რეგულირება – დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებზე ხშირად არ არსებობს მარეგულირებელი მექანიზმები, რაც ბიზნესის ფუნქციონირებას უსაფრთხოს გახდიდა. არ არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი ნორმების და ხელშეკრულებების პირობების დაცვა;

* განუვითარებელი ინფრასტრუქტურა – დაბალი დონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. წყლით, ელექტროენერგიით და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფის სისტემის განუვითარებლობა;

* ცოდნის და გამოცდილების უკმარისობა – დაბალშემოსავლიანმა მომხმარებელმა შესაძლოა არ იცოდეს სხვადასხვა პროდუქტის უპირატესობები ან მისი გამოყენება. არ გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია საწარმოო პროცესში ჩასართავად;

* შეზღუდულობა მკვეთრად ამცირებს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის შესაძლებლობებს განახორციელოს ინვესტიციები ან მსხვილი შესყიდვები. საბანკო ანგარიშსწორების სისტემის მიუწვდომლობა ზრდის გარიგების განხორციელების დანახარჯებს და რისკს.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვი იზრდება. მეწარმეები თავს არიდებენ პრობლემებს მათი გვერდის ავლით ან მოგვარებით. ამისათვის ისინი მიმართავენ ხუთ ძირითად სტრატეგიას: პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია, ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეებით სარგებლობა, სტრატეგიული ალიანსების ფორმირება და დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე. რა თქმა უნდა, ეს სტრატეგიები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ პირობებს და საწარმოს მიზნებს. ამასთან, აუცილებელ კომპონენტს თავად მეწარმის ინტუიცია და ანალიტიკური აზროვნების უნარი წარმოადგენს.

პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია გულისხმობს საბაზრო ბარიერების გადალახვას ახალი ტექნოლოგიების და ბიზნეს-პროცესების რეორგანიზების გზით. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები იძლევა ასეთი ადაპტაციის საშუალებას, მათ შორის – მობილური ბანკინგი, სმარტ ბარათები, ტელემედიცინა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი ხდება დისტანციური მომსახურების გაწევა.

ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად შეიძლება განხორციელდეს როგორც საკუთარი რესურსებით, ასევე თანადაფინანსებით. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ჩავარდნის დაძლევა, როგორც წესი, მთავრობის საქმიანობის სფეროდ მიიჩნევა, ხშირად ინკლუზიური ბიზნესის მოდელით მომუშავე კომპანიები თავად წყვეტენ ასეთ ამოცანებს. ასეთმა ინვესტიციებმა შეიძლება უზრუნველყოს როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო უპირატესობები.

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეების გამოყენება მათი ბიზნესში უშუალო ჩართვით ან სოციალური ქსელების გამოყენებით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა. როგორც წესი, დაბალშემოსავლიანი ადამიანები ინკლუზიური ბიზნესის მოდელით მომუშავე საწარმოს [illegible] პარტნიორებად გვევლინებიან. ხელმოკლე მოსახლეობის მიზიდვით და მათი სოციალური ქსელების გამოყენებით კომპანიებს, დანახარჯების შემცირების გარდა, შეუძლიათ აიმაღლონ ბაზრის ხელმისაწვდომობა, ნდობა და გამჭვირვალობა. ხელმოკლე მოსახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმატებისათვის უმნიშვნელოვანესია – ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების ცოდნა და ნდობა.

სტრატეგიული ალიანსების ფორმირებით ინკლუზიურ ბიზნესს შეუძლია მიიღოს ის რესურსები და შესაძლებლობები, რომლებიც საწარმოს დამოუკიდებლად არ გააჩნია. ასეთი თანამშრომლობა საერთო მიზნის მქონე საწარმოების რესურსების გაერთიანებას ემყარება. ალიანსმა შეიძლება სხვადასხვა სახე მიიღოს: დაპატენტებულ ტექნოლოგიებზე ლიცენზიების გაცვლა, საწარმოო სიმძლავრეების ერთობლივი გამოყენება, კვლევების ერთობლივი დაფინანსება, პარტნიორის პროდუქციის გასაღება საკუთარი ქსელების მეშვეობით და ა.შ.

დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე უმნიშვნელოვანესი ელემენტია ხელმოკლე მოსახლეობასთან ბიზნესის წარმოებისას. ყველა ის პრობლემა, რომელსაც ბიზნესი აწყდება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებზე საქმიანობისას მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკასთან. ხშირად ასეთ დიალოგს შეიძლება მარეგულირებელი ნორმების გამყარებაც მოჰყვეს, რაც ხელმოკლე მოსახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმოებას გაამარტივებს.

სოციალური მეწარმეობის როლის და ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში ძირითადად უცხოელი დონორების წყალობით გავრცელდა. როგორც ეკონომიკის ახალი სექტორი, ის საქართველოში ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა ჯერ-ჯერობით არ იცნობს ცნებებს „სოციალური მეწარმეობა" და „ინკლუზიური ბიზნესი", შესაბამისად, არც განსაკუთრებული სპეციფიკური რეგულაციები და წესები არ არის განსაზღვრული ასეთი ორგანიზაციული წარმონაქმნების საქმიანობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დაინტერესებულმა სუბიექტმა დააფუძნოს ისეთი წარმონაქმნები, რომლებიც თავისი არსით შეიძლება ძირითადად აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმოსათვის დამახასიათებელ კრიტერიუმებს.

რა თქმა უნდა, სოციალური მეწარმეობა საქართველოში არსებობს, ისევე როგორც კეთილი ადამიანები, რომლებსაც სურთ შეცვალონ სამყარო უკეთესობისაკენ. მაგრამ, იმისათვის, რომ სოციალური მეწარმეობა განვითარდეს, საჭიროა წარმატებული ნიმუშები და ინფორმაციის გაცვლა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია სწორი თვითიდენტიფიცირება სოციალური მეწარმეების მხრიდან. იმის გაცნობიერება, თუ რამდენად მყარია ის სოციალური მისია, რომელიც მათ ეკისრება. თავისი სიტყვა სოციალური მეწარმეობის განვითარებაში უნდა თქვას სახელმწიფომ და ბიზნეს სექტორმა.

მიუხედავად სიახლისა საქართველოშიც მოიძებნება სოციალური საწარმოს ნათელი მაგალითი – შპს „ბელელი", რომელიც დაფუძნდა 2005 წლის ოქტომბერში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანას" და შპს "საქართველოს ხილი და ბოსტნეულის" მიერ, "ელკანას" წევრი ფერმერების წარმოებული საკვები პროდუქტების პოპულარიზაციისა და ფართო მომხმარებლისათვის მიწოდების მიზნით. პროდუქციის წარმოებისას არ გამოიყენება ქიმიური სასუქები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. საკვების წარმოების მეთოდები კი მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს შეესაბამება. ამ ორგანიზაციამ მოახერხა 400-ზე მეტი ფერმერის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. დღეისათვის შპს "ბელელი" მომხმარებელს სთავაზობს 250-ზე მეტი სახეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას. მიუხედავად ამისა მას ბევრი პრობლემა აქვს დასაძლევი კერძოდ: სუსტი ინფრასტრუქტურა, პროდუქციის გადამუშავების მაღალი ღირებულება, არც თუ ისე მაღალი გაყიდვები შიდა ბაზარზე და შეზღუდული საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით. ამასთანავე კომპანია გეგმავს უფრო მეტად გაზარდოს ასორტიმენტი და მათ რიცხვს შემატოს ჩაი, ღვინო და ყველი.

განვითარებულ ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის აღმავლობა განპირობებულია საზოგადოების წარმატებული წევრების მოქალაქეობრივი აქტიურობის, პასუხისმგებლობის ზრდით, სოციალურად ორიენტირებული ფასეულობების გავრცელებით, სამეწარმეო პრაქტიკის და სოციალური მისიის წარმატებული კომბინაციის კრიტიკული მასის გაჩენით.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე დადებითი ძვრები თავისთავად ემსახურება ინკლუზიური ბიზნესის განვითარებას. თუ გავითვალისწინებთ ქართული წარმატებული საწარმოებისათვის დამახასიათებელ სოციალური პასუხისმგებლობის მზარდ ტენდენციას, ქართველების მისწრაფებას სწრაფად აუწყონ ფეხი მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიურ ტენდენციებს, ასევე იმას, რომ სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა ისეთივე რენტაბელურია, როგორც ქველმოქმედება, ამავდროულად უფრო თანამედროვე და ეფექტიანი, სოციალურ მეწარმეობას და ინკლუზიურ ბიზნესს საქართველოში კარგი პერსპექტივა გააჩნია. მიუხედავად ამისა საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა საკანონმდებლო ბაზის მიხედვით. შეღავათებისა თუ სუბსიდიების დაწესება სოციალური მეწარმეებისათვის. ამ კუთხით საჭიროა გავითვალისწინოთ წარმატებულ ქვეყანათა მაგალითები. სოციალური წარმოება არ უნდა იბეგრებოდეს სხვა კერძო კომპანიების მსგავსად და იგი გარკვეულწილად მთავრობის მფარველობის ქვეშაც უნდა ექცეოდეს, რადგანაც სოციალური მეწარმეობის ერთ–ერთი ძირითადი ფუნქციაა, შეავსოს დეფიციტი საზოგადოების მხრიდან კეთილდღეობის მოთხოვნასა და სახელმწიფოს მხრიდან მის მიწოდებას შორის. იმის გამო, რომ სოციალური მეწარმეობა ეხმარება სახელმწიფოს ამ დეფიციტის აღმოფხვრაში, ბუნებრივია, თავისთავად, სახელმწიფოც დაინტერესებული უნდა იყოს დაეხმაროს და განავითაროს ეს სფერო ქვეყანაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. „ბიზნესის მონაწილეობა სიღარიბის პრობლემის გადაწყვეტაში", გაეროს 2010 წლის ანგარიში.
2. ლ. ფანიაშვილი, შ. მურღულია, სოციალური მეწარმეობის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი 2010.
3. სოციალური მეწარმეობა – საერთაშორისო გამოცდილება ათი ქვეყნის მაგალითზე, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი 2010.
4. www.cse.ge
5. www.epfound.ge

# მონოპოლია: დადებითი და უარყოფითი მხარეები

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიგა კუპუხიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

დღევანდელ საქართველოში აქტუალურია მონოპოლიების თემა. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ძალიან ბევრ სფეროში მონოპოლიებია, რაც ხელს უწყობს ფასების არასტაბილურობას და შემოსავლების გადანაწილებაზე უარყოფითად მოქმედებს. ისინი მოითხოვენ ანტიმონოპოლიური სახელმწიფო ორგანოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს რეალურ კონკურენციას ბაზარზე და შემოსავლების სამართლიან, თანაბარ გადანაწილებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონოპოლიას უამრავი უარყოფითი მახასიათებლის გარდა აქვს დადებითიც, რომლებზეც საუბარი ჩემი აზრით აუცილებელია.

კონკურენციის განვითარებისა და მისი შენარჩუნებისთვის, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში დაახლოებით ორმოცმა სახელმწიფომ მიიღო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიმართულია კონკურენციის დაცვისა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისკენ. საქართველოშიც იყო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გამტარებელი სამსახური, რომელსაც „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური" ერქვა. ეს უწყება იმდროინდელ მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებობდა, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" კანონზე დაყრდნობით ახორციელებდა. კანონი 1996 შეიქმნა და იმავე წლის 25 ივნისს ამოქმედდა. თუმცა დღესდღეობით ეს კანონი გაუქმებულია. {6}

აღსანიშნავია, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებას ევროკავშირის რეკომენდაცია ითვალისწინებს. ევროკომისიაში აცხადებენ რომ საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებაზე მუშაობა მაშინ დაიწყება, როდესაც მთავრობა მის რეკომენდაციებს შეასრულებს. ეს რეკომენდაცია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნასა და ქვეყანაში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვას ითვალისწინებს.

„ექსპერტ დავით ნარმანიას მოსაზრებით, კანონმდებლობის მიღება ორი მიზეზით ფერხდება, ერთია ის, რომ საქართველოს ბაზარზე ბევრი მონოპოლისტია, რომელიც ალიანსშია საქართველოს ხელისუფლებასთან, შესაბამისად ისინი ცდილობენ, რომ კანონის მიღება მაქსიმალურად გაწელონ. მეორე მიზეზი არის ის, რომ კანონში გაწერილ გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება ვერ შედგა."{7}

სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი სახეა სატარიფო რეგულირება, რომლის საჭიროებას ხშირად ასაბუთებენ ზოგიერთი სფეროების ე.წ. ბუნებრივი მონოპოლიურობით, ანუ პირობებით, როდესაც წარმოების მასშტაბების ზრდა საშუალო ხარჯების შემცირებას იწვევს და შედეგად ბაზარზე ერთი მონაწილის არსებობა უფრო ეფექტური ხდება, ვიდრე რამოდენიმე მომწოდებლის. გამომდინარე აქედან ერთი მონაწილის არსებობა უფრო ხელსაყრელი უნდა იყოს საზოგადოებისთვისაც, თუ ეს მეწარმე-ბიზნესმენი უარს იტყვის საკუთარ ინტერესებზე და წინ საზოგადოების ინტერესებს დააყენებს, რაც თანამედროვეობაში იშვიათობაა. საქართველოში მონოპოლიები, რომელთაც არსებობა გამართლებულად ჩაითვალოს არიან კომპანიები რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ენერგიით, წყლით და გაზით უზრუნველყოფას, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი ექსპერტი საუბრობს მაღალ ფასებზე რომელთაც ეს კომპანიები აწესებენ. აღნიშნულ ბაზარზე, რომ ყოფილიყო კონკურენცია და ბევრ ფირმას ჰქონოდა დანაწილებული ფუნქციები, მათ არ ექნებოდათ მასშტაბის ეკონომიის გამოყენების შესაძლებლობა, ამიტომ მათი არსებობა არაეფექტიანი იქნებოდა, თუმცა

კიდევ ერთხელ გავიმეორებ ექსპერტების აზრს, იმის შესახებ, რომ ეს კომპანიები ბოროტად იყენებენ მინიჭებულ უფლებებს. {1}

ფასების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების ერთადერთი გზა კონკურენციის დანერგვა ანუ ექსკლუზიური უფლებების გაუქმებაა, მათ შორის განსაკუთრებული საკუთრების (დენის გადამცემი ხაზების, მილსადენების, სიხშირეების და სხვა) მფლობელთა დავალდებულება თანაბრად, მიკერძოების და კონკურენციის შეზღუდვის გარეშე მოემსახურონ — ყველა მომხმარებელს მომწოდებელს. ხოლო რაც შეეხება "ბუნებრივი მონოპოლისტების" თუ "დომინანტური პოზიციის მქონეთა" მიერ მონოპოლიური ფასების მოთხოვნას, მათი მხრიდან ასეთი საქციელი მოსალოდნელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფასების აწევა მათი შემოსავლის ზრდას იწვევს. ეს მხოლოდ მაშინ ხდება როცა მათ წინააღმდეგ შემთხვევაში შემცვლელის არსებობა ან ბაზარზე პოტენციური შემცვლელის შემოსვლის ალბათობა აიძულებს ბაზრის მონაწილეს გამოიყენოს მინიმალურად შესაძლო ანუ არამონოპოლიური ფასი. მაშასადამე, "ბუნებრივი მონოპოლია" და ამ სფეროებში მოქმედი მონოპოლიური ფასები, სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ექსკლუზიური უფლებების შედეგია. ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა უფრო მარტივად, ამ უფლებების გაუქმებითა და კონკურენციის დანერგვით არის შესაძლებელი.

მონოპოლიის დროს: 1. ერთი ფირმაა. 2. ფასებზე პრაქტიკულად სრული კონტროლი არსებობს. 3. საქონლის დიფერენცირებას ადგილი არ აქვს. 4. ბაზარზე შეღწევა ძალიან ძნელი და ძვირია.

მონოპოლიის დროს ფასი, როგორც წესი, უფრო მაღალია ვიდრე კონკურენციის დროს, ხოლო პროდუქციის წარმოება ნაკლებია. მაგრამ მონოპოლისტს არ შეუძლია განუსაზღვრელად გაზარდოს ფასი, მას მოთხოვნის ელასტიურობა ზღუდავს. მონოპოლიების წარმოშობას მრავალი ქვეყანა ეწინააღმდეგება. {2}

არასრულყოფილი კონკურენცია ბაზრის ისეთი სტრუქტურაა, სადაც გამყიდველებს ფასების დაწესების უფრო მეტი თავისუფლება აქვთ, ვიდრე სრულყოფილი კონკურენციის დროს. თუმცაღა, ამასთან ერთად მათ უფრო ნაკლები თავისუფლება აქვთ ვიდრე წმინდა მონოპოლიის დროს. მათ ეს თავისუფლება იმიტომ აქვთ, რომ საქონელი იყიდება მონოპოლისტური კონკურენციის ან ოლიგოპოლიის პირობებში.

"საქართველოში ფასების ზრდას, 3 ძირითადი ფაქტორი - ინფლაცია, მონოპოლიები და არარეგულირებადი ბაზარი განაპირობებს. არარეგულირებად ბაზარში არ ვგულისხმობ, რომ თავისუფალ ვაჭრობას რაიმე საფრთხე შეექმნას. რეგულირებაში ვგულისხმობ, რომ ბაზარზე მოქმედი ყველა კომპანიისთვის ერთნაირი თამაშის წესები მოქმედებდეს. რაკი ჩვენს ქვეყანაში ეს არ არსებობს, ძლიერის გავლენა მძაფრდება და ამან მოგვცა ის, რომ საქართველოს ბაზრის დიდი ნაწილი მონოპოლიზებულია". - აღნიშნავს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე.

ქვეყანაში არსებული მონოპოლისტები საშუალებას არ აძლევენ ბიზნესის დაწყების მსურველებს, რომ ბაზარზე შევიდნენ და მათ კონკურენცია გაუწიონ. ეს კი იმას იწვევს, რომ რომელიმე კონკრეტული პროდუქტის ფასს მთელ ბაზარზე, ერთი კომპანია აწესებს. ეს კომპანია კი, რა თქმა უნდა, რეალურ ფასზე გაცილებით მაღალ ფასს ადებს პროდუქტს, მეტი მოგების მისაღებად. ამის შესაძლებლობას კი მას სახელმწიფო აძლევს, რადგან ფასთან დაკავშირებით არანაირ შეზღუდვას არ უწესებს თუნდაც ეს კომპანია არსებული ბაზრის 99,9%-ს ფლობდეს.

საქართველოში ფასების მაღალ დონეს, ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ხადური, ქვეყანაში არსებულ დაბალი კონკურენციის დონეს უკავშირებს, - "როდესაც ვსაუბრობთ, რომ ქვეყანაში ბაზარი არის მონოპოლიზირებული, ალბათ, პირველი უნდა ვთქვათ, რომ არა მონოპოლიზირებულია, არამედ საქართველოში არის ძალიან ბევრი კომპანია, რომელსაც გააჩნია საბაზრო ძალაუფლება, ანუ რომელსაც შეუძლია ბაზარზე ზეგავლენა მოახდინოს. იმიტომ, რომ კლასიკური გაგებით საქართველოში არც ერთი მონოპოლია არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ბევრ საქონელზე ფასები იკლებს, საქართველოში ისინი მაინც იზრდება, რადგან საქართველოში კონკურენციის ხარისხი ძალიან დაბალია".

კონკურენციის არარსებობა, ბაზრების მონოპოლიზება, ინფლაცია და ქვეყანაში ნორმალური მარეგულირებლების არ არსებობაა ზუსტად ის მაღალი ფასების განმაპირობებელი, რომელიც დღეს საქართველოში დახლებზე დალაგებულ პროდუქტს ადევს.

ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების შემდეგ, საქართველოში 7 კაციანი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო" შეიქმნა, მაგრამ, მას ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებების მეათედიც კი არ გააჩნია. {3}

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიუხედავად ამ ყველაფრისა საქართველოში ბოლო წლებში იზრდება ბიზნეს სექტორში დასაქმების და გამოშვების მაჩვენებლები, რაც სავარაუდოდ ამ სექტორების ხარჯზე ხდება, სადაც ფირმებს შორის მაღალი კონკურენციაა.

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011* | I 2012 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა მილიონი ლარი | 7368.4 | 100763 | 130903 | 17544.4 | 19650.7 | 20302.2 | 24400.7 | 26350.8 | 3149.6 |
| გამოშვებული პროდუქცია, მლნ.ლარი | 4374.8 | 5538.3 | 7412.6 | 9645.4 | 10248.4 | 11003.1 | 13303.7 | 14236.9 | 4089.2 |
| დამატებული ღირებულება, მლნ.ლარი | 2258.6 | 2795.8 | 3479.4 | 4341.8 | 5162.6 | 5464.1 | 6703.2 | .. | .. |
| შუალედური მოხმარება, მლნ.ლარი | 2136.2 | 3041.5 | 3933.1 | 5103.7 | 5085.8 | 5539.0 | 6600.5 | ... | - |
| ფიქსირებული აქტივები, მლნ.ლარი | 4942.8 | 5415.1 | 6040.5 | 7935.9 | 9257.1 | 12025.8 | 13386.1 | ... | .. |
| დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი | 322779 | 388946 | 360987 | 361209 | 349250 | 387463 | 397806 | 360398 | 470041 |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი | 161.6 | 204.5 | 285.8 | 381.6 | 519.8 | 538.1 | 592.7 | 714.8 | 690.9 |

მონოპოლიების შევიწროვებას ასევე მნიშვნელოვნად ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც კონკურენციის ზრდას, შემოსავლების ზრდას, ფასების სტაბილურობას ბევრ სექტორში და დასაქმების ზრდას იწვევს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის პოზიტიური ტენდენცია, რომელიც ბოლო წლებში ვლინდება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საანგარიშო პერიოდში წინა წელთან შედარებით 21.4 პროცენტით გაიზარდა და 827.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი ინვესტიციების 14 პროცენტი სოფლის მეურნეობაში განხორციელდა, 22.2 პროცენტი - მრეწველობაში. დანარჩენი ინვესტიციები მომსახურების სხვადასხვა სფეროებზე გადანაწილდა, მათ შორის: 18.1 პროცენტი - საფინანსო სექტორში; 16.1 პროცენტი - ენერგეტიკაში; 12.5 პროცენტი - უძრავ ქონებაში; 13.3 პროცენტი - ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში; 16.3 პროცენტი კი მომსახურების სხვა სფეროებში.[5]

შეჯამებისთვის შეგვიძლია იმის თქმა, რომ თუ მონოპოლიას დავუშვებთ ბაზარზე (მხოლოდ ზოგიერთ სფეროში) იმ მიზნით, რომ მისი არსებობა უფრო ეფექტიანი იქნება, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს კონტროლი, რომ აღნიშნულმა ფირმებმა ბოროტად არ გამოიყენონ ეს პრივილეგია. დანარჩენ სფეროებში კი ხელი უნდა შეეწყოს კონკურენციის განვითარებას, რომელიც ზრდის დასაქმებას, ხელს უწყობს ფასების სტაბილურობას და შემოსავლების თანაბარ გადანაწილებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. www.nesgeorgia.org ნინო გორგაძე/ნონა ყარალაშვილი-ეკონომიკის ინსტიტუციური დერეგულირება ზოგადი კონცეფცია.
2. www.referati.ge მონოპოლია და მისი ფორმები
3. www.bfm.ge მერაბ ჯანიაშვილი-პატარა ქვეყნის დიდი მონოპოლიები. მონოპოლია ჯიბეებს აცარიელებს.
4. www.geostat.ge სტატისტიკური ინფორმაცია: ბიზნეს სექტორი
5. www.nbg.ge საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 2011
6. www.gfsis.ge ლევან წიკლაური: თავისუფალი კონკურენცია versus მონოპოლია
7. www.resonancedaily.com მაკა ხარაზიშვილი: ანტიმონოპოლიური სამსახური არც 2012 წელს ამოქმედდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონოპოლია, მისი განვითარების ისტორია და ანტიტრესტული რეგულირება



ნინო ნიკოლოზიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

მონოპოლიები საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არსებობდა, მაგრამ ის შინაარსი, „ეკონომიკური აღნაგობა" და ფუნქციონირების ხასიათი, რომელიც ამჟამად აქვთ, ამ გაერთიანებებმა მხოლოდ XX საუკუნეში შეიძინეს. მთავარ განვითარებულ სახელმწიფოებში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ, იტალია, გერმანია, იაპონია და სხვ.) წარმოების კონცენტრაცია-ცენტრალიზაციისა და მონოპოლიზაციის პროცესი განსაკუთრებით გააქტიურა და დააჩქარა გასული საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელმა ისეთმა მოვლენებმა, როგორიც იყო მეტალურგიულ, ნავთობგადამამუშავებელ, ქიმიურ, მანქანათსაშენებლო, სატრანსპორტო მრეწველობასა და სხვა დარგებში კაპიტალურ დაბანდებათა მასშტაბის ზრდა, საფინანსო-საბანკო დაწესებულებათა ფუნქციების გაფართოება, სააქციო საზოგადოებათა მასობრივად შექმნა, ეკონომიკაში შესაბამისი კაპიტალის ხვედრითი წონის სწრაფი ტემპებით ზრდა და ა.შ. ყოველივე ამის კვალობაზე მონოპოლიები, ეკონომიკურადაც და ორგანიზაციულადაც, ჩამოყალიბდა, დამკვიდრდა და გაბატონდა სამეურნეო ცხოვრებაში.

სიტყვა მონოპოლისტი მომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან მონო - „ერთი" და პოლისტ - „გამყიდველი. მონოპოლიის დროს ერთი ფირმაა, ფასებზე პრაქტიკულად სრული კონტროლი არსებობს, საქონლის დიფერენცირებას ადგილი არ აქვს და ბაზარზე შეღწევა ძალიან ძნელი და ძვირია. [6]

დღესდღეობით მონოპოლია არაკანონიერად ითვლება, ვინაიდან ძლიერია საზოგადოების ინტერესებისადმი მონოპოლიების დაპირისპირება და ეკონომიკურ პროგრესზე მათი უარყოფითი ზემოქმედება. ამიტომ, სახელმწიფო იძულებული ხდება ჩაერიოს სამეურნეო ცხოვრებაში. იგი სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებს სრულყოფილი კონკურენციისათვის მხარდაჭერის და მონოპოლიების ძალმომრეობისაგან მისი დაცვის მიზნით. ამ ღონისძიებათა ერთობლიობაში ვლინდება სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია, რომელიც შესაბამის სამართლებრივ ბაზას ანუ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ინსტანციის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ კანონებს ემყარება. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ანტიმონოპოლიის და ანტიტრესტულ კანონებს. [6]

ზოგადი ხასიათის პირველ ანტიმონოპოლიურ კანონად, რომელშიც თვით ტერმინი „მონოპოლია" პირველადაა მოხსენიებული, ითვლება იმპერატორ ზენონის კონსტიტუცია ფასების შესახებ (483 წელი). ამ აქტში ნათქვამი იყო: „ჩვენ ვბრძანებთ, რომ ვერცერთმა პირმა ვერ უნდა გაბედოს განახორციელოს მონოპოლია რომელიმე სახეობის ტანსაცმელზე ან თევზზე, ან რომელიმე სხვა საგანზე, რომელიც წარმოადგენს საკვებს ან განკუთვნილია სხვა გამოყენებისათვის". ასეთი საკანონმდებლო ღონისძიებები, რაც მიმართულია სპეკულაციური მონოპოლიის აღმოფხვრაზე, ცნობილი იყო შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის არაერთი სახელმწიფოსათვის, მათ შორის, ინგლისისათვის. კანონიკურ სამართალში მოცემულიც იყო ანტიმონოპოლიური ნორმა, რომლის შესაბამისად, გამყიდველს თავის საქონელზე უნდა დაედგინა „სამართლიანი ფასი" და მიეღო „გონივრული შემოსავალი". [5, გვ.4]

ანტიმონოპოლიური რეგულირება იძლევა საშუალებას, ჩამოყალიბდეს კონკურენტული ბაზარი, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის გაჯანსაღებას. ა. სმითმა პირველმა დაამტკიცა, რომ მოგების ნორმათა გათანაბრების მეშვეობით კონკურენცია განაპირობებს შრომისა და კაპიტალის ოპტიმალურ განაწილებას. კონკურენციამ უნდა დააბალანსოს კერძო ინტერესები და ეკონომიკური ეფექტიანობა. ამ მიდგომით ა. სმითი კონკურენციას აიგივებს ბაზრის „უხილავ ხელთან". [3, გვ15]

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

განვითარებული კონკურენციის პირობებში ახალ ბაზრებზე გასვლის ბარიერები უმნიშვნელოა, სწორედ ეს უწყობს ხელს ეკონომიკის პროგრესს: წარმოების ეფექტურობა მატულობს, იქმნება პირობები რესურსთა კონცენტრაციისათვის ეკონომიკის უფრო მედეგიან სექტორებში. კონკურენტული გარემოცვა უბიძგებს მეწარმეებს აქტიურად დანერგონ ინოვაცია, სრულყონ ტექნოლოგია და რაციონალურად გამოიყენონ განსაზღვრული რესურსები. ეს ზრდის მომხმარებელთა კეთილდღეობას, კლებულობს ფასები პროდუქციისა და მომსახურებათა ტრადიციულ სახეობებზე, ბაზარზე მუდმივად ჩნდება ახალი საქონელი და ახალი მწარმოებლები. [6]

ამდენად, ქვეყანაში სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია კონკურენციის დაცვა, ხელშეწყობა და განვითარება. ამიტომაც, მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას და კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშეწყობას.

მსოფლიოში კონკურენციის ხელშეწყობისა და ანტიტრესტული (ანტიმონოპოლიური) რეგულირების სამშობლო აშშ გახლავთ. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი 1890 წელს, ე.წ. „შერმანის აქტის" (Sherman Act) მიღება იყო, რომლის მიღება კონგრესს ამერიკელი საზოგადოებრიობის, უპირველეს ყოვლისა კი, ფერმერებისა და მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მხრიდან ძლიერმა ზეწოლამ აიძულა. მე–19 საუკუნის ბოლოს, აშშ–ში გაჩნდა სერიოზული ეჭვი, რომ კომპანიათა მცირე ჯგუფს საბაზრო ძალაუფლების საკუთარ ხელში მოქცევა შეეძლო, რაც ხიფათს შეუქმნიდა როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ისე ქვეყნის მომავალი დემოკრატიზაციის პროცესს. „შერმანის აქტი" კრძალავს დაუსაბუთებელ შეზღუდვებს ვაჭრობაში, ბაზარზე მონოპოლიის შექმნის მცდელობასა და მონოპოლიური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. დღეისათვის აშშ-ში ფუნქციონირებს კონკურენციული ეკონომიკის უზრუნველმყოფი სამი ძირითადი აქტი:

1) „შერმანის აქტი" – მიღებულია 1890 წ.;

2) „კლეიტონის ანტიტრესტული აქტი"(Clayton Antitrust Act) – მიღებულია 1914 წ.;

3) „ვაჭრობის ფედერალური კომისიის შესახებ"– მიღებულია 1914 წ.. [1, გვ.147]

მონოპოლიასთან ბრძოლის მიზანს ემსახურება აგრეთვე გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს (1957 წლის 25 მარტს) ევროპის რიგი სახელმწიფოების მიერ იტალიის დედაქალაქში ხელმოწერილი ხელშეკრულება – „ევროპის ეკონომიკური განვითარების შესახებ", რომელიც „რომის ხელშეკრულების" სახელწოდებითაა ცნობილი. იგი წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელ უმთავრეს სამართლებრივ ნორმას. [7,გვ.73]

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია მონოპოლიების რეგულირების ღონისძიებების სიმკაცრე და ინსტრუმენტები. თუ დიდ ქვეყნებში (მაგალითად, აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირის სხვა ქვეყნები), ძირითადად, მონოპოლიების არსებითი გავლენა და ბაზარზე დომინანტობა რეგულირდება, პატარა ქვეყნებში (მაგალითად, ახალი ზელანდია, ისრაელი, კვიპროსი, მალტა) საკუთრივ მონოპოლისტი კომპანიების საქმიანობის რეგულირებაც ხორციელდება (იხ. ცხრილი 1.1). [4, გვ.91]

ცხრილი 1.1. მონოპოლიის მარეგულირებელი ზომები სხვადასხვა ქვეყანაში

| ქვეყანა (ზომის მიხედვით) | არსებული მონოპოლიის განცდენა | მონოპოლიის სტრუქტურული რეგულაცია | მონოპოლიის რეგულირების განხორციელება | კონცენტრაციის გამოკვლევის რეგულირება | არსებითი გავლენის რეგულირება |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | - | - | - | - | + |
| ევროკავშირი | - | - | - | + | + |
| დიდი ბრიტანეთი | - | - | + | - | + |
| კანადა | - | - | - | - | + |
| ავსტრალია | - | - | + | -* | + |
| შვედეთი | - | - | - | + | + |
| ახალი ზელანდია | - | - | + | - | + |
| ისრაელი | - | + | + | + | + |
| მალტა | - | - | + | + | + |
| კვიპროსი | - | - | + | + | + |

* მხოლოდ როდესაც მონოპოლია არის ვერტიკალურად ინტეგრირებული

რაც შეეხება საქართველოს, აქ კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს როლისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხებს, აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ანალოგიურად, საფუძველი ჩაეყარა 1992 წლიდან. პირველი საკონკურენციო სამართლებრივი აქტი, რომელიც ქვეყანაში საფუძველს უყრიდა კონკურენციული პოლიტიკის (ანტიმონოპოლიური რეგულირების) რეალიზაციას, მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992 წლის 17 მარტს. დადგენილება (№323) – „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ". [3]

ამდენად, საქართველოს კონკურენციის პოლიტიკა სულ თხუთმეტიოდე წელიწადს ითვლის. მისი ფორმირებისა და პრაქტიკული რეალიზაციის პერიოდი შეიძლება დაიყოს შემდეგ ოთხ ეტაპად: [3, გვ.131]

**პირველი ეტაპი** (1992 წელი – 1996 წლის პირველი ნახევარი). ეს პერიოდი ემთხვევა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ძირეული რეფორმირების საწყის ფაზას, როდესაც ქვეყანაში დაიწყო გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლის პროცესი.

**მეორე ეტაპი** (1996 წლის მეორე ნახევარი – 2002წლის წლის პირველი ნახევარი). ამ პერიოდიდან იწყება ქვეყანაში სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო სამართლის სხვა კანონების კოდიფიცირება ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან.

**მესამე ეტაპი** (2002 წლის მეორე ნახევარი – 2004წლის წლის ოქტომბერი). ეს პერიოდი იწყება „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით (13.09.02წ.)

**მეოთხე ეტაპი** (იწყება 2004 წლის დეკემბერიდან და გრძელდება დღემდე) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ანტიმონოპოლიურ მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენდა 2005 წელს შექმნილი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო" [3, გვ.239]

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესი, კეთილსინდისიერი კონკურენციის სამართლებრივი ნორმების მოწესრიგება ქვეყნის უპირველეს პრიორიტეტად უნდა იყოს აღიარებული [2, გვ.7] აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს სრულყოფილი საკონკურენციო სამართლებრივი ბაზა შესაბამის ინსტიტუტთან ერთად, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან. ამ მხრივ წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 2011 წლის 1 სექტემბრიდან ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს ახალ პროექტს: "ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში". პროექტის მიზანია ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ანტიმონოპოლიური რეგულირების გაუმჯობესებისა და საუკეთესო გამოცდილების ადაპტირების გზით. [8]

ამდენად, საქართველოსათვის, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ანტიმონოპოლიური სამართლის ისეთი მექანიზმების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ქვეყანაში კონკურენციული გარემოს ფორმირებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი - "კონკურენციის პოლიტიკა და ბაზრის რეგულირების პრაქტიკა"; Ftiedrich Ebert Stiftung; თბილისი, 2012
2. უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, საშობაო ეპისტოლე, ქრისტეს შობა; ჟურნალი „ახალი ეკონომისტი" №3-4, თბილისი; თებერვალი; 2007
3. ფეტელავა ს. "კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში"; "ლეო", თბილისი, 2007
4. M.S. Gal, Competition Policy for Small Market Economy, Harward University Press, UK , 2003
5. Òîòûâå Ê. Þ. êîíêóðåíöèÿ è ìîíîïîëèè , 1996
6. http://referati.ge/detail.php?id=32
7. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000330/s.Fetelavas%20disertacia.pdf
8. http://www.cepr.ge/ka/news/121-antimonopoly-regulation-within-a-georgian-context.html

# უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მარიამ მატიაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი მოვლენაა, რაც იმით აიხსნება, რომ დინამიურ საზოგადოებას ესაჭიროება სიერცე შრომის ბაზარზე. ასეთ სივრცეს, ეკონომისტები სამუშაო ძალის სიჭარბეს მიიჩნევენ და მიუთითებენ, რომ მისი გარკვეული დონით არსებობა სრულიად დასაშვებია სრული დასაქმების პირობებში. უმუშევრობა გლობალური ხასიათის პრობლემაა და აქტუალური თემაა საქართველოშიც. უმუშევრობა და დასაქმებიდან მიღებული მცირე შემოსავლები ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორებია. თანამედროვე საქართველოსათვის სიღარიბე ყველაზე დიდი სოციალური რისკი და მწვავე პრობლემაა.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პირობებში სულ უფრო მეტად პრობლემატური ხდება უმუშევრობის ზრდა, დასაქმების სტრუქტურული და რეგიონული დისპროპორციების გაღრმავება, კვალიფიციური სამუშაო ძალის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადინება, მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება. უმუშევრობის უარყოფითი შედეგი გამოიხატება წარმოების მასშტაბების შემცირებით, უმუშევრობის ფაქტობრივი დონის ერთი პროცენტით მატება იწვევს მშპ-ის 2.5%-ით შემცირებას. უმუშევრობის პირობებში თავს იჩენს ეკონომიკური არასტაბილურობის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ერთობლივი მოთხოვნის, დანაზოგების და ინვესტიციებზე მოთხოვნის შემცირება, ერთობლივი მიწოდების კლება. წარმოების დაცემა და სხვა. ასევე ქვეყანა კარგავს შემოსავალს, გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების გამო. განვითარებულ ქვეყნებში ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს. უმუშევრობის შედეგების ანალიზისას არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სოციალური შედეგები. უმუშევრობა საზოგადოებაში კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. სტატისტიკური მონაცემებით ნარკომანების, სხვადასხვა სახის კანონდარღვევების შემთხვევები, უმეტესად, სწორედ დაუსაქმებელ მოსახლეობაზე მოდის.

სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა საქართველოში უკვე ორი ათეული წელია რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევების მიხედვით ეს პრობლემა მუდამ შედიოდა საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხთა სამეულში. NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემად, ჩვენი მოქალაქეების 61%-ს დასაქმება, 39%-ს – ფასების ზრდა, 36%-ს – სიღარიბე მიაჩნია. [4]

ყოველი პოსტსაბჭოთა ქვეყნისა და, მათ შორის, საქართველოსთვის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა სამუშაო ძალის ცენტრალიზებული განაწილების სისტემის გაუქმება და მისი შეცვლა სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილებით, უმუშევართა დახმარების ეფექტიანი სისტემის ფორმირება და დასაქმების აქტიური პოლიტიკის ღონისძიებების გატარება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლადფორმირებული ქვეყნის ეკონომიკა, ფაქტობრივად პარალიზებული აღმოჩნდა, რადგან იგი პარტნიორებისა და გასაღების ბაზრების გარეშე დარჩა. ჩვენი წარსული მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აწმყოს და შესაძლებელია განვიხილოთ მნიშვნელოვან არგუმენტად – თუ რატომ გვაქვს შედარებით მაღალი უმუშევრობა. მის განმაპირობებელ მთავარ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ, საბჭოთა დახურული სივრცე, სადაც არსებობდა პერსონალის ჭარბი დასაქმება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ კი დასაქმებულთა დიდი ნაწილი უმუშევარი დატოვა.

საქსტატის მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევრობა 2010 წელს 16.3%-ს შეადგენდა. სხვადასხვა კვლევების, მათ შორის NDI-ის და IRI-ის მიერ ორგანიზებული კვლევების მონაცემებით კი დაახლოებით ორჯერ მეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა




დიაგრამა№ 1

ამ განსხვავების მიზეზი აღრიცხვის მეთოდიკაა. თვითდასაქმებულებად, ითვლებიან პირები, რომლებიც საკვლევი კვირის განმავლობაში თუნდაც ერთი საათის განმავლობაში უსასყიდლოდ მუშაობდნენ საოჯახო მეურნეობაში.

უმუშევრობა თვითდასაქმებითაა შენიღბული, ხოლო თვითდასაქმებული ადამიანების რიცხვი იზრდება, დაქირავებულების კი მცირდება. ამის მიზეზი არასრულფასოვანი განათლებაა, ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც ფასეულობების გადასინჯვის შედეგად საბჭოთა განათლების მქონე სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები "არასათანადო" აღმოჩნდა. კი უმუშევრობის პრობლემა შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ჩვენი შრომითი რესურსები არაკონკურენტუნარიანია.

საქართველოში მოსახლეობის ლტოლვა ზოგადად განათლებისა და, კერძოდ, უმაღლესი განათლებისაკენ ტრადიციულად მაღალია და, რიგ შემთხვევებში რაციონალურობის საზღვრებსაც სცილდება. თუმცა მოსახლეობის ლტოლვას უმაღლესი სასწავლებლებისაკენ საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ საქართველოში საზოგადოება კვლავ რჩება სოციალურ სტატუსზე ორიენტირებულად. შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სკოლა, ფაქტობრივად, 'დიპლომიან უმუშევრებს" ამზადებდა. სტუდენტების 2/3 დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფორმით მზადდებოდა, შედეგად მივიღეთ განათლების ფალსიფიკაცია. საშუალო პროფესიული განათლება საქართველოში ძლიერ ჩამორჩა, არაპრესტიჟულია და გადაფარულია უმაღლესი განათლებით. 2010 წლის მონაცემებით, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და წვლილი ვერ შეაქვს მას ქვეყნის ეკონომიკაში.




დიაგრამა№ 2

უმუშევრობის დონემ 2004-2010 წლებში 4,3 %-ით მოიმატა. ამავე დროს, უმუშევრობის დონის მატება ძირითადად 2008 და 2010 წლებში მოხდა. ამის მიზეზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და 2008 წლის აგვისტოს ომი იყო. ამის გამო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მაჩვენებელი თუ 2004-2007 წლებში მაღალი იყო, 2008 წლიდან აღნიშნულმა მაჩვენებელმა რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი კლება განიცადა. ინვესტიციების შემცირება კი ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველოა, სადაც ეროვნული დანაზოგი თითქმის არ არსებობს კაპიტალდაბანდებათა განსახორციელებლად,

მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს იწვევს. უნდა ითქვას, რომ ინვესტიციების შემოდინება პირდაპირ კავშირშია უმუშევრობასთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო ერთ სტაბილურ სამუშაო ადგილის შექმნაზე მინიმუმ 8772 ლარს ხარჯავს, ადვილად წარმოვიდგენთ უმუშევრობის პრობლემის მოგვარების სირთულეს.

უმუშევრობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, როგორც წესი მისი დონე ახალგაზრდებში მნიშვნელოვნად მაღალია, თუმცა, საქართველოს [illegible] სპეციფიკა აქვს: 2003 წლის შემდეგ, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდების მასობრივმა მოსვლამ გააჩინა ერთგვარი ეიჯიზმის სინდრომი – მკაფიოდ გამოხატული დისკრიმინაციული დამოკიდებულება საშუალო და უფროსი ასაკობრივი ჯგუფების მიმართ. ეს კარგად ჩანს დაქირავებით დასაქმებულთა ასაკობრივ დინამიკაში.




**დიაგრამა№ 3**

დღეს, როდესაც უმუშევრობა პიკს აღწევს, როდესაც ქვეყანას ჭირდება უფრო მეტი წარმოებული პროდუქტი და მომსახურება, როდესაც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა საერთო ეროვნულ ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს – განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება. მცირე ბიზნესი ადამიანების დასაქმების საუკეთესო საშუალებაა.

მცირე ბიზნესის წახალისებლად საჭიროა, ყველასათვის ხელმისაწვდომი სესხების სახელმწიფო პროგრამების არსებობა. მცირე და საშუალო საწარმოებს უნდა შეეძლოს დაბალპროცენტიანი სესხის მიღება. მცირე ბიზნესისათვის, (თუნდაც საბანკო სექტორში) საპროცენტო განაკვეთები, რომლთაც პატარა მოცულობის სესხი ესაჭიროებათ უფრო ძვირია, ვიდრე მსხვილი სესხი. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, პროდუქტის წარმოებაზე გაწეული ხარჯები მათთვის უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილი კომპანიისათვის რაც აძნელებს კონკურენტულ ბაზარზე პოზიციის შენარჩუნებას. დღეს უამრავი მცირე მეწარმე ადვილად კოტრდება და კონკურენციას ვერ უწევს მსხვილ ბიზნესს ფინანსური, ტექნიკური თუ კვალიფიციური ადამიანური რესურსის დეფიციტის გამო. ეკონომისტები თანხმდებიან, რომ სამი მთავარი საკითხი ჭრის ბიზნესის განვითარების ამოცანას: მცირე მეწარმეობის წახალისება, სწავლება და დახმარება გაყიდვაში. თუ ხელისუფლება შეიმუშავებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ერთიან პროგრამას და ამ სამ კომპონენტზე ააგებს, მას შეუძლია უკვე 3-5 წელიწადში მიიღოს 200 000-მდე მცირე საწარმო, რომლებიც ერთობლივი პროდუქტის მინიმუმ 25-30%-ს შექმნის. ეი სახელმწიფომ ბიზნესის კეთების მარტივი გარემო და პირობები უნდა შექმნას, რომ ადამიანებმა საკუთარ შემოსავალზე დამოუკიდებლად იზრუნონ და გაზრდილი მაჩვენებლები მხოლოდ გაუმჯობესებულ სტატისტიკურ მონაცემებად არ დარჩეს.

აღსანიშნავია, რომ პირველად, 2007 წლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის, სფეროში მშპ-ს რეალურმა ზრდამ 4,9% შეადგინა. მიუხედავად აღნიშნული ზრდის ტენდენციისა ქვეყანაში კვლავ მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. ამიტომაც არის, რომ საქართველოს რეიტინგები საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებლით საკმაოდ ჩამორჩება სომხეთსა და აზერბაიჯანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




დიაგრამა№ 4

როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მშპ-ში საკმაოდ მცირეა, მაშინ როდესაც მოსახლეობის 53% სოფლად ცხოვრობს, ხოლო საქსტატის მონაცემებით სოფლის მეურნეობაში 48% დასაქმებულია. მოსახლეობის 35%-ის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც ქვეყანაში უნდა გატარდეს – სოფლის მეურნეობის რეფორმაა.

უმუშევრობის დაძლევის ერთ-ერთი გზა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდაა. ამ მიზანს ემსახურება ახალი ჯიშების შემოტანა, მექანიზაციის და ირიგაციის პროგრამები და სხვა. რეალურად, ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის დაბალი დონის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი მცირემიწიანობაა. დღევანდელი მდგომარეობით, სოფლად მცხოვრებ ერთ ოჯახზე საშუალოდ 1 ჰექტარი მიწა მოდის. ასეთ მცირე ფართობზე მიღებული მოსავლის თვითღირებულება ბევრად უფრო მაღალია და კონკურენციას ვერ უძლებს არა მხოლოდ საგარეო, არამედ შიდა ბაზარზეც.

საქართველოს არ აქვს საშუალება კონკურენცია გაუწიოს, მაგ: უკრაინას ხორბლის ან სიმინდის წარმოებაში, პოლონეთს – ვაშლის წარმოებაში და ა.შ. რადგან ამ ქვეყნებს დიდი მასშტაბები აძლევს საშუალებას, პროდუქტის თვითღირებულება მინიმუმამდე დაიყვანონ. თუმცა, საქართველოს, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქტის მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი. ბიოპროდუქტის წარმოება თანამედროვე გამოწვევაა, მოთხოვნა ასეთ პროდუქტზე მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად იზრდება. განსაკუთრებით აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა გაცილებით მაღალია, ბიოპროდუქცია კი მაღალი თვითღირებულებით და მაღალი [illegible] ფასით გამოირჩევა. ექსპერტების აზრით, მცირე ქვეყნებს, ასევე საქართველოს განსაკუთრებული შესაძლებლობა აქვთ ბიომეურნეობების განვითარებისა და კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავებისა.

საგანგაშოა, ასევე, მიგრაციის პრობლემა, რომლის ძირითადი მიზეზი ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური არასტაბილურობა იყო. რაც ხელს უწყობს უმუშევართა რაოდენობის ზრდას და იწვევს შრომით მიგრაციას. მიგრაციის გააქტიურების ფონზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი ამ პროცესში, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარეობს „ტვინების გადინება". უკანასკნელი მონაცემებით ქვეყნიდან გასულია მოსახლეობის 20%. ადამიანური კაპიტალის მასობრივმა გადინებამ, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა სავალალო სოციალურ-ეკონომიკური შედეგი მოგვიტანოს. მცირე პერიოდში საქართველოს მოქალაქეები თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის შრომის ბაზარზე გამოჩნდნენ და იქ იღებენ მონაწილეობას ეროვნული სიმდიდრის შექმნაში.

თანამედროვე მსოფლიოში დასაქმების სფეროში მდგომარეობის დასარეგულირებლად სახელმწიფოები გარკვეულ პოლიტიკას ატარებენ, რომლის მიზანია ისეთი საკითხების მოგვარება, როგორებიცაა: ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მონაცემთა ბაზის შექმნა; პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამების განხორციელება და სხვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ხელისუფლების მიერ 2008 წელს ინიცირებული დასაქმების პროგრამა. დასაქმების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის გადამზადების ისეთი მექანიზმი, რომელიც მათ გრძელვადიანი დასაქმების საშუალებას მისცემს. აუცილებელია სწორად შეირჩეს სპეციალობები, რათა კურსდამთავრებულები ფლობდნენ შრომის ბაზრის

მოთხოვნის ადეკვატურ უნარ-ჩვევებს. მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. შრომის ეკონომიკა, თსუ-ს შრომის ეკონომიკის კათედრა, თბ. 2009.
2. მაკროეკონომიკა, ლექციების კურსი,თბ. 2011.
3. www.geostat.ge
4. www.ndi.org
5. www.economy.ge

# საგადასახადო ტვირთის სიმძიმე





ნათია გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

მელანო ხირბილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

საგადასახადო სისტემა ხასიათდება ეკონომიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ეკონომიკურ მაჩვენებლებს პირველ რიგში მიეკუთვნება საგადასახადო ტვირთი(სიმძიმე). ეს არის განზოგადებული მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ გადასახადების როლს საზოგადოების ცხოვრებაში და განისაზღვრება, როგორც საგადასახადო შემოსავლების საერთო ჯამის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

რაოდენობრივი კუთხით გადასახადების გავლენა ინვესტიციებზე ფასდება ზღვრული კორპორაციული საგადასახადო განაკვეთით METR და საშუალო კორპორაციული ეფექტური საგადასახადო განაკვეთი AETR. ეს მაჩვენებლები გამოიყენება ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შესაფასებლად-კაპიტალური აქტივებისა (მანქანათმშენებლობა და სატრანსპორტო საშუალებები, მშენებლობა, სამრეწველო ფართი, არამატერიალური აქტივები, ფინანსების (ვალი, გამოუმუშავებელი უკუგება, ახალი აქტივები)) და ინვესტორის სახეების (რეზიდენტი, არარეზიდენტი) მიხედვით.

მოდელიზებული საგადასახადო შემოსავლების გამოყენების ნაცვლად კორპორაციული ზღვრული და საშუალო ეფექტური განაკვეთების გამოთვლა შესაძლებელია თვით საკანონმდებლო მუხლების განაკვეთების მიხედვით.

ასევე, შესაძლებელია ამ მაჩვენებლების გამოთვლა საგადასახადო ორგანოების გამოყენებით. ამ შემთხვევაში შერჩეულ უნდა იქნეს კორპორაციების რეპრეზენტატიული ოდენობა და შეფასდეს მონაცემები დასაბეგრი მოგების, დაუბეგრავი მოგების, ეკონომიკის სექტორების და რეგიონების მიხედვით. მიკრო მონაცემებზე დაფუძნებული კვლევა უზრუნველყოფს ოპტიმალურ ბაზას საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისათვის სექტორებისა და დროის მიხედვით.

საგადასახადო ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია გადასახადების ადმინისტრირების ხარჯები. ხშირად საგადასახადო ტვირთი ფასდება მხოლოდ პირდაპირი საგადასახადო ეფექტებით, ე.ი. ის, რაც ასახულია კანონმდებლობაში, მაგრამ უგულებელყოფილია ფაქტორთა რიგში ნაგრძნობი ადმინისტრირების ხარჯებიც.

საგადასახადო სისტემის სირთულეს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტორებზე. ამ ხარჯების განხილვისას მნიშვნელოვანია დადგინდეს სირთულის წყაროები დაკავშირებული-საგადასახადო პოლიტიკასთან, მექანიზმთან და ადმინისტრირებასთან. საერთო ანალიზის შემდეგ უნდა მოხდეს შეფასება, რამდენად შესაძლებელია ამგვარი სირთულეების აცილება სხვა, კონკურენტ ქვეყანაში.

განხილვის არის ასევე, ამორტიზაციის სისტემა, თუ ბიზნესის მხრიდან იგი ხასიათდება, როგორც რთული, საჭიროა სერიოზული მსჯელობა მის გამარტივებაზე. ამასთან დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკის საკითხია, თუ რამდენად შეესაბამება ამორტიზაციის განაკვეთები ეკონომიკურ პროცესებს და ითვალისწინებს ინფლაციას.

ადმინისტრირების ხარჯების მნიშვნელოვანი ასპექტია გამჭვირვალობა. ამ საკითხის განხილვისას,

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

უნდა აღვნიშნოთ, რომ შედარებით მარტივი სისტემაც კი შეიძლება განიცდიდეს გამჭვირვალობის ნაკლებობას. მას აქვს მნიშვნელოვანი წვლილი საინვესტიციო პროექტების ხარჯზე; ეს ასევე, დაკავშირებულია სამართლიანობის საკითხთან, რამაც შეიძლება გააჩინოს ეჭვი, რომ საგადასახადო სისტემა გამიზნულია ცალკეული ფენის ინტერესების დასაცავად, იმათი ჩათვლით, ვინ იღებს მაღალ შემოსავლებს, ხელი მიუწვდება პროფესიონალურ საგადასახადო კონსტიტუციაზე და შესაძლებელია სარგებლობდნენ სპეციალური საგადასახადო მიდგომით. საგადასახადო სისტემის უსამართლობის განცდა ბიზნესს უბიძგებს გადავიდეს „ჩრდილოვან ეკონომიკაში", შეამციროს საგადასახადო შემოსავლები და საერთოდ შეასუსტოს მთავრობის საქმიანობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საგადასახადო კოდექსის მუხლების სიცხადე და სიმარტივე. გადასახადის გადამხდენისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს : ანგარიშგების მონაცემები, განმარტებითი დოკუმენტები, საინფორმაციო ცირკულარები; გადასახადის სუბიექტებს უნდა მიეწოდებოდეთ საგადასახადო ორგანოების დასაბუთებული გადაწყვეტილებები იმ შემთხვევებისათვის, როდესაც საგადასახადო სარგო სადავოა.

საგადასახადო შემოსავლის წილი მშპ-ში (%) საქართველოში

| 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.3 | 7.2 | 7.9 | 7.7 | 7.4 | 7.6 | 7.0 | 9.9 | 12.1 |




1997-დან 2005 წლამდე საქართველოში საგადასახადო ტვირთის სიმძიმე მშპ-სთან მიმართებით საკმაოდ დაბალ მაჩვენებლებს აღწევდა. მაჩვენებელი მოძრაობდა 7–12 % ინტერვალში. ერთი შეხედვით, დაბალი საგადასახადო ტვირთი ან ეფექტურ საგადასახადო სისტემაზე მიუთითებს, ან გადასახადების სიდიდესთან შედარებით მშპ-ს სწრაფ ზრდაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იმ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ამით დასკვნის გაკეთება არ იქნება სწორი. ეს შედეგი შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო თვითონ საგადასახადო სისტემის არასწორი ფუნქციონირებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ 90-იან წლებში ქვეყანაში გადასახადების თაყვან აცილების მრავალი მექანიზმი მოქმედებდა. თუმცა საგადასახადო ტვირთის სიმძიმის მაჩვენებელი 2005 წლიდან დიდ ნახტომს აკეთებს და შემდგომ წლებშიც იგივე მაჩვენებელს ინარჩუნებს. ეს შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო არსებული სისტემის რეფორმირებით, რაც მოიცავდა გადასახადების რაოდენობრივ შემცირებას, რაც მიღწეულ იქნა კატეგორიების გაერთიანების ხარჯზე. ასევე რეფორმის პერიოდში მიმდინარე ცვლილებებით, სწრაფად ზრდა სამეწარმეო სექტორის საგადასახადო ბაზის ზრდას იწვევს, ეს დადებითი მომენტია, მაგრამ მეორე მხარეს დგას ეფექტური საგადასახადო სისტემის არსებობა. რეფორმის შედეგად უნდა მიგვეღო ეფექტური სისტემა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან შესაბამისობაში იქნებოდა. მაგრამ დღესდღეობით მშპ-ს სიდიდესთან შეფარდებით საგადასახადო ტვირთი მაღალია და მოსახლეობის კეთილდღეობაზე არასასურველად ზემოქმედებს.

საგადასახადო შემოსავლის წილი მშპ-ში (%) რეგიონში

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 15.4 | 17.7 | 23.8 | 23.1 | 22.1 |
| სომხეთი | 14.4 | 16.0 | 17.3 | 16.5 | 16.9 |
| აზერბაიჯანი | | | 15.9 | | |
| რუსეთი | 16.6 | 16.6 | 15.8 | 13.0 | 13.4 |
| თურქეთი | 19.7 | 18.7 | 18.6 | 18.9 | 20.5 |



უნდა აღინიშნოს რომ მნიშვნელოვანია საგადასახადო ტვირთის სიმძიმე განხილულ იქნეს ქვეყნების ერთმანეთთან შედარებით საფუძველზე. თუ შევხედავთ საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს, დავინახავთ რომ 2006 წელს ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვს თურქეთს. შემდეგ მისმა დონემ მცირედ დაიწია, მაგრამ მაინც ყველაზე მაღალია. ასევე საქართველოს მაჩვენებელი შედარებით დიდია 2008 წელსა და შემდგომ პერიოდებში.

ეს შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო ქვეყანაში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო. დიდმა სახელმწიფო ხარჯებმა, დეფიციტში ჩააგდო ბიუჯეტი, რისი დაბალანსებაც საგადასახადო შემოსავლებით უნდა მომხდარიყო და მაჩვენებელიც ამას ამტკიცებს. ამით შეიძლება აიხსნას რეგიონში საგადასახადო ტვირთის სიმძიმის მხრივ ყველაზე ცუდი მაჩვენებელი, რადგან დანარჩენი 3 ქვეყანა როგორც ტერიტორიული, ასევე მოსახლეობის რაოდენობით წინ გვისწრებს. რუსეთთან და თურქეთთან მიმართებაში მათი მაღალი ეკონომიკური მდგომარეობაც იკვეთება, რაც ასევე ჩვენი ქვეყნის საგადასახადო ტვირთის არაოპტიმალურობას უსვამს ხაზს.

მეორე განმსაზღვრელი საქართველოს ეკონომიკური კურსია, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის არათანმიმდევრული ზრდა. სამეწარმეო გარემო სწრაფად ვითარდება, წესდება შეღავათები, მაგრამ ფიზიკური პირების შემოსავალი ასევე პროპორციულად არ იზრდება, რაც საგადასახადო შემოსავლის ზრდას განაპირობებს უფრო მეტად, ვიდრე მთლიანი შემოსავლების.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ნ.ზარნაძე; დ. ნარმანია, საზოგადოებრივი ადმინისტრირება, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი 2009.

2. ი.ქეჯიბაძე –სახელმწიფო მართვისა და თვითმმართველობის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები.

3. ბ. კვირკველია, საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები და ხარვეზები. ჟურ. „გადასახადები და აღრიცხვა" №11, 2009, გვ.7-10.

4. გ. ყუფარაძე, რესურსების გამოყენების ეფექტიანობასა და მოცულობაზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასება. ჟურ. „ეკონომისტი" №1, 2011. გვ.8-29.

5. http: www.mof.ge

6. www.worldbank.org

7. http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/110/id/89/print/

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური სტრატეგია

ნინო ბიწაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი

როდის დამთავრდება გარდამავალი პერიოდი...

ეკონომიკური განვითარების თეორია გვასწავლის, რომ რაც უფრო სწორად განისაზღვრება მოცემული ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგია და სამეურნეო განვითარების პრიორიტეტები, მით უფრო სწრაფად და ეფექტურად დამთავრდება ეს გარდამავალი პერიოდი. ბალტიისპირეთის და პოლონეთის მაგალითები სწორად იმას გვიჩვენებენ, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის ასეთ სტრატეგიას და პრიორიტეტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერ-ეკონომისტებმა შეძლონ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა შეიმუშაონ ჩვენი ქვეყნის გარდამავალ პერიოდში.

ამ მხრივ, ჩემზე როგორც ახალგაზრდა ეკონომისტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბატონ ნოდარ ჭითანავას ახლახანს გამოცემულმა ვრცელმა მონოგრაფიამ – „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები". უფრო ადრე მე გავეცანი ამავე პრობლემაზე ავტორის წიგნს – „მერყეული, მრავალწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა" და უკვე მაშინ გამიჩნდა სურვილი ჩემი ეკონომიკური განათლება წამეყვანა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური სტრატეგიის პრობლემების შესწავლისა და დამუშავების მიმართულებით. ეს განსაკუთრებით ეხება რეგიონალურ ეკონომიკათა განვითარების პრობლემას. მე როგორც დასავლეთ საქართველოს და კერძოდ კი, იმერეთის წარმომადგენელს, განსაკუთრებით მაინტერესებს ამ რეგიონის სამრეწველო და აგრარული განვითარების სტრატეგიულ მიმართულებათა განსაზღვრა.

როგორც ბატონი ნოდარ ჭითანავა აღნიშნავს, რეგიონალურ ეკონომიკათა განვითარების გარეშე ვერც ეროვნული ეკონომიკა განვითარდება, რადგან ნებისმიერი ქვეყანა და მათ შორის საქართველოც ცალკეული რეგიონების კონგლომერატს წარმოადგენს. ასეთი გააზრებით საქართველოს მთისა და ბარის უკლებლივ ყველა რეგიონი ისტორიული თვალსაზრისით, უპირატესად აგრარული წარმოებით ხასიათდება. საქართველოს „გეორგიკა" სწორედ ამიტომ ეწოდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე. ამიტომ უწოდებდა ილია ჭავჭავაძე ჩვენს ქვეყანას „მიწისა და გუთნის საქართველოს"...

ყველაფერი ეს გათვალისწინებული უნდა იქნას გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში. ამიტომ სასურველია, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდეს სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი აღნიშნული პრობლემისადმი. პირადად მე სურვილი მაქვს მივიღო მონაწილეობა ამ კონფერენციაში და წარმოვადგინო ჩემი შეხედულებები გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური სტრატეგიის სხვადასხვა საკითხებისადმი. კერძოდ, გადაწყვეტილი მაქვს, რომ ჩემი სამაგისტრო შრომა მივუძღვნა იმერეთის რეგიონალური ეკონომიკის ფორმირებას და მის შემდგომ განვითარებას. მიმაჩნია, რომ გარდამავალი პერიოდიც მხოლოდ მაშინ დამთავრდება წარმატებით, როცა საქართველოში ფუნქციონირებას დაიწყებს მისი თვითეული მხარის რეგიონალური ეკონომიკა, როგორც ეროვნული ეკონომიკის შემადგენელი ორგანული ნაწილი.

იმერეთის რეგიონალური ეკონომიკა ისტორიულად ყოველთვის წარმოადგენდა თავისებურ შემაკავშირებელ რგოლს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. როცა აკაკი წერეთელმა „შავი ქვის" საბადოების ათვისების საკითხი დააყენა, იგი მას მჭიდროდ უკავშირებდა მთელ დასავლეთ საქართველოს და საერთოდ, მთლიანად ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. ამიტომ იყო, რომ ნიკო ნიკოლაძემ მარგანეცისა და ქვანახშირის საზღვარგარეთ გატანის მიზნით საფუძველი ჩაუყარა ფოთის

პორტს, რომელიც დღეს ხელმეორე სიცოცხლეს განიცდის. ამავე მიზნით იყოს ჩაფიქრებული ინიციატივით ქუთაისში დაარსდა ბანკიც..

ცალკე უნდა აღინიშნოს ქუთაისის ადგილი და როლი რეგიონალური და ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ეს მით უმეტეს ისეთ პირობებში, როცა განზრახულია მისი „მეორე დედაქალაქად" გადაქცევა და იქ უკვე ახალი პარლამენტის ადგილსამყოფელად არის შერჩეული. ყველაფერი ეს ფორმალურად რომ არ დარჩეს, ჩემი აზრით მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად მის პოლიტიკურ, არამედ სოციალურ–ეკონომიკურ დატვირთვას. კერძოდ, მე აქ მხედველობაში მაქვს ქუთაისის, როგორც „საქართველოს ინდუსტრიული ქალაქის" აღორძინება და შემდგომი ზრდა–განვითარება.

მაგრამ ვფიქრობ, ეს არ უნდა მოხდეს ისე, როგორც ეს საბჭოთა წყობილების პირობებში განხორციელდა. მაშინ ყველაფერი ე.წ. „ცენტრალური პრინციპით" ხორციელდებოდა მოსკოვიდან საკავშირო ხელისუფლების მითითებით და არ ითვალისწინებდნენ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის ნაცვლად საჭიროა ქუთაისის სამრეწველო განვითარებისთვის ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც გაითვალისწინებს ჩვენს ეროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს. ამ ზოგადი წინამძღვრებიდან გამომდინარე ვფიქრობ ყველაზე მისაღები უნდა გახდეს შემდეგი დარგების განვითარება:

1. იმერეთის და მასთან ერთად, მთელი საქართველოს მთაგორიანი ქვეყანაა და აუცილებელია სამთო მექანიზაციის წარმოების განვითარება. არ შეიძლება ისეთ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის 80% მთისა და მთისპირა მიწებს შეადგენს, არ იყოს მცირე გაბარიტების მწარმოებელი სახნავ-სათესი თუ სათიბ-სამკალი მანქანა-ტრაქტორების ქარხნები. XXI საუკუნეში ისევ ძველი, ხელით შრომაზე დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყენება ანომალიად და ქვეყნის ჩამორჩენილობად უნდა ჩაითვალოს. ძლიერი და განვითარებული საქართველო სხვანაირად წარმოუდგენელია. ახალმა პარლამენტმა და ახალმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მიმართულებით წარმართოს. ეს ხელს შეუწყობს აგრარული წარმოების განვითარებას როგორც ბარში, ისე მთაში.

2. მთელ მსოფლიოში დღეს ნომერ პირველ პრობლემად ითვლება უნიტრატო ეკოლოგიურად სასურსათო პროდუქციის წარმოება ახალი ტექნოლოგიების მქონე სასურსათო ინდუსტრიის განვითარებით. ამ მხრივ იმერეთის რეგიონალურ ეკონომიკას გააჩნია უდიდესი პოტენციალი როგორც ბარის, ისე მთის ზონაში. მთავარია რომ ეს პოტენციალი პრაქტიკულად იქნას ათვისებული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებით როგორც ქუთაისში, ასევე რეგიონის სხვა ქალაქებში. ძველი საკონსერვო ქარხნების ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

3. ცალკე გვინდა აღვნიშნოთ მეაბრეშუმეობის განვითარება. ამის მდიდარი ტრადიციები და ბუნებრივ–კლიმატური პირობები არსებობს იმერეთში. არსებობდა რამოდენიმე აბრეშუმის ქარხანაც ქუთაისში, ხონსა და სამტრედიაში, რომელთა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა და აბრეშუმის წარმოების განახლება ასობით და ათასობით ოჯახს მისცემს სტაბილურ შემოსავალს.

4. ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით დიდ პოტენციალს შეიცავს ლეღვის და ხილ-კენკროვანი წვენეულების დამზადება-გადამუშავება რეგიონის მოსახლეობაში. ასობით ტონა ხილი და ციტრუსი რჩება გადაუმუშავებელი, რაც ყოვლად გაუმართლებელია. ამ მხრივ დიდი ეკონომიკური ეფექტი შეიძლება მოვიცეს ცალკეულ სასოფლო დასახლებებში ე.წ. „მინი საწარმოების" მშენებლობამ, რაც ახალ სტიმულს მისცემს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასაც.

5. დიდ პოტენციალს შეიცავს სოფლის, სამონადირეო და ე.წ. „ეკო-ტურიზმის" განვითარებაც. ეს განსაკუთრებით იმერეთის მთიან ადგილებზე ითქმის, რომლებიც დღეს ფაქტიურად მოსახლეობისგან დაცლილია, ეს ხელს შეუწყობს ეკოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრასაც.

დასასრულს, კიდევ გვინდა გავიმეოროთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია გარდამავალი პერიოდის აღნიშნულ და სხვა მსგავს პრობლემებზე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მომზადება და ჩატარება. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს ამ პრობლემების უფრო ნათლად გამოკვეთას და მათი გადაჭრისათვის აუცილებელი გზებისა და საშუალებების მოძიებას. რაც უფრო მალე და ეფექტურად მოხდება ეს, მით უფრო მალე დამთავრდება ასე გაჭიანურებული გარდამავალი პერიოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ხმა ღაღადებლისა უდაბნოსა შინა..."

## გამოხმაურება პროფესორ ნოდარ ჭითანავას შრომებზე



იშვიათად ვნახავთ დღევანდელ საქართველოში ქვეყნის საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე მომუშავე ავტორთაგან ისეთ პროდუქტიულ მეცნიერს, როგორიც პროფესორი ნოდარ ჭითანავაა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, იგი სისტემატიურად აქვეყნებს მონოგრაფიებს, წერილებს, სტატიებს გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივი მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე. ნათქვამია, – კარგ მოქმედს კარგი გამგონე უნდაო, და სამწუხაროდ მის თეორიულ დასკვნებს და რეკომენდაციებს დღემდე ასეთი გამგონე არ გამოსჩენია...

აქ მე მინდა მრავალრიცხოვან პრობლემათაგან შევჩერდე მის ერთ იდეაზე, რასაც თვითონ ასეთი დეფინიციით გამოხატავს: **„შერეული, მრავალწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა"**. ამ სათაურით მან სპეციალური მონოგრაფიაც გამოსცა, სადაც ყოველმხრივ არის დასაბუთებული მისი არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც. მე სწორედ ამ კუთხით მინდა შევეხო მას, რამდენადაც ამ მოახლოებული საპარლამენტო და შემდეგ კი, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თვითონ ავტორმაც თავის შრომების ასეთ პოლიტიკურ გააზრებას ცალკე მონოგრაფიაც უძღვნა მეტად სიმბოლური სახელდებით: **„ვაშინერს, ბატონებო, საქართველოს დაშლა!"**.

წინათქმაში ავტორი წერს: "„ვაშინერს" ფართოდ გავრცელებული სიტყვაა კოლხეთში... მოქმედების მიზანშეუწონლობის გამომხატველი პროტესტული ფორმაა. იგი საერთოდ, ტაბუდადებულს ნიშნავს. ამ ცნებაში მარტო მხოლოდ ერთიანი საქართველოს აუცილებლობის იდეას (მიზანს) არ ვგულისხმობ. ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებაც იგულისხმება. შეიძლება ქვეყანა ერთიანი იყოს, მაგრამ ეკონომიკურად უძლური, რაც მისი დაშლის უმთავრესი, ყველაზე საშიში ფაქტორი შეიძლება გახდეს".

როგორც ავტორი შემდეგ წერს, „... ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა სწორად არ მიმაჩნია, ამიტომ მის რეალიზაციაში ვხედავდი (ვხედავ) ქვეყნის დაშლის ერთ–ერთ მთავარ საფრთხეს". მაშ, ასე, მივადექით მთავარ საქმეს – ქვეყნის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და შემდგომ კი, მისი რეალიზაციის საკითხს. დღემდე რომ ასეთი პოლიტიკა მცდარი და არასწორია, ეს ცხადია. მაგრამ ესეც საკითხავია – გვაქვს კი საერთოდ, ეკონომიკური პოლიტიკა? ანდა, მეორენაირად მინდა დავსვა კითხვა – გვესმის კი, რა არის ეკონომიკური პოლიტიკა და მით უმეტეს კი, მასზე დაფუძნებული „ეროვნული ეკონომიკა"?..

გლობალიზმი, ძველი ინტეგრაციული პროცესების ეს თანამედროვე ფორმა, მარტივად და ყველასათვის გასაგებად რომ ვთქვათ, გვეუბნება – შენ შენს ეროვნულ ეკონომიკას, ეროვნულ კულტურას, ეროვნულ თვითმყოფადობას და საუკუნეებში გამოვლილ ეროვნული ცხოვრების წესს თავი გაანებე, ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყე „ვისი გვარისა ხარ" და ჩვენს წესებს და კანონებს დაემორჩილე, თორემ სიღატაკითა და შიმშილით ამოგხდი სულს, ენასაც წაგართმევ, მამულსაც და სარწმუნოებასაც, ილია ჭავჭავაძისგან ნაანდერძევ ამ თქვენს ე.წ. „სამ საუნჯეს" და ჩვენს ნება-სურვილზე გათამაშებთ ყველას...

გლობალიზმი, ისე როგორც ახალი საუკუნეების ინტეგრაციული პროცესები, ობიექტური პროცესია და გვინდა, არ გვინდა, მას თავიდან ვერ ავიცილებთ. ფული და ძალა მათ ხელშია, ჩვენში არცერთია და არც მეორე. აკი, წერდა ილია გულდაწყვეტილი და თავისებური სარკაზმით მაშინდელი ინტეგრაციული პროცესების შემხედვარე – **„უფულო ერი ფულიანთა საძოვარია, იმათი საცხოვრისია"**. შეხედეთ ჩვენს ქვეყანას, სხვათა და სხვათა „საძოვრად", „საცხოვრისად" და გასაღების ბაზრად გადავიქეცით ერთიანად...

მაშ, რა არის საშველი, თუკი გლობალიზმი ასეთი ყოვლისმძლე და ყოვლის-მშთანთქმელი გველეშაპია? საშველი ერთია – ეროვნული ეკონომიკის შექმნა და განვითარება, ის, რაზეც ბატონი ნოდარი ეს ოცი წელია ღაღადებს –

„შერეული, მრავალწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა". მაგრამ მკითხველი ალბათ კითხავს, გლობალიზმის პირობებში განა შეიძლება ლაპარაკიც კი, რაიმე „ეროვნულ ეკონომიკაზე"?

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვა-დილემას, აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური არსის გაგება და გათავისება – გათანამედროვეობა. სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ", აგრეთვე, სტატიათა ციკლში – „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა" „ილია გაკვირვებით წერს, რომ „ამდენი ომიანობისა და სისხლისღვრების" მიუხედავად, ჩვენი ეროვნული ეკონომიკა იმდენად მყარ საფუძვლებზე იდგა, რომ „საქართველომ ისე ძალია თავისი თვითმყოფადი სული XVIII საუკუნის ბოლოს, არავისი ვალი და ვახში არ დასდებია", ასევე აღტაცებით წერს ძველი „ოქროვანი ხანის საქართველოს" ეროვნულ ეკონომიკაზე ივანე ჯავახიშვილი. დღეს ვინ დაიჯერებს იმას, რომ მაშინდელი ჩვენი ეროვნული შემოსავალი თითქმის ორჯერ აღემატებოდა საფრანგეთისას – 3,7 მილიონი პირობითი ოქროს მანეთის ექვივალენტი საქართველოსი და 2 მილიონი საფრანგეთის. არადა, ამ გაანგარიშებას ბატონი ივანე აკეთებს არა მარტო ქართულ, არამედ უცხოურ წყაროებზე დაყრდნობითაც.

მაშასადამე, ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას ისტორიულად განვითარების მყარი საფუძველი ჰქონდა სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. ამ პოლიტიკის არსი კი, იყო და ის უნდა იყოს დღესაც, რომ საქართველოს მთისა და ბარის ყველა რეგიონში ერის ძირითად მწარმოებელ ძალებს მაქსიმალური ხელშეწყობა ეძლეოდათ. ისიც ხომ ფაქტია, რომ მონღოლებისაგან გაჩანაგებულ გლეხობას გიორგი ბრწყინვალემ და ქართულმა ეკლესიამ მიწები დაურიგათ და 3 წლის „სითარხნეც" მისცათ ე.ი. გაანთავისუფლა გადასახადებისაგან, რათა არ „დაძაბუნებულიყვნენ". ამიტომ ამბობს არჩილ მეფეც – „გლეხიკაცი დაძაბუნდეს, საქართველოც გადაშენდეს". დღეს კი, სწორედ, გადაშენების გზაზეა დამდგარი საქართველო არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო...

ეროვნული ეკონომიკა ქვეყნის ცალკეული რეგიონების ეკონომიკათა თავისებური არითმეტიკული ჯამია და ამიტომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკაც ისე უნდა აიგოს, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ამერ-იმერის თვითეული რეგიონის პოტენციალი. ბატონ ნოდარის „შერეული, მრავალწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა" სწორედ ამას ნიშნავს. ასეთი მრავალფეროვან-მრავალწყობიანი და ამასთან, მრავალდარგოვანი ეროვნული ეკონომიკა უნდა შეიქმნას საქართველოში. ისტორიულად ამას ეფუძნებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ქართულ მიწა-წყალზე. მაგრამ სადღაა ეს მიწა-წყალი? იგი თვალსა და ხელსშუა ხელიდან გვეცლება და თუ ასე გაგრძელდა, ერთ მშვენიერ დღეს, როგორც ილია ამბობს, „სხვათა ანაბარა და ხელისშემყურენი გავხდებით ერთიანად".

ეს ბოლო წლების ყბადაღებული ტურიზმი ცარიელი დემაგოგია, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა და მეტი არაფერი. გლობალიზმიც სწორედ აქეთკენ გვიბიძგებს. ეფექტური ეროვნული ეკონომიკის გარეშე ტურიზმიც მკვდარი და არაფრისმომცემია ჩვენთვის. ტურიზმის წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ მისით აშენებული და გამდიდრებული ქვეყანა ბუნებაში არ არსებობს. ასე რომ იყოს, დღეს ეგვიპტე მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიგებში უნდა იდგეს და საბერძნეთიც ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში არ უნდა იხრჩობოდეს. ტურიზმის კლასიკურ ქვეყნებს – იტალიასა და ესპანეთსაც ხომ, იგივე ბედი ელის...

გამოსავალი ერთია – რეგიონალურ ეკონომიკათა სწრაფი განვითარება და ამ საფუძველზე ეროვნული ეკონომიკის ფორმირება. სხვანაირად ვერც ეროვნულ სახელმწიფოს შევქმნით, რამეთუ ეროვნული ეკონომიკის გარეშე ეროვნული სახელმწიფო ფიქცია და ბუტაფორიაა. სხვანაირად გლობალიზმის „გაუმაძღარ სტომაქს ვერ გადავურჩებით". ამ სიტყვებს ილია მაშინდელ კაპიტალიზმზე წერდა, მაგრამ არანაკლებ, მეტი თუ არა, დაუნდობელი და „გაუმაძღარი სტომაქის" პატრონია დღევანდელი გლობალისტური კაპიტალიზმიც...

„შერეული, მრავალწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა" იმასაც ნიშნავს, რომ არსებობს ასეთი კაპიტალიზმის ალტერნატივაც. ჩვენი არავისი „მოდელის" გადმოღება არა გვჭირდება. და თუ მაინც, ასეთ მოდელებზე მიდგა საქმე, რაღა სინგაპურისკენ გავრბივართ ცხრა მთას იქით, აგერ შევხედოთ ისრაელს, ან, სკანდინავიის ქვეყნებს, სადაც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის თავისებური „მოდელი" შექმნეს. ამიტომ ჰქვია ისრაელის ეკონომიკას „კიბუცური სოციალიზმი".

– თურაშაულის პატრონი. ტყეში ეძებდა პანტასაო, სწორედ რომ ასე მოგვდის: ხანამ საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ათასნაირი მოდელების საძიებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაგან გავრბივართ და ამაზე დროსა და ვინ იცის, რამდენ მილიონებს ვხარჯავთ, იქნებ საკუთარ ქვეყანაში მოვიძიოთ ჩვენი საკუთარი „ქართული მოდელი"?!... ჩვენცა გვაქვს ჩვენი „კიბუცი" – „კომლი" და „ხოდაბუნი", ჯერ-ჯერობით რომ მათი სახელები მაინც კიდევ შემორჩა ქართულ ენას. ზემოთ მოხსენიებულ სტატიებში ილია ხოტბას დიდებას ასხამს თითქოს, განსაკუთრებით სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებულ ძველ ქართულ „კომლს", რომელიც დღეს ბევრს ოჯახი ჰგონია. კომლი და კომლის „თავი" იყო „არა მარტო ეკონომიური, არამედ ადმინისტრაციული ერთეულიცა" – წერს იგი. მათზე იყო დაფუძნებული სასოფლო-სათემო თვითმართველობა, ბეგარა – გადასახადები, ეკლესია-მონასტრების, გზების მშენებლობა, ომიანობის დროს ჯარის შეკრება და ა.შ.

დღეს, რა თქმა უნდა, კომლს ვეღარ აღვადგენთ, მით უმეტეს „ქართლის ცხოვრებით" და ძველი სიგელ-გუჯრებით დაფიქსირებულ ე.წ. „სრულფუძიან კომლს", სადაც ხშირად 100 და მეტი სული იყო დიდ-პატარიანად გაერთიანებული (ახლა დღევანდელ ჩვენს დაცარიელებულ სოფლებში მთლიანად რომ ვეღარ მოიძიებთ!) და ერთიანი შრომით ფუტკრის სკასავით აგროვებდნენ სარჩო-საბადებელს... კომლის აღდგენა არც არის საჭირო და აუცილებელი, თუ სახელმწიფოში პოლიტიკური ნება და სწორი ეკონომიკური პოლიტიკა არსებობს, შეიძლება დღევანდელ სამართლებრივ საფუძვლებზე სოფლად მისი ადექვატური თანამედროვე აგრარული სამეურნეო კორპორაციების შექმნა და მათი ფუნქციონირებისთვის თავისებური „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" შექმნა, რასაც ისრაელსა და შვეციაში აკეთებენ დღეს. ასეთი მთელი სასოფლო-სამეურნეო სისტემა უნდა შეიქმნას ქვეყანაში და მაშინ ვნახავთ ტურიზმის განვითარება სჯობია ქვეყანაში, თუ აგრარული წარმოების...

ესეც ალბათ, საჭიროა ვიცოდეთ, „კიბუცური" თუ „შვედური" სოციალიზმის ბევრი იდეა აღებულია „ანარქო-სინდიკალიზმის" თეორიიდან, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მამამთავარი ქართველი კაცი ვარლამ ჩერქეზიშვილია. რუსეთიდან დევნილმა მან მთელი ცხოვრება ევროპაში გაატარა და 1925 წელს ლონდონში გარდაიცვალა. დღეს რომ სახელისუფლო წრეებში ბევრს ლაპარაკობენ მიხაკო წერეთლის ნეშტის გადმოსვენებაზე, წერა-კითხვა ხომ, მაინც არა აქვთ დავიწყებული – წაიკითხონ მისი „ერი და კაცობრიობა", ვისდამი არის იგი მიძღვნილი, იქ ხაზგასმით და გაშლილი ასოებით წერია – „ეძღვნება ჩემს პირველ მასწავლებელს და მეგობარს ვარლამ ჩერქეზიშვილს". რატომ არ ეკუთვნის ამ დიდ პატრიოტსაც სამშობლოში გადმოსვენება – იგი ხომ ილიას შემდეგ ყველაზე დიდი ნაციონალისტია?

მიხაკო წერეთლის ამ სქელტანიანი ნაშრომის წინასიტყვაობაში, – „ეროვნული საკითხი და სოციალიზმი", ვკითხულობთ:

„ქართველი, რომელიც... ეროვნული სიცოცხლით არა სცხოვრობს, ის სხვაგან ეძებს თავისის რწმენის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას. მისი აღზრდა უცხოა, რომელიც არათუ აკავშირებს ეროვნულ წარსულთან და კულტურასთან, არამედ სრულიად უწყვეტს მასთან შემაერთებელ ძაფებსა და აზიარებს სხვა, უცხო, რუსულ ან ევროპულ კულტურულ სფეროსთან... ეს ქართველს ქართველობას აცლის და სულიერ არარაობად ხდება..."

არაჩვეულებრივი დახასიათება მაშინდელი და დღევანდელი კოსმოპოლიტი – გლობალისტებისა, „უცხო ბაძის მიმბაძისა", რომლებსაც თავისი ისტორიისა და ეროვნული მემკვიდრეობისა არაფერი ესმით და კაცმა რომ თქვას, მისი არც არაფერი ესმით და ამიტომაც ძვრებიან ლობე-ყორეს ხან სადა და ხან სად.. მაგრამ თავი გავანებოთ ზოგ-ზოგებისთვის (განსაკუთრებით ფსევდო-ნაციონალისტებისთვის), ამ არასასიამოვნო პარალელებს და მივუბრუნდეთ ზემოთნახსენებ „ანარქო-სინდიკალიზმის" თეორიას. „სინდიკატი" ფრანგული სიტყვაა და „ერთობას" ნიშნავს, რითაც იგი შინაარსობრივად და აგრეთვე, იდეურადაც ორგანულად ეხმიანება ილიას და მისი თანამოაზრეების „საერთო ნიადაგის" თეორიას, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტ სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპებს. ამას ალბათ, მომავალში ცალკე ანალიზი და გამოკვლევა დასჭირდება...

აქ კი მაინც, გვინდა აღვნიშნოთ ერთი, ჩვენი აზრით მთავარი და არსებითი მომენტი: 1906 – 1907 წლებში სტალინთან პოლემიკაში („ანარქიზმი, თუ სოციალიზმი?"), აშკარად გამოიკვეთა სოციალიზმის თეორიაში ორი საპირისპირო და შეიძლება ითქვას, ურთიერთგამომრიცხავი მიდგომა: ერთი მხრივ, ბოლშევიკური, ზემოდან ცენტრალიზირებული გზით დანერგილი „სახელმწიფოებრივი სოციალიზმი", რომელიც ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „კაცისაგან მოგონილს რაც-რაცაზედ" ცდილობდა ხალხისთვის თავს მოეხვია და თავის

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

„თარგზედ აჭრათ ცხოვრების თვითრჯულობა" და მეორე მხრივ, ნერქეზიშვილისეული „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმი", რომელიც „ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაზე იქნებოდა „აღმოშობილი" საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების ბუნებრივ–ისტორიული პროცესით. პირველი ხელოვნურია და ამიტომაც ვერ გაიტანს დიდხანს თავს, რაც რუსეთის და სხვა აღმოსავლეთ ევროპის არაერთი ქვეყნის ისტორიამაც პრაქტიკულად დაადასტურა, მეორე კი, ბუნებრივია და ამიტომ ხელოვნურთან მიმართებაში უფრო მისაღები და სასურველია. პირველი დიქტატურასა და ტოტალიზმზეა დაფუძნებული, მეორე – ლიბერალიზმსა და დემოკრატიაზე. ესეც ბევრი ქვეყნის, განსაკუთრებით კი, ისრაელის, შვეციისა და ნორვეგიის ისტორიით, პრაქტიკულად დადასტურებულია თავიანთი სტაბილური სოციალურ–ეკონომიკური განვითარებით. ვარლამ ნერქეზიშვილიც თავისი „ხოდაბუნური სოციალიზმით" სწორედ ასეთი „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის" დამკვიდრებას ესწრაფვოდა საქართველოში. სხვანაირი სოციალიზმი მას არა სწამდა. ამიტომ ეუბნებოდა მესამე დასელებს: „თქვენ სოციალისტები არა ხართ, თქვენ სოციალიზმის მტრები ხართ!"...

ვისაც წაუკითხავს „ივერიაში" ვარლამ ნერქეზიშვილის „წერილები ლონდონიდან", ის დამეთანხმება – იქ საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციულ საფუძვლებზე განვითარების მთელი პროგრამაა გადმოცემული, ილიასეული „მიწისა და გუთნის საქართველოს" აგრარულ–ინდუსტრიული სტრატეგია. 1918 წელს საქართველოში დაბრუნებულმა ვარლამ ნერქეზიშვილმა პრაქტიკულადაც სცადა ამ პროგრამის განხორციელება, მაგრამ ვინ აცადა?!.. მანამდეც, ილიასთან ერთად, რომელსაც ნერქეზიშვილი უდიდეს მოღვაწედ და მოაზროვნედ მიაჩნდა, რამდენიმე ასეთი კორპორაციული „ამხანაგობა" შეიქმნა. მათგან ყველაზე წარმატებული „მაჩხაანის დეპო–კასა" გამოდგა. ილიას ბანკის გრძელვადიანი და შეღავათიანი დაფინანსებით (წლიური 5%), დიმიტრი მაჩხანელმა – ამ კორპორაციის დამფუძნებელმა და თავკაცმა, არნახულ წარმატებებს მიაღწია. კორპორაციამ თავისი მაღაზიები გახსნა ბაქოში, კისლოვოდსკში, ხარკოვში, მოსკოვში და თვით ვარშავასა და ჰელსინკშიც კი. მანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო ილიას მიერ შექმნილ „კახეთის რკინიგზის ამხანაგობაში" – ნერქეზიშვილის მიერ გამოგზავნილმა და–ძმა ურდულაძეებმა სწორედ მაჩხაანში თარგმნეს ინგლისურად „ვეფხისტყაოსანი" – აი, ასეთი ძალა შეიძლება ჰქონდა ილიას და ნერქეზიშვილის თაოსნობით შექმნილ სასოფლო–სამეურნეო კორპორაციებს და მათ კიდევ უფრო მეტი ძალა ექნებათ, თუკი მომავალში ამ კორპორაციების მთელ ეროვნულ სისტემას შევქმნით, როგორც ეს უკანასკნელი ისრაელის სახელმწიფომ შექმნა „კიბუცური" აგრარული კორპორაციების სახით...

ისე, რომ სოციალიზმს როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივას, დღესაც არ დაუკარგავს თავისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება და ძალა. კომუნისტურმა ტოტალიზმმა და ე.წ. „სოციალიზმის მშენებლობის" უკუღმართმა პრაქტიკამ დიდი ზიანი მიაყენა თავისთავად ალბათ ამ ჰუმანურ და კეთილშობილურ სოციალურ–პოლიტიკურ იდეას, რომელიც თავის ფესვებს რენესანსის ეპოქიდან იღებს და რომელსაც არაერთი დიდი მოაზროვნე და მოღვაწე იზიარებდა და იზიარებს დღესაც. საფრანგეთის ამასწინანდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში სოციალისტური პარტიის გამარჯვება ხაზს უსვამს ამას. ევროპაში მოღვაწე არაერთი ქართველი კაცი იყო ჩართული ამ პროცესებში. სამშობლოდან მოწყვეტილებმა ბევრმა მათგანმა ნოსტალგიის ტყვეობაში განვლო ცხოვრება და სამშობლოზე სევდით დაამთავრა სიცოცხლე...

ამ მიმართებით აქ მე მინდა გავიხსენო და მკითხველსაც გავახსენო ვარლამ ნერქეზიშვილთან, არჩილ ჯორჯაძესთან, კომანდო (გიორგი) გოგელიასთან, მიხაკო წერეთელთან ერთად „საქართველოს სოციალისტ–ფედერალისტთა პარტიის" დამფუძნებლის გრიგოლ რობაქიძის მოგონება მიხაკო წერეთელზე, რომელიც მისი დაბადების 70 წლისთავზე ჟენევაში დაუწერია 1948 წელს და რომელიც „გრი და კაცობრიობის" თანდართულ დოკუმენტებშია მოყვანილი (გვ. 321 – 333). მართლაც რომ საოცარი ფსიქოლოგიური ჩანახატია, რობაქიძისეულ სტილში შესრულებული:

„ეხლა მიხეილი ბავარიაში იმყოფება, ზის ალბათ პატარა ოთახში ცოტათ განდევნილი... სადღაა ის შესვედრანი? სადღაა ის ხალხი?... ხდუმს. მხოლოდ გულისცემას უგდებს ყურს (გული საიწაულებს მოელის ყოველთვის)... აგონდება საყვარელი ვაჟი, ერთადერთი შვილი, ომის ორომტრიალში უკვალოდ დაკარგული. ხმაური მოესმის, კარებისკენ მიაქცევს თვალს, ამოვარდნას დაპობს გული – ვინ იცის, ეგების ძველებურად შემთანათოს ოთარმა... არავინაა. სულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართოვდება სიცარიელე – „ვაიმე, შვილო!", აღმოხდება საცოდავ მამას. იწმენდს ცრემლებს"...

... შემდეგ ჩაუჯდება „ვეფხისტყაოსანს", გადახედავს მის მიერ ტექსტის გერმანულ პროზაულ თარგმანს... ბოლოს შეუდგება ტექსტს „ჟამთაღმწერლისას" – სწორუპოვარს სამატიანო მწერლობაში... ეხლა იფესვებს „ქართლის ცხოვრებაში" ღრმა ჩახედვით და აღვივებული სიყვარულით... გულდათუთქული იფურფლება საქართველოს მარადიულ ქვეყნებში... მხრებში იმართება, მამულის ფესვებიდან ამოდის ვითარ ახლადშობილი.

ქართველნი გულმავიწყნი არიან: „გულმავიწყნი, რადგან უდარდელნი. უდარდელნი –ვინაიდან მზიური ჯიშისაა. („გულმავიწყობა" არც ისე დასაძრახია. ეს რომ არ გვქონოდა, შესაძლოა ვერც გადაგვეტანა ამდენი უბედობა, საუკუნეებში თავდატეხილი!). „მავიწყია" ქართველის გული, ხოლო თუ ამ გულს ერთი ნაპერწკალი მოხვდა მეორე გულის ცეცხლიდან, მაშინ არცერთ გულს ქვეყანაზე არ ძალუძს წყაროს ხალასი თვალივით გადაეხსნას სხვა გულს გასახარად და გასახარებლად... სიტყვა შესაძლოა საჭიროც აღარ იქნას – გული უმართლესი სიტყვაა თვითონ".

მაშ, ასე, უკვე თვითონაც ხანში შესულ გრიგოლ რობაქიძეს, ბუნებით გაუტეხელ და ოპტიმისტ კაცს, დიდი იმედი აქვს, რომ „მავიწყ ქართველს" ერთ მშვენიერ დღეს სხვა გულიდან აგიზგიზებული ცეცხლიდან „ერთი ნაპერწკალი მოხვდება" და მაშინ იგი უძლეველ ძალად გადაიქცევა ჩვენდა „გამახარად და გასახარებლად".

ჩვენც ოპტიმისტები ვართ და გვწამს, რომ ასეთი „ნაპერწკალი" ერთხელაც იქნება ჩვენს გულმავიწყ გულებს წყაროს თვალივით გადაეხსნება ჩვენდა გასახარად...

ამ „ცეცხლის" გასაღვივებლად ერთი პრაქტიკული წინადადება მაქვს: ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70–იან წლებში დაარსებული თსუ **„ილიალოგთა კლუბი"**, რომლის წევრი ბატონი ნოდარიც არის, გამოდის ინიციატივით, რომ გაიმართოს დისკუსია თემაზე – **„ქართული სახელმწიფო და ეროვნული ეკონომიკა"**. რამდენადაც **ჩვენს** კლუბს ჯავახიშვილის უნივერსიტეტში დღეს ოფისი აღარ აქვს, ჩვენი მასპინძლობისთვის სურვილი და მზადყოფნა გამოთქვა ჩვენმა **სახელოვანმა** ხელოვანმა და პატრიოტმა მერაბ ბერძენიშვილმა. უკვე 6 სექტემბერს მისი ბაგების ოფისში – „მუზა", ვიკრიბებით საორგანიზაციო საკითხების გადასაწყვეტად და ყველას ვთავაზობთ მასში მონაწილეობას, ვისაც ეროვნული ეკონომიკისა და ქართული სახელმწიფოს ბედი აღელვებს და მათი მომავლის სწამს. იქნებ ხვალ და ზეგ მაინც, ამ რობაქიძისეულ „გულმავიწყ ქართველს" აღარ დარჩეს ჩვენი ხმა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა"...

ელბერდ ბატიაშვილი

პროფესორი

# უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები

ეროვნული ბიბლიოთეკა



## Tax Justice Network-ი ოფშორული ზონების ლიკვიდაციის ინიციატივით გამოდის

მსოფლიოს ფინანსური ელიტის საბანკო ანგარიშებზე სხვადასხვა ოფშორულ ზონებში, სულ ცოტა, $21 ტრილიონია. რამდენიმე დღის წინ კვლევა ამის შესახებ Tax Justice Network-მა წარმოადგინა, 2010 წლის მონაცემებზე დაყრდნობით. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია გადასახადების დამალვის წინააღმდეგ იბრძვის. ციფრი შეიძლება იაპონიისა და აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობასაც შევადაროთ. ეს ფული სულ 10 მილიონ ადამიანს ეკუთვნის, მათგან 100 ათასი კი ოფშორული კაპიტალიდან $9,8 ტრილიონის მფლობელია. ოხსენების თანახმად, ეს ციფრი შესაძლოა $32 ტრილიონსაც კი აღწევდეს. ასეთი სხვაობის მიზეზი ის არის, რომ ინფორმაციის საკმაო ნაწილი დახურულია. კვლევის ხელმძღვანელ ჯეიმს ჰენრის განმარტებით, ისინი ითვალისწინებდნენ **მხოლოდ** ფულს და არა **სხვა** აქტივებს – **სახლებს**, იახტებს და სხვ. საინტერესოა, რომ 2010 წლის ბოლოსათვის განვითარებადი ქვეყნების ერთობლივი საგარეო ვალი $4,1 ტრილიონს შეადგენდა, ხოლო ამ ქვეყნების ოფშორული კაპიტალი ვალს **$11** ტრილიონით აღემატებოდა. Tax Justice Network-ი ოფშორული ზონების ლიკვიდაციის ინიციატივით გამოდის. როგორც აქ მიაჩნიათ, „გადაუხდელი გადასახადები იმ მოცულობისაა, რომ რამდენიმე ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება იქნებოდა შესაძლებელი“.

**გაზეთი „კვირისპალიტრა“ 30 ივლისი-5 აგვისტო, 2012 წელი, გვ. 22.**

## საუკეთესო ქვეყნები ბიზნესის წარმოებისათვის

ბლუმბერგმა 2012 წელს ბიზნესის წარმოებისათვის მსოფლიოს 50 საუკეთესო ქვეყნის სია შეადგინა, რისთვისაც 11 სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციისა და წყაროს მონაცემები გამოიყენა. საბოლოო დასკვნისათვის თითოეული ქვეყანა შემდეგი 6 პარამეტრით შეაფასეს – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა 1 სულ მოსახლეზე, შრომის ანაზღაურება, სამომხმარებლო ბაზა, დანაკარგები კორუფციისა და ინფლაციის შედეგად, ეკონომიკური ინტეგრირებულობა და ახალი ბიზნესის გასაფორმებლად და შესაქმნელად საჭირო ხარჯების ოდენობა.

აღსანიშნავია, რომ სიაში ე.წ. განვითარებადი დიდი ქვეყნების ოთხეულიდან მხოლოდ ჩინეთი გავიდა მე-19 ადგილზე, ხოლო რუსეთმა, ინდოეთმა და ბრაზილიამ სულ ბოლო (48-49-50) ადგილები დაიკავეს. საუკეთესო ტოპათეული კი ასე გამოიყურება: 1) ჰონკონგი, 2) ჰოლანდია, 3) აშშ, 4) დიდი ბრიტანეთი, 5) ავსტრალია, 6) გერმანია, 7) იაპონია, 8) საფრანგეთი, 9) ავსტრია და 10) სინგაპური.

**გაზეთი „კვირისპალიტრა“ 13-19 აგვისტო, 2012 წელი, გვ. 19**

## მსოფლიოს უძვირესი ბრენდების ტოპათეული

„ყველაზე ძვირი ბრენდების“ ტოპათეული, რომელიც 2012 წლის მარტის მონაცემების მიხედვითაა შედგენილი, გამოიყურება შემდეგნაირად: 1) ვოლმარტი – $41,4 მლრდ., 2) გუგლი - $36,2 მლრდ., 3) კოკა-კოლა - $34,8 მლრდ., 4) „აი-ბი-ემი“ - $33,8 მლრდ., 5) მაიკროსოფტი - $33,6 მლრდ.,6) ჯენერალელექტრიკი - $32,0 მლრდ., 7) ვოდაფონი - $29,0 მლრდ., 8) „ეიჩ-ეს-ბი-სი“ - $28,5 მლრდ., 9) ჰიულეტ-პაკარდი - $27,4 მლრდ., 10) ტოიოტა - $27,3მლრდ.

**გაზეთი „კვირისპალიტრა“ 13-19 აგვისტო, 2012 წელი, გვ. 19.**

## აშშ-ში საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება

ფედერალური დეპოზიტების სადაზღვევო კომპანიის ცნობით, აშშ-ში, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საბანკო სექტორის მოგება 20,7 %-ით გაიზარდა, რადგან ბანკებმა დანაკარგებისგან დასაცავად ნაკლები, ხოლო სესხებისთვის მეტი ფულადი სახსრები გამოყვეს.

ფედერალური დეპოზიტების სადაზღვევო კომპანიის კვარტალურ ანგარიშში ნაჩვენებია, რომ მეორე კვარტალში საბანკო ინდუსტრიაში $34,5 მილიარდია მოგებული, რაც გასულ წელთან

შედარებით $5.9 მილიარდით მეტია. ამასთან, $102 მილიარდითაა გაზრდილი დაკრედიტებაც, რაც 1,4 %-იან მატებას შეადგენს.

The New York Times www.nytimes.com

**FedEx-ს შემოსავლებიშეუმცირდა**

შუსტი ეკონომიკური მდგომარეობა FedEx-ის, United Parcel Service-ის შემდეგ მსოფლიოში სიდიდით მეორე ამანათების მიწოდების კომპანიის, ამჟამინდელ შემოსავალს ამცირებს. ქარხნები FedEx-ს გადასაზიდად უფრო ნაკლებ ნივთებს უმზადებენ. მომხმარებლები კი, ფულადი სახსრების ეკონომიის მიზნით, მიწოდების შედარებით იაფ ვარიანტებს ირჩევენ.

2012 წლის აგვისტოში, ბოლო სამი თვის მანილზე FedEx-მა მხოლოდ $459 მილიონი გამოიმუშავა. ამ ყველაფერზე დაყრდნობით, კომპანია იუწყება, რომ გლობალური ეკონომიკური მდგომარეობა მომავალ წელს გაუარესდება. თავისი ვარაუდი აქვს FedEx-ს ამერიკის ეკონომიკის ზრდის შესახებაც. განვითარებული მოვლენების გამო, ეს ვარაუდი უარყოფითისკენ შეიცვალა და 2012 წელს მხოლოდ 2.2%-იან, ხოლო მომავალ წელს 1.9%-იან ზრდას იუწყება. ეს ცნობები კი ეკონომისტთა მოსაზრებებს სავსებით შეესაბამება.

The New York Times www.nytimes.com

**დიდ ბრიტანეთში ინფლაციის პროცესი შემცირდა**

ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, დიდ ბრიტანეთში 2012 წლის აგვისტოს თვეში წლიური ინფლაციის დონე შემცირდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, წლიური ინფლაცია აგვისტოში წინა თვის 2.6%-იანი მაჩვენებლიდან 2.5%-მდე შემცირდა. ეს ყოველივე აისახება გასულ წელთან შედარებით ტანსაცმელის, ფეხსაცმელისა და ზოგიერთი საყოფაცხოვრებო ნივთების ფასების მცირედ ზრდაში, ასევე გაზისა და ელექტროენერგიის სტაბილურ ფასებში.

The Wall Street Journal www.wsj.com

**Microsoft Internet Explorer-ს უსაფრთხოების პრობლემები აქვს**

გერმანიის სამთავრობო სააგენტო, რომელიც IT უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, Microsoft Internet Explorer-ის უსაფრთხოების დარღვევაზე იუწყება და ხალხს პრობლემების მოგვარებამდე სხვა ბრაუზერების გამოყენებისკენ მოუწოდებს.

ბრაუზერის სუსტი წერტილი მიზნობრივი თავდასხმებისთვის უკვე გამოიყენება, ამასთან კოდი თავდასხმისას თავისუფლად ხელმისაწვდომი და სწრაფად გავრცელებადია.

Microsoft Corp.-ის სპიკერმა განაცხადა, რომ კომპანია ფლობს ინფორმაციას ზემოთ აღნიშნულ საკითხზე და პროგრამულ განახლებასა და ბრაუზერის უსაფრთხოების მახასიათებლების მოწესრიგებაზე მუშაობს. მანვე აღნიშნა, რომ ეს მასიური პრობლემა არ არის და მხოლოდ რამდენიმე მიზნობრივ თავდასხმას ჰქონდა ადგილი, თუმცა სპიკერმა თავდასხმების რაოდენობის დასახელება ვერ შესძლო.

The Washington Post www.washingtonpost.com

**ღვინის სარდაფი ოკეანეში**

ფრანგი ბიზნესმენი, „შატო დიუკუროს" მფლობელი მელვინე ფრანკ ლებერი მზად არის, მსოფლიოში პირველად ღრმა წყალში ღვინის სარდაფი გახსნას – ატლანტის ოკეანეში, სანაპიროდან 150 კილომეტრის დაშორებით, 1000 მეტრის სიღრმეზე. აქ ღვინის კოლექციონერები ღვინის შენახვას შეძლებენ. სარდაფი კონტეინერში განთავსდება, სადაც სინათლესთან ერთად ჟანგბადიც იქნება. ვიდეო კამერები მეპატრონეს კოლექციაზე დაკვირვების საშუალებას მისცემს. ყოველ ორ წელიწადში ღვინოს ამოიტანენ, რათა მეპატრონემ გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა ღვინის ისევ ოკეანეში დასაძველებლად ჩაბრუნება.

**გაზეთი „კვირისპალიტრა" 30 ივლისი-5აგვისტო, 2012 წელი, გვ. 23.**

**აშშ-ს ანტიტრესტული სამსახური ავტორიტეტებს არ ცნობს**

„ვიზა", „მასტერკარდი" და მსხვილი ამერიკული ბანკები კარტელური გარიგების გამო, ამერიკულ რიტეილერებს $7,25 მლრდ-ის ჯარიმას გადაუხდიან. მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება აშშ-ის ანტიტრესტული საქმეების ისტორიაში უმსხვილესია. ადახდის სისტემები და ბანკები ხაფასო შეთანხმებაში დაადანაშაულეს, რისი წყალობითაც პლასტიკური ბარათებით

შესყიდვისას ძალიან მაღალ საკომისიოს იღებდნენ.

ამასთან, თხევად კრისტალური ეკრანის 3 მწარმოებელი - „ელ-ჯი", „ტოშიბა" და „AUO" აშშ-ს ანტიტრესტულმა ორგანოებმა $571 მილიონით დააჯარიმეს „უსამართლო კომერციული გარიგებების" ბრალდებით. ისინი წინასწარი შეთანხმებით მუშაობდნენ და ფასებს თხევად კრისტალურ ეკრანებზე ხელოვნურად, რამდენიმე კვირის განმავლობაში ინარჩუნებდნენ. მარშ ასეთი ჯარიმები თხევად კრისტალური ეკრანის 7 მწარმოებელს დაეკისრა (მათ შორის იყვნენ „სამსუნგი" და „შარპი") $533 მილიონის მოცულობით.

გაზეთი „კვირისპალიტრა" 23-29 ივლისი, 2012 წელი, გვ. 22.

უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის IV კურსის სტუდენტმა
**თამთა ფეტელაშვ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეზიუმეები/SUMMARIES

### SurviveGeorgian Village

Paata Koguashvili,
GTU full Professor

Based on agricultural characteristics and anticipated global challenges, the article presents innovative views on agricultural development that implies correction of rural economic policy, identification of priorities, supply of ideology to population, eradiation of shortage of knowledge and credit resources, development of systems for insurance of agricultural crops and procurement of products. The article outlines importance of creation of integrated cooperatives and societies, development of production service organizations, regulation of prices using market mechanisms, improvement of tax system and export stimulation.

The first step in overcoming the crisis is considered to be the creation of cooperatives specialized in production of one type of product that can be arranged with mutual endeavors of farmers, local self-governance bodies, eparchies and scientists.

The creation of highly productive rural economy must be recognized as the major task of government's economic policy and the subject of care of national welfare. This is the only way of saving Georgian village as the perspective of development of Georgia is impossible without its village.

### World Modern Economical Model Features

Shota Veshapidze
Doctor of Economic sciesnes,
Assosiated Pofessor of Georgian Technical University

In this article there are discussed worlds such economical model features and characteristics as USA Economical Model, European Model (Great Britain, German, Sweden, Finland, France, Italy); Asian model (Japan, India, South Korea); Latin Amerian and African models.

Georgia should carefully monitor world modern social-economical models. From the useful lessons taken from them, it would be possible to expand Georgian social-economical model and make it more perfect, modern and effective.

### Clusters of Firms in Global Innovative Economy

Maia Kapanadze
Associated Professor
of International Economical Relations Universiti

Nowadays in the whole world as effective tendency of innovative productive activity is considered active development of clusters. For example, in Europe about strengthening of economic collaboration accepted by Declaration in 1997 and action plan of forming new production systems on base of clusters are asserted as one of the most actual ways of that collaboration.

Globalization on clusters affects through the mobility of a capital. In this process transnational corporations get local-scale enterprises. It twice reflects on functioning of clusters. One the one hand, it can cause breakup between formed local enterprises entered in clusters and at times informal links, therefore these links become basically vertical; on the other hand arrival of transnational corporation could play rather positive role on development of clusters through the distribution of innovation and extension markets (outlets) of firms' productions entered in clusters.

On the assumption of the historical experience clusters required about 10 years period for getting the real competitive advantages. This is a one of the reason that due to 4-5 year's period of politics elections do not pay attention at clusters' approaches in their economic programs. Nevertheless by taking into consideration gathered experience in conditions of purposefully attempts is possible essential reduction of above-mentioned gap of time.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### Review of the Term Indicators of the Redemption of Investment

Zaira Gudushauri
Doctor of Economics
Full Professor

Nino Lazviashvli
Doctor of Economics
Associated Professor

Inga Kutiani
Doctor of Economics
Assistant Professor

The article raises an issue of using together the term indicators of Redemption of Investment and the advantages of margin of profit. The article reviews two profit earning cases: The first when getting profit annually is equal and the second when it is unequal. A straight-line curve points to the equal income on the schedule. As for uneven profit, it is indicated as follows: 1. convex curve (FGD Curve) shows much increase in the first years and then decrease of profit 2. Concave curve (FHD Curve) _ less increase in the first years and then increase of profit.

In the article, the profit margins ratio from investment is calculated in 6 cases according to conditional examples. Under the equal conditions of redemption terms the article suggests the investors to implement their investments in the projects that have the highest margin of profit i.e. 4th example among considered cases.

### Contemporary Methods of Effective Time Management

Omar Shudra
Docctor

Time management is a complex problem, which is connected to rational, healthy, reasonable lifestyle, the main concepts of religion.

Rational, traditional organizational methods of labour are known since a long time. So, the article points on the newest methods of time management, such as: electronic database, cell phones, working with business papers, relation with colleagues, skills of meeting etc.

In the conclusion it is underlined, that the effective time management, the level of its economy, is the level of development, not only for a separate organizations, for the whole society.

### Advanced Quantative Method of Credit Risk Evaluation

Nikoloz Gongliashvili
Doctoral Candidate of
Sokhumi State University

Nikoloz Gongliashvili's article "Advanced Quantative Method of Credit Risk Evaluation" considers the various methods of evaluation of creditworthiness of the companies worked out in recent years by scientists: Altman, Chaser, Bivery etc. Despite of diversity of the methods in the variables as net profit, circulating capital, realization, general liabilities, and market price of private capital are included in every algorithm of evaluation of creditworthiness. According to the article it is natural since those indices create directly creditworthy potential of the companies. Among those new methods, the author advantages Russian Model and affirms it by approximate business environment.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Consumer Attitude Towards Social Responsibility of a Company

**Iza Gigauri**
**Doctoral Student in the Marketing Department in the**
**Faculty of Economics and Business**
**at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

The presented article discusses the various studies confirming the overall positive effect of CSR to consumer attitudes and supports towards a company. Consumers in many countries increasingly use ethical criteria in their purchase decision. Moreover, socially responsible consumption has also grown. Since ethical behavior is expected, the company is rewarded by the consumer's willingness to pay higher prices and thereby reward its ethical behaviors. However, the consumer may also buy from the unethical companies, but punish them by demanding lower prices. While consumers in developed countries are interested in, supportive and have positive perception towards CSR. On the contrary, in developing countries, consumers are often unaware and unsupportive towards CSR. But despite this, CSR, also in developing countries, still increases positive attitude and loyalty towards the company and/or the brand, and improves financial performance. Thus, social responsibility can be an essential and growing effect on choosing of marketing strategies, especially in terms of its impact on consumer values.

## Reform of Competition Policy: State aid - step back?

**Lita Surmava**
**Doctoral Student in the**
**Faculty of Law**
**at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

In September 2011 the Government of Georgia presented new draft legislation on "Free Trade and Competition" to the Parliament. The new piece of legislation was adopted on May 8, 2012. This Law has been developed as a part of the reforms planned by the Government in the framework of the Comprehensive Strategy in Competition Policy.

Even though the law was envisaged to bring about a substantial changes in the field of state aid by providing new definitions and substantive provisions in state aid, the plans have not duely been carried out. Not only are the new law provisions not reflecting the main principles of EU Law, they are also not sophisticated enough in order to regulate effectively the different fields of competition, including state aid.

The main purpose of the article was on the one hand, to discuss the main problematic issues in the new law in respect to the state aids, and on the other, to compare the new state aids rules to the preceding rules of the state aid. In this regard, the article aimed to draw a an overall picture whether the reforms carried out in the field have been a "step forward" or a "step back".

## Global and National Aspects of Bank Sector Development

**Tamta Fetelava**
**Undergraduate student of Ilia State University,**
**Business faculty**

The article reviews the development of the world banking system history, its role and importance in the modern world. There are discussed models and characteristic features of the developed countries' banking systems. Also, there is described the beginning of Georgian banking system, its current situation, characteristic trends and ratings.

## Inclusive Business Development Prospects in Georgia

Tinatin Medzmariashvili
Tbilisi State University,
faculty of Economics and Business, Fourth Course

Social entrepreneurship is a business for a social mission as it represents the process of manufacturing methods and means in order to achieve social goals. When we talk about entrepreneurship it is obvious that the main is to receive profit, although social entrepreneurship is separated from both commercial and nonprofit sectors. It is important not only for economic efficiency, but for each participant's contribution to work out some important public issues. Inclusive business is one of the most important areas of Social entrepreneurship. This business model is based on indigent people and conditions their involvement in the value creation chain. Entrepreneur's benefit from inclusive business is consumer's expansion, newly recruited and cheap labor force, stronger delivery and sales channels. Inclusive business gives the opportunities to indigent people for satisfying their needs, gaining a solid income, getting appropriate education, raising productivity. This trend is developing gradually in Georgia. There is a need of State's involvement in this sector and access to some preferences for owners, because it is the precondition for social objectives and the country's development.

## Monopoly: Positive and Negative Part

Giga Kuchukhidze
The fourth-year student at Tbilisi state university,
faculty of economics and business

Imperfect competition is a situation when the seller has advantage to establishe prices. But this advantage is smaller then in monopilistic market. Monopolistic and Oligopolistic producers have more opportunities to impact on the market prices.

Discussion about monopolies is very common for Georgia. One side claims that there are monopolies in many different fields, that couses high prices and inequality in income distribution. They think that it is neccessery to create antimonopolistic organ, that will help to develope a real competitive market and equality in income distribution.

In general Monopolies are not alowed, but there are some exceptions . For example "the natural Monopolies", such as different public enterprices.

I think that it will be interesting to describe and analize monopolistic situation, as monopolies are actual theme for discussion for a long time.

## Monopoly, Its Development History and Antitrust Regulation

Nino Nikogosovi
The fourth-year student at Tbilisi state university,
faculty of economics and business

This article discusses a monopoly, its essence, anti-monopoly regulation mechanisms and instruments. Shown that the formation of a perfect market economy, it is necessary to promote competition, development and protection.

The economic preconditions of a democratic society is decentralization of economic decision-making. Free competition - freedom of choice, freedom of enterprise, market synonymous with freedom, economic freedom is an integral part of human and citizen's constitutionally supported.

Georgia, as small countries with economies in transition, developing the tools necessary to study the regulation of the market in different countries based on their experience and the best international standards set by the competition

model to develop the relevant legal norms. It will help economic agents engaged in the dominant position of market abuse detection and elimination of the facts.

Thus, the antimonopoly authorities of the state and the task is to maintain competition in the civil context, to prevent danger to the public monopolizm manifestations, exclude unfair methods of competition and the struggle to define the areas where the need for state regulation.

**The Problems of Employment and Unempoyment in Georgia**

**Mariam Matiashvili**
**Students of the III course**
**of the Faculty of Economy and Business**
**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

The article briefly discusses Unemployment . It's an integral event of a market economy and certain level of it may be exist in full employment . unemployment is widely regarded as a major social and economic global problem. Unemployment and the low income are cause of poverty in the country it's substantial social risk for the modern Georgia .

Nowadays unemployment reached its peak , we need more manufactured products and services and It's especially important to support small business development. In a country where more than half of population lives in rural areas, the way to tackle unemployment is to Increase Agricultural Productivity.

**Severity of Tax Burden**

**Natia Gelashvili**
**Student of the III course**
**of the Faculty of Economy and Business**
**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**Melano Sirbiladze**
**Student of the III course**
**of the Faculty of Economy and Business**
**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

The article describes the evaluation of the severity of the tax burden according to the effective legislation. The influence of taxes on investments which is estimated by the corporate marginal tax rate of METR and the corporate average effective tax rate AETR. Administration costs are considered a burden, as one of the most important factor in the assessment of the tax burden. Provides statistical data regarding the current situation. This is given the influence of Russian war and crisis on tax burden, from this figure has increased. The article discusses the important variables that determine the state of tax burden. Finally, it should be noted that the severity of tax burden has a very important role in the tax system, which affects the country's economic situation. .The region's research shows that our index is last place, however, the ongoing reforms, enable us to predict that this situation will change and total GDP balance the gravity of the society.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ ЭКОНОМИЧЕСКИХ НАУК ГРУЗИИ

380005 Тбилиси-5, ул. Пушкина № 5

GEORGIAN ACADEMY OF ECONOMICAL SCIENSES

380005, Tbilisi-5, Pushkin st. № 5

380005, თბილისი, პუშკინის ქ. № 5

ტელ.: 93-36-93, 99-60-20 phone


№ 11 „25" 09 2012 წ.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის"

მთავარ რედაქტორს

ბატონ ლადო ქარჩავას

ბატონო ლადო,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია და პირადად მე, როგორც ამ აკადემიის პრეზიდენტი, გამოვთქვამთ მზადყოფნას აქტიური და პარტნიორული ურთიერთობები დავამყაროთ ჟურნალ „ახალ ეკონომისტთან". ეს იქნება როგორც სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება და რეცენზირება, ისე ჟურნალის სარედაქციო საქმეებთან თანამშრომლობა.

პატივისცემით,

ლეო ჩიქავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის

პრეზიდენტი, ემდ, პროფესორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია**
Georgian akademy of business sciences
ქ. თბილისი – 0186, ალ. ყაზბეგის გამზირი 47, ტელ. 231 14 75, 231 18 50
Tbilisi - 0186, 45 Al. Kazbegi Av. Tel.231 14 75, 231 18 50

№15

„10" ნოემბერი, 2012 წელი

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის"
მთავარ რედაქტორს
ბატონ ლადო პაპავას

ბატონო ლადო,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია და პირადად მე გამოვთქვამთ მზადყოფნას აქტიური და პარტნიორული ურთიერთობები დავამყაროთ ჟურნალ „ახალ ეკონომისტთან". ეს იქნება როგორც სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და რეცენზირება, ისე ჟურნალის სარედაქციო საქმეში თანამშრომლობა.

პატივისცემით,

ალექსანდრე კეჭახმაძე

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე, ნიუ-იორკის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიიღეთ მონაწილეობა უფლის სახლის მშენებლობაში

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაკიანში, ლექარჩვს უბანში, XX საუკუნის 20-იან წლებში ადგილობრივმა კომუნისტებმა დაანგრიეს ლექარჩვს მიქელ-გაბრიელის სახელობის ეკლესია. იგი დღეს ასე გამოიყურება.



**ეკლესიის პარამეტრებია:**
სიგრძე – 13,5მ; სიგანე – 7,5მ;
სიმაღლე (გარედან) – 9,0მ.

2001 წლიდან ქარჩავას გვარის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ამ ეკლესიის აღდგენა. შეიქმნა სპეციალური კავშირი „ქარჩა", რომელიც ორგანიზებას უწევს მის აღდგენას. კურთხევა მიღებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-საგან, სენაკ-ჩხოროწყუს ეპარქიის მეუფე შიოსაგან (მუჯირი). საპატრიარქოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით ნებართვა მიღებულია მისი აღდგენის შესახებ და მოწონებულია შესაბამისი პროექტიც. აი, მისი სამხრეთისხედი:



ქარჩავების გვარის წარმომადგენლებმა შეძლებისდაგვარად გარკვეული თანხა შესწირეს ამ საპასუხისმგებლო, და ამავე დროს, საპატიო და მადლიან საქმეს. არანაკლები ინტერესით შემოგვიერთდნენ სხვა გვარის წარმომადგენლებიც. როგორც ადგილზე, ისე საქართველოს სხვა რაიონებიდან, თბილისიდან. გარკვეული წვლილი შეიტანეს კერძო ორგანიზაციებმაც. თითოეული თეთრი აღრიცხულია, ქვეყნდება საგვარეულო გაზეთში და მშენებლობის დასრულების შემდეგ გამოიცემა ცალკე წიგნად, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ეკლესიის მშენებლობაში.

2006 წელს ამ პრობლემით დაინტერესდა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის მხარეში, დაათვალიერა იქაურობა, გაერკვა საქმის ვითარებაში და დახმარება აღგვითქვა.

**მივმართავთ** ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს, აღნიშნული ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხონ თანხა კავშირი **„ქარჩა"**, ანგარიშზე

„ხალიკ ბანკი საქართველო", კოდი HABGGE22, ცენტრალური ფილიალი.
ანგარიშის ნომერი ლარებში: GE76HB0000000000083608;

ანგარიშის ნომერი დოლარებში: GE46HB0000000000133618;

დამატებითი კითხვებისთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ: 555 277 554 ან 2990576.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ეკონომისტი

**საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი**

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

აგრძელებს სტატიების მიღებას შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. **ტექსტი** აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNucx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. **ავტორის** სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო **კორდინატები,** (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს **რეზიუმე** ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს **ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ** ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი **8 ლარი,** რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB0000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: info@economisti.ge ან info@loi.ge

ტელ: 422 771; 99-05-76; 855 277 554; 895 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

## International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines- 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in **English, Russian, German and France** languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and Egnlish languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8GL(lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5GL(lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. "loi's" account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: info@economisti.ge or info@loi.ge

Tel: 99 05 76; 422 771; 855 277 554; 895 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.



ეროვნული ბიბლიოთეკა